ეკა ფკალდუა
დათო აბულაძე

გაფრენილი ჩიტი

თბილისი
2009

მთ. რედაქტორი
მაია მალაციძე

გამოცემის რედაქტორი
დიმა ბენაშვილი

მხატვარ-დიზაინერი
გიორგი წონწკოლაური

© ეკა ჭკადუა, დათო აბულაძე, გაფრენილი ჩიტი

© გამომცემლობა „ტრიასი"

საავტორო უფლებები დაცულია

„კამათელი 6 000-ჯერ რომ ააგდო,
შესაძლოა 6 000-ჯერვე იაგანზე დაჯდეს...
შეუძლებელია? მაგრამ შესაძლებელიც
ხომ არის?.. ანუ, სადაც შესაძლებელს
იგულისხმებ, იქ შეუძლებელიც
აუცილებლად უნდა იგულისხმო“...
მაქს ფრიში

— თორმეტი.
— რა თორმეტი?
— შეხვედრა... თორმეტი.
— გეშლება, ცამეტი.
— მეცამეტე რომელია?
— მეცამეტე არა, პირველი...
— ჰო, კარგი, პირველი...
— დიდი ხნის წინ იყო.

I

ცეცხლისფერთმიანი

თხუთმეტი და ალბათ, უფრო მეტი წლის წინ...

მაღლივი კორპუსი.

უჰ, როგორ მეზარება ახლა ლექცია!.. თითქმის აუდიტორიის კართან მისული, ვიღაც უცხო ბიჭს ვხედავ (ბიოლოგებში ბიჭი იშვიათია). რატომღაც მე ამომარჩია. მოდის ჩემ-

თან, თვალს მიკრავს და მეკითხება:

— ფილოლოგებს იცნობთ? (რა შუაშია ფილოლოგები ბიოლოგებთან ვერ ვხვდები).

— არა! — ვუპასუხე და ცოტა იჭვნეულად შევხედე.

— აუჰ, როგორ ცივა, არა? აუდიტორიაში შევიდეთ და იქ ვისაუბროთ, ძალიან გთხოვთ.

არა, ამას ნამდვილად აკლია — გავიფიქრე და მერეღა დავაკვირდი. წარმოუდგენელი სილამაზის ჭროღა თვალებს შევეჩეხე. სევდიანი და თან თვალისმომჭრელი სინათლით იყო სავსე ეს ორი სიღრმე. რატომღაც დავყევი მის ნებას და ცარიელ აუდიტორიაში შევედით. ყველაფერზე ერთად ლაპარაკობდა: სიყვარულზე, სილამაზეზე, სიამოვნებაზე, მუსიკაზე... ლექცია დაიწყო. 45 წუთი ძალიან გაიწელა. კიდევ მინდოდა მისი ნახვა. ზარი დაირეკა. დერეფანში გამოვედი. ჩემი ნაცნობი იმავე ადგილას დამხვდა. მითხრა, რომ დღეს ალბათ აღარ მოვიდოდა მისი მეგობარი გოგონა და დამემშვიდობა. უცნაური გრძნობა დამეუფლა. მინდოდა კიდევ რამე გამეგო მის შესახებ. დავუძახე და ერთად გასეირნება შევთავაზე. მან გამიღიმა თავისი უცნაური თვა-

ლებით და გავუყევით გზას. მხოლოდ თვითონ საუბრობდა. მე ვუსმენდი. შემდეგ დამემშვიდობა და უცებ გაქრა. დიდხანს ვეძებდი თბილისის ქუჩებში მის თვალებს, მაგრამ არსად, აღარასდროს, აღარ შემხვედრია...

რა ადვილია ფურცლის და კალმისტრის აღება მაგიდიდან და რა ძნელია მისი შევსება იმ განწყობით, რასაც გრძნობ. სიტყვები, გამოცდილება და რწმენა არ მყოფნის. ისიც ვიცი, რომ არასდროს მეყოფა, მაგრამ დაცლა, გათავისუფლება, ჩემივე აზრის სრულყოფა (შეძლებისდაგვარად) მაქვს მიზნად დასახული და მაინც ვბედავ. დავაკვირდი... თვითონ ვქმნი სიტუაციებს ამ ყველაფრისთვის. ახლაც ოთახში ჩემს ძალიან ახლო მეგობართან ერთად ვარ. თუმცა ხმას არ ვცემ და ალბათ, მისი აზრით, „არაფრად ვაგდებ" მის გვერდით ყოფნას. არადა, ეს უბრალოდ გვერდით ყოფნა მე ხომ საღერღელს მიშლის, ფიქრის საღერღელს... ეგოისტი ვარ?.. რა აზრი აქვს სიტყვას, როცა ის ზედმეტია? რა ვქნა, მივიდე და დაველაპარაკო? არა, დღეს ხომ სიჩუმის დღეა... ვუსმენ მუსიკას, და ისიც

არ მესმის. უფრო სწორად მესმის, მაგრამ ეს მუსიკა ჩემს სიჩუმეს უფრო დიდ სიჩუმედ აყალიბებს. მე ახლა საკუთარი გონების პალეონტოლოგი ვარ და მისი ქანების შესწავლით ვერთობი. რატომღაც მახსენდება ჩემი ბავშვობისდროინდელი „ვინმე“ — ფეთხუმის, მოუწესრიგებლისა და გაუზრდელი თანატოლის მიმართ ზიზღით გადასროლილი ფრაზა: გათხრებს ატარებ?.. ახლაც წუთით ზიზღით მებრუცება ქვედა ტუჩი. შემდეგ ვთავისუფლდები ამ შეგრძნებისგან და ისევ საკუთარი გონების მეცნიერ-პალეონტოლოგი ვხდები. ჰო, გათხრებს ვატარებ, მაგრამ, არა ცხვირში, არამედ წარსულში, ბავშვობაში...

საფრთხე უნდა იყნოსო. ჩემმა გონებამ ეს ალბათ იგრძნო და სანამ „ქვების სროლას“ დაიწყებდა, მანამდე ითხოვა რჩევა და დახმარება... და ახლა რა? ათასი რჩევით მითითებულ ტრანკვილიზატორებს ვყლაპავ და არც კი ვიცი სად დავფრინავ. ალბათ ჩემი ჩასახვისთანავე შერწყმული დნმ-ს ტრიპლეტის რომელიღაც ნუკლეოტიდმა „სასარგებლო“ მუტაცია განიცადა და მე მისი მსხვერპლი

ვარ. ვხუმრობ, თუმცა, ალბათ ცოტათი გიჟი მაინც ვარ. აბა, რას მივაწერო ასეთი ფანტაზიები?.. აი, ახლაც, სულ ცოტა ხნის წინ, რენესანსული ძეგლებით დახუნძლულ, მელოდიურობით გამაოგნებელ, მზის ჭარბი სხივებით განათებულ, სამხრეთული ტემპერამენტითა და ხალისით გაჟღენთილ სამყაროს, მანამდე ქვეყანას, კუნძულს, სახლს, ოჯახს ვეკუთვნი. ეს ალბათ ჩემი გამოგონილი ბავშვობაა. ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, ჯერ კიდევ ბავშვი, ბერძნული მითოლოგიის თემაზე შექმნილი ქანდაკებების გვერდით დგება და მონდომებით ბაძავს მათ. ხან ხელს აწევს, ხანაც ცერებზე დგება. მის ირგვლივ თავს უამრავი ადამიანი იყრის. მცველებს პოლიციის გამოძახებაც სურთ, მაგრამ ვიღაც დროზე ჩაერევა. გოგონა ენაწყლიანი აღმოჩნდა. არ რცხვენია, არ ეშინია და ამბობს: მე მომავლის ცეკვა აღმოვაჩინე, მე გენიალური ვარ!..

არ ვიცი იქ საიდან გავჩნდი. არ ვიცი დაბნელდა თუ განათდა ამ დროს ჩემი გონება. მხოლოდ ერთი ვიცი, მომწონს იქაურობა... მერე... მერე თავში ისევ რაღაც გადატრიალ-

და და აი, უკვე ამას ვხედავ: ჩემს გარშემო მძინარე ადამიანები საწოლიდან ვარდებიან... შემოსასვლელი ოთახიდან ვიღაც ქალამნებს ისვრის... აგურის ნატეხები მამას თავში ხვდება... თეფშები ბზრიალ-ბზრიალით დაფრინავენ... კედლებიდან საშინელი ხმაური ისმის... ღმუილი... სიცილი... ტირილი... ვიღაც გაბრაზებული უჩინარი სახლს „ალაგებს"...

არ ვიცი რომელი საუკუნეა. ამ სახლში ცოლი, ქმარი და ორი ქალიშვილი ცხოვრობს. მათ დედაჩემის, მამაჩემის, ჩემი დისა და ჩემი გარეგნობა აქვთ. უმცროსი მე ვარ... ერთ ღამეს საწოლის უცნაური მოძრაობა გამომაღვიძებს. შეშინებული დას ვაღვიძებ. ღამის განმავლობაში საიდუმლოებით მოცული მოვლენა რამდენჯერმე განმეორდება. ჩვენს საძინებელ ოთახში დროდადრო ბრახუნი ისმის, თითქოს იატაკზე მძიმე საგანი ვარდება. უცნაური ხმები ძილს გვიფრთხობს და რამდენიმე უძილო ღამის შემდეგ დედა და მამა თავიანთ საძინებელ ოთახში გადაგვიყვანენ. გავა რამდენიმე დღე. სახლში სიმშვიდე დაისადგურებს. თუმცა, ერთ გვიან ღამეს ჩვენ რაღაც ხმაური ისევ გამოგვაღვიძებს —

თითქოს ვიღაცამ ტაში შემოჰკრა. იმავე წუთს მე (რომელმაც, ალბათ, მშობლების გარეგარეგარეგ

დობს. ის სხეულით „ლაპარაკობს“ და თითქოს ამბობს: სიყვარულში ადამიანები ისევე თავისუფლები უნდა იყვნენ, როგორც ცეკვაში. არანაირი დაპირება, არავითარი ვალდებულება... მას საყვარელი ადამიანი ულტიმატუმს წაუყენებს: ან ის, ან ცეკვა. გოგონას ეგონა, რომ იგი ჩიტივით თავისუფალი სჭირდებოდათ. საყვარელმა ადამიანმა კი მისი „შინაურ ქათმად“ მონათვლა მოინდომა. „ქალის ჭკუა მაშინ ჩანს, თუ იგი მას საგულდაგულოდ მალავს“ — იტყვის ვიღაც. მანამდე კი რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გაბრაზებული შექსპირი წამოიძახებს: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ — არადა... გონებით კიდევ უფრო შორს მივდივარ... ხომ არსებობდნენ ამორძალები. აი, გაზაფხულის ის მზიანი დღეც. ზღვის სანაპირო. თვალუწვდენელი მიდამო — გმირის მიერ დაპყრობილი ნახევარი მსოფლიო. ის დაიღალა. ნუთუ ვერ მიაღწია იმას, რაზეც ოცნებობდა?! ფიქრებში გართულს მსახური მიუახლოვდა: „ვიღაც წარმოსადეგი ქალბატონი გეწვიათ“ (გმირს იგი სამას მეომარ ქალთან ერთად ეწვია). „შემოუშვით“ — ბრძანა ბატონმა. გმირი ალექ-

სანდრე მაკედონელი იყო. მისი ბანაკი იმ დროს კასპიის ზღვის სანაპიროზე იყო განთავსებული. უცხოქვეყნელი კი ამორძალების დედოფალი ფალესტრისი, რომელიც „კავკასიასა და მდინარე ფაზისს“ შორის ტერიტორიას განაგებდა. მხოლოდ მისი ჩაცმულობა ბადებდა ეჭვს მის დიდგვაროვნებაზე. მხედარს მოკლე ქვედაბოლო ეცვა, ხელში ფარი ეჭირა, მოშიშვლებული მკერდი მოუჩანდა. მათი შეხვედრა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330 წელს მოხდა...

რა უნდა ქნას გოგონამ? იგი მოხიბლულია ეპოქალური ქალბატონების სიმტკიცითა და ბრძოლისუნარიანობით. მას სურს დაუმტკიცოს სამყაროს, რომ საპირისპირო სქესს არაფრით და არაფერში ჩამოუვარდება, მაგრამ საყვარელ ადამიანთან განშორებამ სული დაუმძიმა. უცებ აღმოაჩინა, რომ აღარ შეეძლო მაყურებლის ატირება, როცა „განშორებას“ ცეკვავდა, ან შიშისგან თრთოლვა, როცა „შიშს“ ასრულებდა. ბოლო მოეღო ყველაფერს. მას ყველასგან და ყველაფრისგან გაქცევა უნდა. საკუთარ ღია ავტომობილში ჩაჯდა. ყელზე ულამაზესი, ოქროსფრად მო-

ლივლივე შარფი მოიგდო. მანქანა დაძრა, სიჩქარეს უმატა, თითქოს გაფრინდა... შარფი საბურავმა ჩაითრია და გოგონა გაგუდა... ტრაგედია, საშინელი ტრაგედია...

ეჰ, კიდევ რამდენჯერ მოკვდება და გაცოცხლდება ჩემში ეს გოგონა?..

რა ხდება?!. გამოვდივარ. არ ვიცი საიდან, ალბათ, ჰიპნოზიდან... დედას ეუბნებიან, რომ მე დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვარ. ის ნერვიულობს. მე არა. მხიბლავს იქაურობა და სულაც არ ვგრძნობ თავს ცუდად. შემდეგ დედას გარეთ უშვებენ. მითითებულ სავარძელზე ისევ ვჯდები, რომელსაც ოდნავ წახრილი ფორმა აქვს. თვალების დახუჭვას მთხოვენ. ვხუჭავ. „ჩემი მშველელი“ 16 სიტყვის ჩამოთვლას მთხოვს. და მეც ვიწყებ:

გული
სივრცე
მთვარე
თვალები
მზე
წვიმა
ქარიშხალი
ზღვა

ციხე
თავისუფლება
სამოთხე
ვარდი
ნამი
თხუნელა (რატომ? არ ვიცი. ისე, უბრალოდ)
არწივი
მთა...

ექიმი თითოეული სიტყვის ახსნას მთხოვს. მეც ვპასუხობ. შემდეგ მათ ორ-ორად აჯგუფებს და ასოცირებულ სიტყვებს ფურცელზე გულმოდგინედ იწერს.

გული და სივრცე — სიყვარული
მთვარე და თვალები — სილრმე
მზე და წვიმა — ცრემლი
ქარიშხალი და ზღვა — ტორნადო
ციხე და თავისუფლება — ჩიტი
სამოთხე და ვარდი — სიმყუდროვე
ნამი და თხუნელა — მიწა
არწივი და მთა — ირაო

შემდეგ ასოცირებულ სიტყვებს აჯგუფებს და კვლავ ჩემს პასუხს ელოდება:

სიყვარული და სილრმე — უსასრულობა
ცრემლი და ტორნადო — დეპრესია

ჩიტი და სიმყუდროვე — ბუდე
მიწა და ირაო — სამყარო
და ისევ...
უსასრულობა და დეპრესია — შეშლილი
ბუდე და სამყარო — სახლი
და ბოლოს:
შეშლილი და სახლი — ?

...არა, არა, ოღონდ ეგ არა!!! საშინლად ვბრაზდები, გიჟივით გამოვრბივარ ოთახიდან და კარში ვიღაცას ვეჯახები. ჭროღა თვალები... სად მინახავს? გონებაში დიდი ხნის წინანდელი ამბავი ამოტივტივდა. დავაპირე უკვე შეხმიანება, მაგრამ ოთახში შემასწრო. მე კი იქ დაბრუნების სურვილი არ მაქვს...

ნარიყალაზე ავედი. ტურისტების ჯგუფი ჩამოდიოდა. გვერდი ავუარე მათ და ერთ განმარტოებულ ადგილას გავჩერდი. ღრმად ჩავისუნთქე სუფთა ჰაერი, დავწყნარდი, დავმშვიდდი და მივხვდი, რომ ჩემი თავის „მშველელი“ თვითონვე ვარ...

ჭროლათვალება

დიახ, ასეა! ჩვენ ისე ვართ მოწყობილები, რომ უმალ დავივიწყოთ უსიამოვნო. უხილავი მექანიზმი ავტომატურად ამუშავდება ჩვენს ტვინში და აუცილებლობის შემთხვევაში ყოველმხრივ აუტანელის, უადგილოს, დამანგრეველის თავიდან მოცილებასა და დავიწყებაში გვეხმარება. რატომღაც ეს განწყობა ამეკვიატა. ხალხით გადატენილ ავტობუსში ავედი. ჩემს უკან ვიღაც ასაკოვანი, ღარიბულად ჩაცმული ლოთი ორ სკამზე ერთად გაფარჩხულიყო და გარშემო საშინელ სურნელს აფრქვევდა. პერიოდულად თვალს ახელდა, ვიღაც უჩინარს სლოკინით აგინებდა უშვერი სიტყვებით და მერე ისევ მისვენდებოდა. მგზავრები ხმას არ იღებდნენ, მაგრამ ყოველ მეორე წამს განსხვავებული მიმიკით მზერას ესროდნენ მას. ყველას ერთი რამ აკავშირებდა — შეურაცხყოფილი სახე. ორი გაჩერების შემდეგ ჩავედი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მექანიზმი ჩაირთვებოდა და ავტობუსიდან ჩასვლის შემდეგ ყველა მგზავრს სრულიად მიავიწყდებოდა ეს ამბავი. ანუ, ლიტერატუ-

რულად რომ ვთქვათ, ზიზღისმომგვრელი სპექტაკლის უნებლიე მსმენელების ტვინში ამუშავდებოდა მანქანა და ისინი მაშინვე დაივიწყებდნენ ამ საცოდავ სცენას... არ ვიცი, ეს ამბავი მე უკვე დამავიწყდა თუ ხვალ დამავიწყდება, მაგრამ ვიცი, რომ ამ ყველაფერმა ზიგფრიდი გამახსენა...

შუადღე იყო. დრო უამრავი მქონდა. საით წავიდე? ალბათ, ნიკას შევუვლი და სადმე გავივლით. თან ზიგფრიდის დაავადებაზეც მინდა ვისაუბროთ, – ვუპასუხე კითხვაზე საკუთარ თავს. გიჟებს უამრავს ვიცნობ. თუმცა ზიგფრიდი ყველასგან განსხვავებული იყო. ჰო, იყო საწყალი, მოკვდა. ყოველ დილით ცხრის ნახევარზე დაბარებულივით ჩამოივლიდა ჩემს ფანჯრებთან. უკვე მესამე ხუთშაბათია, რაც არ ჩანს. თუმცა, როგორ უნდა ჩამოიაროს, ხომ ვთქვი, მოკვდა... მახსოვს, როგორი შემართული ტანით დადიოდა. ზაფხულობით თეთრი გახამებული პერანგი, ზამთარში კი ნაცრისფერი ლაბადა ეცვა. წიგნი ყოველთვის ხელში ეჭირა და სადღაც მიიჩქაროდა. გამვლელებს ხელების ქნევით ხმამაღლა რაღაცაზე ესაუბრებოდა — ალბათ,

ცხოვრების უსასოობასა და სამყაროს უკიდეგანობას უმტკიცებდა. თავიდან ზიგფრიდს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. მერე ერთხელ ხელი დავუქნიე და სახლშიც შემოვიდა. გიჟი ეძახე შენ! იმდენი რამე იცოდა, ყოველ წუთს მაოცებდა. თითქოს დავმეგობრდით კიდეც...

ერთ დღეს ნიკასთან წასვლა შევთავაზე. ვუთხარი, ექიმი-ფსიქიატრია, საინტერესო ადამიანია, დავსხდეთ და ვისაუბროთ-მეთქი. გამიკვირდა რომ დამთანხმდა. ის ხომ ყოველთვის მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც უნდოდა, მაგრამ იმ დღეს სრულიად ნორმალურს გავდა. მოკლედ, წავედით...

რამდენიმე პაციენტი დერეფანში სკამზე იჯდა და თავის რიგს ელოდა. ჩვენ ურიგოდ შევედით. ხელის ჩამორთმევისა და თბილი მისალმების შემდეგ ნიკამ სავარძლებზე მიგვითითა და ჩვენც დავსხედით. ორი თუ მეტი წუთით კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. „აი, ახლა შეუბერავს თავისებურს", — გავიფიქრე და ნიკას თვალით ვანიშნე, საუბარი თავად წამოეწყო. ამ დროს ზიგფრიდმა ხელები გულზე დაიწყო, თვალები მინაბა და მონოლოგს

შეუდგა:

— ჩემთვის საგნებთან შეხება, მათი თვლა და სიტყვების გამუდმებით გამეორება, ერთი დიდი ცხოვრებაა, რომელშიც ყველაფერი ყველაფერთანაა დაკავშირებული, ყველაფერი ერთიდან მეორეში გადაედინება. ჩემი ტვინი ყოველ წამს მაიძულებს ამაზე ფიქრს. მეც გამუდმებით, შეუპოვრად ვეძებ ამ კავშირებს. განა შეიძლება ვიცხოვრო სხვანაირად? ჩემი სულით რომ ცხოვრობდეთ და ჩემი ტყავი გქონდეთ საბურველად, გეცოდინებოდათ პასუხი...

შემდეგ წუთით დაიძაბა, თითქოს თავს ძალას ატანდა, რომ იგივე მდგომარეობა შეენარჩუნებინა და განაგრძო:

— ყველაფრის მიზეზი ადამიანის მოძრაობისა და მეტყველების განმგებელი კუნთებია, რომლებიც ჩემში ძალზე იშვიათადაა დაწყნარებული. ხან გამუდმებით ვჩურჩულებ, ხანაც გულმოდგინედ ვკითხულობ ხმამაღლა. ყანყრატო პირდაპირ დახტუნავს, ყბის კუნთი მინიატურული გულივით პულსირებს ლოყის ქვეშ, თანაც ბგერები საერთოდ არ ისმის, სიტყვები უხმოდ გადმოდიან ყელიდან.

მეორდებიან, უსასრულოდ მეორდებიან, შემდეგ ჩემი ტვინის უჯრედებში წინადადებებად ყალიბდებიან და სამყაროს გარსს აღწევენ, რათა რეალობას შეუღიტინონ, ისევე როგორც პროფესიონალი მუსიკოსი ეხება თითებით როიალს -- ხან ალერსიანად, ნაზად, ხანაც მგზნებარედ, შეუპოვრად. ათრთოლებული კუნთები ჩემი უხილავი მშვიდობისმყოფელი ჯარია, რომელიც არ აყენებს არავის ზიანს. ჯარისკაცები აწყნარებენ და ეფერებიან ყველას, ყველგან აღმოფხვრიან ნაკლს და აგვარებენ პრობლემებს. ერთი კია, ხანდახან ლოთობენ და შემდეგ ასტრალში გასულები ასაკოვან ქალბატონებს წელსქვემოთ ალერსიანად უთათუნებენ ხელს — რაღაც უკვე ზედმეტად იდეალურს, ზედმეტად გლუვს. და როცა მრგვალი ქალბატონები ყველაფრით კმაყოფილნი რჩებიან, მაშინ ჩემი ჯარი ჯანყდება, იყოფა პატარა მობილურ მებრძოლ რაზმებად და ახალი ნაკლის აღმოსაფხვრელად ახალ გზას ირჩევენ. რატომ? რეალობას ნაკლი სჭირდება, ის ვერ იარსებებს მის გარეშე, როგორც გზის საფარი უნაპრალოდ. და სწორედ ამ დროს ჩემი სიტყვები ნერვიულად

იწყებენ ნაპრალების ძებნას. ეძებენ სუსტ წერტილს, მტკივან ყურს და როცა ის უკვე ნაპოვნია, წარმოიქმნება მოთხოვნილება, იშ-ლება საღერღელი, რომელიც გაიძულებს ქუჩაში, ეკლესიაში, გადატენილ კინოთეატ-რში, საკონცერტო დარბაზში ხმამაღლა ყვირილს. თავიდან ეს ყველაფერი ნერვებს გიშლის, მაგრამ მალე მძლავრ დინებაში გადა-იზრდება და იწყება წარღვნა. ეს არის ჩემი ცხოვრება... აი ახლაც ვგრძნობ, რომ იწყება. დაიცეთ ყურები...

თეთრი ხალათები, ხალათები, ხალათები...
ბოთლები, ბოთლები, ბოთლები, ბოთლები,
ლოთები, ლოთები, ლოთები, ლოთები,
შფოთები, შფოთები, შფოთები, შფოთები,
ციფრები, ციფრები, ციფრები, ციფრები,
ქალები, ქალები, ქალები, ქალები,
და ისევ...
ბოთლები, ბოთლები, ბოთლები, ბოთლები,
აჯანყდნენ ჩემი ჯარისკაცები...

ბოლო ხმაზე გაჰკიოდა ზიგფრიდი. ძლივს დავაწყნარეთ. დერეფანში კაციშვილი აღარ იყო, ყველა სკამი ცარიელი დაგვხვდა. გამეღ-იმა. გამახსენდა ბავშვობა, უფრო სწორად,

სტომატოლოგის კაბინეტი. ალბათ, 7-8 წლის ვიქნებოდი, დედამ ძალით რომ წამიყვანა კბილის ამოსაღებად. იმდენი მიტირია თუ მიყვირია, რომ მოსაცდელში აღარც ბავშვი და აღარც დიდი აღარ დარჩენილა... ალბათ, ზიგფრიდმაც ასე დააფრთხო ნიკას პაციენტები...

თვეზე მეტია არ მინახავს ნიკა და ახლა, როცა ასათიანის კუთხეს მივუახლოვდი, მივხვდი, რომ ძალიან მომენატრა. გავიარე დერეფანი და უკვე კაბინეტის კარის შეღებას ვაპირებდი, როცა ვიღაც ცეცხლისფერთმიანი გოგო გიჟივით გამოვარდა და მხარი გამკრა. წამით შეჩერდა, დამაკვირდა და გზა ისევ განაგრძო. თითქოს მეცნაურა, მაგრამ არ გამოვკიდებივარ.

– ვინ იყო ის ალქაჯი? — ვკითხე ნიკას მისალმების ნაცვლად.

ვისზე მეუბნები, იმ ჟღალთმიანზე? შემომხედა ღიმილით, — საინტერესო გოგონაა, ცოტა დეპრესიული. მგონი შევაშინე.

სავარძელში ჩავჯექი.

გახსოვს ზიგფრიდი?

ვიინ?

აი ის, აქ რომ გაჰკიოდა ბოლო ხმაზე.

ჰო, კი, როგორ არ მახსოვს. იშვიათი დაავადება ჰქონდა... რამ გაგახსენა?

რა ჰქვია ამ დაავადებას? — შევუბრუნე კითხვა.

ტურეტი... ძალზე იშვიათი გენეტიკური დაავადებაა. ავადმყოფი თითქმის არ ექვემდებარება მკურნალობას. გამიგია, ტურეტის სინდრომით დაავადებულებს საშინელი ტიკები აქვთ ბლუჯავენ ადამიანებს, გაუთავებლად კოცნიან, უტყაპუნებენ ხელებს მუცელზე, მხრებზე, წელზე... ჩვენც ხომ გვჩვევია მსგავსი რამ ასევე გაუაზრებლად. უბრალოდ, იშვიათად. ისიც მხოლოდ ძალზე ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან ვამჟღავნებთ მსგავსს. სინდრომიანებისთვის კი ეს რაღაც თამაშია, თანაც ძალდატანებითი. მათი სხეული გაფუჭებული საათის ზამბარას ჰგავს, რომელსაც მარტივად შეუძლია ისრებს ციფერბლატის გარშემო წრე ორჯერ დაარტყმევინონ... ისე, როგორც თავად ახსნა თავისი დაავადება, მე ალბათ ვერც შევძლებდი. მაგარი ვიღაცაა... არა, მაინც რამ გაგახსენა?

მოკვდა, ვუპასუხე მშვიდად.

მართლა? საწყალი... როდის? შეწუხდა ნიკა.

საძი კვირის წინ.

შენ საიდან იცი?

ჩემი ფანჯრების წინ სამი კვირაა არ გამოჩენილა.

და ეს...

წერილი დამიტოვა ფანჯრის რაფაზე, ხვალ მოვკვდებიო.

წერილი?.. და შენ გჯერა, რომ მოკვდა?

ჰო, მჯერა.

შენც კაი უცნაური ვინმე ხარ... წამო, წავიდეთ, ვიცი, რაც გიშველის...

II

ცეცხლისფერთმიანი

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი პირველი ელდა და ისიც დიდი ხნის განმავლობაში გაუცნობიერებელი, ჩემს ბავშვობას უკავშირდება: მაშინ დაახლოებით სამი წლის ვიყავი. დედა და მამა სტუმრად წავიდნენ და ახალგაზრდა ბიძის ანაბარა დამტოვეს. მოუსვენრობით ახლაც გამოვირჩევი და, რა თქმა უნდა, მაშინ ჩემი ეს თვისება ყველასთვის თვალშისაცემი იყო. იმ დღესაც, ჩემი ცელქობით უკვე დაღლილ-დაქანცულმა ბიძამ ფანჯრის რაფაზე შემომსვა. შეუჩერებლად ვტიტინებდი ყველაფერზე, თითოეულ კითხვაზე ათასი პასუხის შემდეგ, ათას მეერთეს ვითხოვდი, ლურჯ ცასა და მზის სხივების ციაგს ბიძაჩემის დახმარებით ფანჯრის გარეთ თავდაწეული შევციციინებდი. მომწონდა თავდაყირა ყოფნა, თავბრუ მესხმოდა და ვინმეს ალბათ

გაეცინება თუ ვიტყვი, რომ მახსოვს ეს შეგრძნება, მაგრამ მე მართლა მახსოვს და ახლაც კი თრთოლვა მიტანს სიამოვნებისგან. უცებ ტელეფონი აწკრიალდა. ბიძაჩემი ყველაზე მარტივ ინსტინქტს დაემორჩილა. ყურში გაგონილმა სიგნალმა ცენტრალურ ნერვულ სისტემამდე მიაღწია, შემდეგ პერიფერიულმა ხელები მოძრაობაში მოიყვანა და ის ტელეფონის ყურმილს დაწვდა. ყველაფერი წამის მეასედებში მოხდა... თავი ვეღარ შევიკავე და ფანჯრის რაფიდან გარე სამყაროსკენ გადავეშვი. ზუსტად იმ წამის უკანასკნელ გაელვებაში წვივზე არაადამიანური ძალით შემომაჭდეს ძლიერი ხელი. გადავრჩი... შემდეგ დიდხანს იყო ჩახუტება, ფილტვების ტკივილამდე შემოჭდილი ორი რკინის რკალი, ორი გულის არარითმული, გაათმაგებული ძგერა და შიშისგან გაფართოებული ორი წყვილი ერთი ბავშვისა და მეორე ზრდასრული ადამიანის — თვალი...

გავიდა ხუთიოდე წელი... მამას სპორტულ ტანვარჯიშზე შევყავარ. უკვე ვითვლები იმედის მომცემ მომავალ სპორტსმენად. ქალაქის მასშტაბით იუნიორებში შეჯიბრი ტარდე-

ბა. უამრავი ხალხი გვადევნებს თვალს. მეშინია. რის? სიმაღლის. ძელზე ვერ ვდგები, ვცახცახებ, ჩამოვვარდი... ყველაფერი დამთავრდა...

კიდევ გადის რამდენიმე წელი... მე უკვე დიდი ვარ, იმდენად დიდი, რომ უფროსებთან შეუფერებელი საქციელისგან თავი შევიკავო. მაგრამ არ მსურს და არ შემიძლია. ყირაზე ვდგები და რამდენიმე წუთის განმავლობაში ხელებით დავდივარ. მე ბედნიერი ვარ... სხვები ალბათ, გაკვირვებულები...

შემდეგ უკვე ზრდასრული ვხდები. სახლში დედაჩემის და მამაჩემის მეგობრები სუფრასთან სხედან და ილხენენ. მათ გვერდით ვარ. ცხოვრებისეულ სიმაღლეებზე საუბრობენ. მეც მინდა სიმაღლის დაპყრობა. ისევ მეშინია, მაგრამ... ფეხზე ვდგები და სკამზე ავდივარ, ხელებს ვშლი... მეორე დღეს მეგობრებთან ერთად მთაწმინდაზე ვარ. ორივე მუჭში ფერადი ქაღალდები მაქვს ჩაბღუჯული. ხელებს ვითავისუფლებ და მათ ნარნარ ფრენას შევცქერი. გავთამამდი. მეშინია, მაგრამ მოაჯირზე ავდივარ და ახლა უფრო დიდი სიმაღლიდან გავყურებ ჩაფიქრებულ თბილისს...

ვკითხულობ ზოშჩენკოს ერთ პატარა მოთხრობას. უფროს ძმას ონკანის მოშვების ეშინია. სად უნდა ეძებოს გზა შიშისგან დასახსნელი? ბავშვობაში. მას უმცროსი ძმა, თოთო, დაუცველი, ჩაუვარდა წლების წინ წყალში... ვავლებ პარალელს. ვძაბავ გონებას. ბუნდოვნად იკვეთება სამი წლის ასაკში თავსგადამხდარი... ბედნიერი ვარ აღმოჩენით... მე გავიმარჯვე — აღარ მეშინია სიმაღლის...

რატომ გამახსენდა ეს ყველაფერი?.. მშვიდი და თბილი საღამო იყო. ელბაქიძის დაღმართი ჩავამთავრე. ხიდზე გადასვლას ვაპირებდი და ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ხიდის თავში „ის" დავინახე. საშინლად მომინდა გამოლაპარაკება, ფეხს ავუჩქარე, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ჭროღათვალება ხიდის მოაჯირზე ახტა. თვალი გავაყოლე აუღელვებლად გადადგმულ მის რამდენიმე ნაბიჯს. შემდეგ გამოვბრუნდი და ისევ ელბაქიძეს ავუყევი...

მისთვის იმ წამს ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ხიდის ბოლომდე გავლა და მარტოობა იყო...

ჭროლათვალება

წკრრ... წკრრ... წკრრ...

თვალები გავახილე. ნელ-ნელა გამოიკვეთა ოთახის კონტურები. ყველაფერი არეულ-დარეულია. ფანჯარასთან სკამია ამოყირავებული, საწერ მაგიდაზე სიგარეტის ნამწვები ყრია. სავარძელზე მიგდებული შარვლის ერთი ტოტი იატაკს ეხება.

ნელ-ნელა ამოტივტივდა გუშინდელი საღამო. პარკის შესასვლელთან ექვს საათზე თინიკოს უნდა შევხვედროდი. დანიშნულ ადგილას ადრიანად მივედი. დრო საშინლად მიიზლაზნებოდა და მეც მოუთმენლად ვცემდი ნერვულ ბოლთას აქეთ-იქით, თან ყოველ წუთს საათის ისრებისკენ გამირბოდა თვალი. გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა... ბოლო ხანს ჩვენი საქმე ვერ აეწყო, თინიკო თითქოს რაღაცას მიმალავდა და გადაწყვეტილი მქონდა, ამ შეხვედრაზე საბოლოოდ გამერკვია ყველაფერი.

საათი უკვე შვიდს უჩვენებდა. ცა ავად მოღრუბლულიყო და წვიმას აპირებდა. ამ ამბავ-

მა უფრო მეტად გამიფუჭა ხასიათი. ახლა თუ წვიმა წამოვა, მაშინ ნამდვილად აღარ მოვა, — გავიფიქრე. ბოლოს დარეკვა გადავწყვიტე. როგორც იქნა, ზარი გავიდა, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. ერთ ხანს ამ ამბავმა დამაიმედა. შეიძლება სახლიდან გამოვიდა და მალე მოვა, — ვფიქრობდი, მაგრამ დრო მიდიოდა, ის კი არ ჩანდა. იმედი საბოლოოდ გადამეწურა. ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ გული სახლისკენ არ მიმიწევდა და გადავწყვიტე იქვე ახლოს, რესტორანში შევლა.

დარბაზში მყოფმა მეგობრებმა ფოიეშივე შემნიშნეს. რამდენიმე ჭიქა ზედიზედ გადავკარი...

ტელეფონი აუტანლად ზრიალებს. როგორც იქნა, წამოვდექი საწოლიდან, შევათვალიერე დასიებული სახე სარკეში და ყურმილის ასაღებად გავემართე.

— გისმენთ...

— თინიკო ვარ... ვერ მიცანი?

— ვერა...

— მაპატიე, გუშინ რომ ვერ მოვედი. რაღაც გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა...

— ხოო... ორი საათი გელოდი...

— დღეს გცალია?

— კი ბატონო, მაგრამ შენ ისევ დამაყუდებ და არ მოხვალ.

— არა, გეფიცები, გუშინ სულ შემთხვევით გამოვიდა ასე.

— ალბათ ვინმე ყმაწვილთან გაისეირნე, არა?

— არ გრცხვენია?!

— გაგეხუმრე, არ გეწყინოს.

— ზეგ ბათუმში მივდივარ. ხომ გამაცილებ?

— კი, აუცილებლად. რომელ საათზე გადის მატარებელი?

— დავაზუსტებ და საღამოს გეტყვი.

— აბა კარგად, დროებით...

— კარგად, შენი და მომიკითხე...

— რომელი?

— როგორ თუ რომელი, ხუთი ხომ არა გყავს?!

— რას მაშაყირებ, მშვენივრად იცი, რომ არანაირი და არ მყავს და არც არასდროს მყოლია.

— როგორ, ნუთუ...

სიცილი ამიტყდა.

— რა არის აქ სასაცილო?

— არა, ისე, უბრალოდ. სიმწრის სიცილია ალბათ, ნუ გეწყინებათ.

— უკაცრავად, მაპატიეთ...

— არა უშავს, კარგად ბრძანდებოდეთ.

ყურმილი დავკიდე და აბაზანაში შევედი პირის დასაბანად.

ამ დროს ისევ გაისმა ტელეფონის ხმა. ახლა ნამდვილად ის იქნება, — გავიფიქრე და ყურმილს ვტაცე ხელი. ამჯერადაც შევცდი. ჩემი მეგობარი რეკავდა.

— როგორ ხარ, ძველო, გუშინდელის შემდეგ?

— როგორ უნდა ვიყო, თავი მისკდება, საზიზღრად დავთვერი. ჰო, მართლა, იცი რა სასაცილო ამბავი შემემთხვა ამ წუთას?...

— შენ რა, სიცილის ხასიათზე ხარ?

— რატომ არ უნდა ვიყო, მოხდა რამე?

— რა და, შენი დიდად პატივცემული და გიორგი გუშინ გაიპარნენ.

— როგორ თუ გაიპარნენ?

— ჩვეულებრივ, როგორც იპარებიან...

ღიმილი სახეზე შემახმა...

არ ვიცი რამდენი საათი გავიდა. საღამო იყო, სახლიდან რომ გამოვედი. უმისამართოდ დავეხეტებოდი. რაღაც სისულელის ჩადენა მინდოდა. ერთი წუთით დავუბრუნდი რეალობას. ელბაქიძის დაღმართზე ვიყავი, ხიდს ვუახლოვდებოდი. ორიოდე წუთით ამღვრეულ მტკვარს მივაჩერდი უაზროდ. უკნიდან ვიღაცის მზერა ვიგრძენი. შემოვბრუნდი. ეს ხომ ის გოგონაა, ცეცხლისფერთმიანი გოგონა, რომელიც ნიკას კაბინეტიდან გიჟივით გამოვარდა. — რატომღაც მომინდა ყურადღება მოექცია ჩემთვის. ხიდის მოაჯირზე ავხტი და აუღელვებლად ბოლომდე გავედი. ჩამოხტომისას მოვიხედე. აღარსად იყო...

III

ცეცხლისფერთმიანი

მეგობართან ვარ სახლში. ვეფერები მის პატარას. საყვარელია ძალიან. მაგრამ დღეს მე არ ვარ ბავშვი და მისი ტიტინი ოდნავ მღლის. ალბათ, მარტო მინდა ყოფნა. წამოვდექი სავარძლიდან.

— წავედი, — ვამბობ და ჩემი სწრაფი გადაწყვეტილებით გაკვირვებულ მეგობარს თვალებით ვუღიმი.

— დარჩი, სად უნდა წახვიდე?

— სახლში. ჩემი მარტოობა მელოდება, ცოდოა მარტო, — ვპასუხობ უკვე კართან მისული და ვემშვიდობები.

სახლისკენ არ წავსულვარ. შარდენზე გავისეირნე. კაფე-რესტორნებიდან გამოსული მხიარული ხმები ქუჩაში აღწევდა. უცებ ახალგაზრდა ლამაზი წყვილი (სამოსით მივხვდი —

ნეფე-პატარძალი) გარეთ გამოვიდა. ლიმუ-ზინს მოეფარა და... მე ნაზი, თან მხურვალე ხვევნა-კოცნის მოწმე გავხდი. რა ბედნიერე-ბი არიან, — გავიფიქრე და თავი უხერხულად რომ არ ეგრძნოთ, ნაბიჯს ავუჩქარე. მოვტ-რიალდი. სიძემ შემამჩნია, წამით ამომხედა, გამიღიმა და ისევ თავის დედოფალს მიუბრუ-ნდა...

იქვე კაფეში შევედი, ატმის წვენი და ყინუ-ლის ნაჭრები შევუკვეთე, მოვძებნე კუთხის თავისუფალი მაგიდა და ფიქრებში წავედი...

ისევ ვემათხოვრები მოგონებებს...

უბნელმა მეგობარმა ბიჭმა ცოლი ითხო-ვა. დიდად არ გადასდიოდა ოჯახს და ქორწი-ლიც თავის სამოთახიან ბინაში გადაიხადეს. დაცარიელებულ სასტუმრო ოთახში ორ რი-გად ფიცრის მაგიდები და სკამები გაეშალათ. მაგიდებს შორის ისეთი სივიწროვე იყო, ხან-დახან ვილაცის ზურგით შეხებასაც ვგრძნობ-დი უკნიდან. რამდენიმე საათი სარგადაყლა-პულივით ვიჯექი და ბოლოს ვილაცის ზურგს მეც გავკარი იდაყვი. ავდექი და შემოვტრია-ლდი. ადგილზე გავშეშდი... მისმა ნახვამ ბედ-ნიერი ბავშვობა გამახსენა. ისიც ადგა და ხე-

ლი ჩამომართვა. დაბნეული მეჩვენა. არა-თითზე ბეჭედი შევამჩნიე და თვალი მის გვერ-დით მჯდომი გოგონასკენ გამექცა.

— დაოჯახდი?

— ჰო, აი, ეს ჩემი მეუღლეა, — თქვა ხმადა-ბლა.

გოგოც წამოდგა და გამიღიმა. ისეთი ლა-მაზი იყო, აღფრთოვანება ვერ დავფარე. შემ-დეგ ისევ მას მივუბრუნდი: — თამამად შეგი-ძლია მეუღლეს ყოველ საღამოს „ტანო ტა-ტანო“ წაუკითხო-მეთქი. შვებით ამოის-უნთქა და თამადისგან სადღეგრძელო ითხო-ვა. — ეს იმ გოგონას გაუმარჯოს, სრულიად გულწრფელად სხვა ქალის სილამაზეს რომ ამჩნევს და აფასებსო, — წარმოთქვა.

სუფრამ ჩემი სადღეგრძელო შესვა...

მერე... გავიდა წლები... გავიგე, რომ ის გო-გონაც მიატოვა...

ეჰ, რომ შეიძლებოდეს ამ ყინულის ნაჭრე-ბივით წუთის გაყინვა, დავიბრუნებდი იმ წლებს. მომენატრა, ძალიან მომენატრა... მახ-სოვს, ხელში აყვანილი დავყავდი, თავისი ხე-ლით მაჭმევდა, ყოველ ღამით აივანზე თაი-გულს მიტოვებდა... ჰო, ეს ყველაფერი იყო და

აღარ არის. ალბათ, არც მოინდომა, დაუფიქ-
რებლად გადაუსვა ხაზი ყველაფერს და ჩვენს
შორის სიცივის, სიცარიელის უზარმაზარი
კედელი აღიმართა. ხანდახან, როცა ბზარი
უჩნდებოდა კედელს, იმედის ნაპერწკალი ისევ
ღვივდებოდა, მაგრამ იმდენად პატარა იყო,
რომ ვერაფრით ახერხებდა კედლის გალ-
ღობას, სიმხურვალე აკლდა... და რა... დავრ-
ჩით ისევ ცალ-ცალკე... უაზროდ დავხეტია-
ლობთ ქუჩებში, ვიძენთ უამრავ ნაცნობ-მე-
გობრებს და ვერთობით მათთან ერთად. შემ-
თხვევით შეხვედრის დროს არ ვიშურებთ სით-
ბოს და სიყვარულს, გვინდა თუ არ გვინდა,
ვუღიმით ერთმანეთს და... მერე... მერე ისევ
ჩვეული რიტმით ცხოვრება ახლად გაცნო-
ბილ ადამიანებთან... ჩვენ შორის აღმართულ
კედელს კი ემატება და ემატება აგურები.
ჰოდა, მოემატოს, ამოივსოს და თანაც ისე,
რომ ვერასოდეს ვნახოთ ერთმანეთი და ვე-
რასგზით მივაწვდინოთ ერთმანეთს ხმა, —
ვყვირი ჩუმად.

კაფეში უამრავი ხალხია, მაგრამ მე ხელს
არავინ მიშლის. ვხვდები, რომ მათი ნაწილი
ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები კიდეც,

თუმცა რიჩარდ ბახის თოლიასავით ალბათ რაღაცით ვარ „დაავადებული“ და აქ მყოფებს ირონიული ღიმილით ვუსწორებ თვალს. რა უფლება მაქვს?.. ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვხედავ მთელ ჩემს ადამიანურ უძლურებას, ეგოიზმს, პატივმოყვარეობას, შენიღბულ სურვილებს, რომელიც რუკასავით მეშლება თვალწინ. შეშინებული ვიკრებ ძალას და ვიცი, ალბათ, წუთით მაინც შევძლებ საკუთარი სისხლის მიმოქცევის დამორჩილებას, მის შეჩერებას, ფოკუსის გასწორებას და რაღაცის ნათლად დანახვას, მაგრამ მხოლოდ წუთით... შემდეგ? შემდეგ რა მოხდება?.. მხოლოდ წუთია წუთისოფელი?!.

მუზა მოფრინდა. კალმისტარი ვიპოვე ჩანთაში და ხელსახოცზე გაუგებარი, გაურითმავი (თუ უფრო სწორად, გასარითმი) სიტყვების კორიანტელს ვაყენებ. ბოლოს ასეთია ჩემი ნაცოდვილარი:

ვზივარ მარტოდმარტო... ველოდები...

არ ვიცი რას, მაგრამ ველოდები...

სული მოუსვენრობს... სხეულს აიძულებს იყოს დაძაბული

გონებას ახვევია ნისლი წუთით გაფანტული

ვაჩერებ ამ წუთს და თითქოს ვხვდები:
წარმოსახვაა ალბათ ჩემთვის ყველაფრის მიზეზი.
და მაინც... რა არის მიზეზი?
მიზეზი?!
ოცნებებში ვიხეტიალე, ვერ მივაგენი
მიზეზი?!
რისთვის იბადება ადამიანი?
შიოდეს, სწყუროდეს, ციოდეს, იტანჯოს, ეწამოს,
ილვენთოს ვით სანთელი, მკრთალი და მტირალი
მიზეზი?..
რატომ?..
რისთვის?..
ვისთვის?..
და კიდევ:
უყვარდეს, უთანაგრძნოს, უხაროდეს,
სწამდეს, მოეფეროს, სიცოცხლე შეიყვაროს...
და ისევ...
მიზეზი?..
რატომ?..
რისთვის?..
ვისთვის..

ველოდები...

არ ვიცი რას, მაგრამ... მაინც ველოდები...

ჩემი ფანტაზიის გოგონაც რაღაცას ელოდება. მასაც უყვარს, ძალიან უყვარს და ენატრება... სხვანაირად ენატრება. მეგობარი ბიჭის თვალებში ამოკითხული დაწყებული აზრის დამთავრება ენატრება. ვინმეს ეჯიბრება, თუ საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებს? ჰო, ალბათ ასეა... ჭიქაში ყინულის ნაჭრები ნელ-ნელა დაპატარავდა და ბოლოს გაქრა... შეჩერებული წუთიც დასასრულს მიუახლოვდა. გავდივარ გარეთ. ჩემი მზერა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, გამჭვირვალეშუშებიან კაფეს ხვდება. ფანჯარასთან ლუდით ხელში ჭროღათვალება ზის და გამვლელებს ათვალიერებს. ათვალიერებს კი? თუ ისიც თოლიამ წაიყვანა შორს?..

ჭროღათვალება:

ჯერ არ დავბადებულვარ...

ზამთარია. მზე მაინც ანათებს. ჩამავალი სხივების ფონზე, გაშლილ ჰორიზონტზე საო-

ცარი სურათი იშლება. მოჩანჩალებენ: ჯერ ცხენი, უკან კაცი, ბოლოს ძაღლი... სამეული მარტოობისა. არცერთს ესმის ერთმანეთის... თუმცა, იგრძნობა ბუნების ხიბლი, მასთან შერწყმა, გაოგნება...

ღირს ნახვად... ყველა მხრიდან ეკლესიები, ციხეები... შორს აჩრდილთა ლანდები... შემდეგ კმაყოფილება იმისა, რომ გეკუთვნის შენ... ჯერ ვერ ნაგართვეს... ნისლში საოცრება... მზეში საოცრება... შემოდგომაზე საოცრება... ზამთარში თოვლი, დიდი თოვლი, ერთგული მგლების ყმუილით გაჯერებული... უდაბნო პიროვნებათა... გარშემო თითქოს სიმარტოვე, სიმკაცრე... დავით გარეჯელი... ნეტავ, როგორ მონახა ჩვენს მიწაწყალზე უდაბნო? საინტერესოა, უცნაური... მაგრამ ამ უდაბნოშიც არის ნაწილი მცირე ოაზისისა, ბერთა ნაბრძოლი — ორ ხევს შორის მომწყვდეული ვენახი, მუხა, კაკალი, ვაშლი, და იქმნება, დღეს ჯერ განუცდელი, და თუ განცდილი, ვერ აღქმული მიკროსამყარო...

ისევ ზამთარი. უგზოობა. შინაურებმა არაფერი იციან. რამდენიმე ადამიანი ვერ ახერხებს მონატრებულ ქალაქში დაბრუნე-

ბას. ერთ-ერთი მამაჩემია. აი, თურმე როგორ დააღწია მტვერს და უამრავ საქმეს თავი. რა ენაღვლებათ, ძმაკაცებს ღვინით სავსე რამდენიმე ტიკი შემოუნახავთ და ილხენენ დიდად. თუმცა მამას შეშფოთება ეტყობა. მე ხომ მალე უნდა დავიბადო. დავასწარი მამას ჩამოსვლას. ორი კვირა ვიყავი უსახელო.

გავიდა ბევრი წელი... ამდენ ხანს ვიჯექი უსაქმოდ და ველოდი წამს, როდის შემეძლებოდა წერის დაწყება. ამაოდ... ეტყობა, საჭირო სულაც არ არის ელოდო რაღაც წამს, რაღაც გამობრწყინებას. ყველაფერი სისულელეა... ერთს მივხვდი, მთავარია დაიწყო და თუ რამე გაქვს სათქმელი, იტყვი. შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ატარებდე რაღაც აზრს თავში და გსურდეს მისი გადმოტანა ქაღალდზე, მაგრამ გადმოიტან თუ არა, მაშინვე ხვდები, რომ ხელოვნურია და ძალად შეკოწიწებული. თუმცა, „ჩვეულებრივიც“ შეძლებს რამე ღირებული შექმნას; თუკი წინადადების აგების ელემენტარულ წესებს თავის დროზე გაეცნო საფუძვლიანად. ამ დროს ნაკადად მომდინარე ეიფორიული განწყობა სიტყვებად ყალიბდება და ერთი ხელის მოსმით გადა-

დის ქაღალდზე. მთავარი სიმარტივეა... პოტენციური მწერლების დიდი ნაწილი ვერ აღწევს ამას. ზოგი საერთოდ ანებებს თავს მწერლობას, ზოგი ამბობს, რომ წერას შეუდგება თავისი ცხოვრების დამასრულებელ, მესამე ფაზაში. არ უწყიან, რომ მათი იმედები არ გამართლდება. ისინი ვერასდროს შეძლებენ შექმნან რამე ღირებული ან საერთოდ ვერ მოიცლიან ამ საქმიანობისთვის. მე მაინც ვბედავ... ალბათ ძალზე სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ თავისუფალი ხარ ამქვეყნიური მრავალი ვალდებულებისგან. კმაყოფილებას განიცდი, როდესაც დილით გაიღვიძებ და იცი, რომ არსად ხარ წასასვლელი, არავინ შეგაწუხებს. მხოლოდ შენ თავს ეკუთვნი, ყოველ წამს შეგიძლია მიუჯდე მაგიდას და...

...შუადღე გადასული იყო, როდესაც დაღლილ-დაქანცული მივუყვებოდი ბილიკს ქვემოთ. მზისგან გაბრუებულ თავში ათასი აზრი მიტრიალებდა: სამზარეულოში სადილი მელოდება... ვითამაშებ ჯოკერს... საღამოს ალბათ ისევ სმა თავდავიწყებამდე. აღარ შემიძლია, მაგრამ სხვაგვარად გავგიჟდები... რისგან? არ ვიცი. ალბათ მიუჩვეველი გრძნობა

მაწუხებს თავისუფლებისა... არავის ველი და არავინ მელოდება. თითქოს კარგია, მაგრამ... კარგი იქნება ცივი შხაპი. ნეტა, არავინ შემასწროს.

შორიდან გოგონას სილუეტი დავლანდე, რომელიც ქვემოდან მოუყვებოდა ბილიკს. მოახლოებისას გავარჩიე მისი ნაკვთები. გულში გამკენწლა. არ ვიცნობდი, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლობდა და იქ ვხედავდი ხშირად. მასთან შეხვედრის დროს ყოველთვის მიჩნდებოდა გრძნობა, რომ საშინლად არ მოვწონდი. ყოველთვის ცივად მარიდებდა თვალს. ახლა განსაკუთრებით მომხიბლავად გამოიყურებოდა. გრძელი სწორი თმა ისე ჰქონდა დაყრილი მხრებზე, თითქოს ეფერებოდა. — „გამარჯობა", — მომესალმა ცივად და ჩამიარა. მეც მივესალმე და გავაგრძელე გზა.

მაშინვე გადამავიწყდა...

საღამო ხანია. ყოველდღიური სიმთვრალის რიტუალის გასამეორებლად ნელ-ნელა მივუსხედით სუფრას. ვსაუბრობთ, ვიცინით, ვმღერით და საერთოდ ვჩალიჩობთ იმას, რასაც ჩვენში დროსტარებას ეძახიან. ღვინო თა-

ვისას აკეთებს და ჩვენც ნელ-ნელა გვეხსნება ლაპარაკის მადა. ჩამობნელდა. სინათლე, როგორც ყოველთვის, ახლაც არ არის. გოგონებმა სენაკიდან სანთლები გამოიტანეს. უკვე სიმღერაც შემოვძახეთ. თამადა თვალებით რაღაცას ეძებს. გამეღიმა. მივხვდი, რომ მისი ძიების საგანი განსხვავებული სასმისია. თავში აუვარდა უკვე ღვინო. გვერდით ოთახში გოგონები რაღაცას ღიღინებენ, ჩვენი კამპანია არ მოსწონთ. ამბობენ, რომ ხარებივით ვღრიალებთ. და საერთოდ, ყველაფერი ჩვეულებისამებრ მიდის — არანაირი წინათგრძნობა, რომ რაღაც ახალი მოხდება. ამ დროს ჩემი მზერა ბილიკზე უცაბედად ნანახ გოგონას ეცემა, რომელიც სულ ამომივარდა თავიდან. ჩაფიქრებული, სევდიანი სახე აქვს. მეგობრებს ესაუბრება. თითქოს რაღაც აწუხებს, გამოთქმა უნდა და თან საშინლად განიცდის, რომ ამ ყველაფერს სხვას უზიარებს. სხვა გასართობი იმ წამს არაფერი მქონდა და გავაგრძელე მასზე დაკვირვება. საუბრისას უმისამართოდ ამომხედა ერთხელ და დავინახე ის, რაც ალბათ არც უნდა დამენახა: საოცარი შინაგანი სილამაზე, თავგანწირვა.

ვისთვის შეეძლო ამის გაკეთება? მაშინ ვერც მივხვდი, თვალებიდან იფრქვეოდა ეს საოცრება, თუ უბრალოდ, გამომეტყველება ჰქონდა ასეთი.

უეცრად ისევ დავინტერესდი...

მაშინვე მომინდა გამეგო, ვინ იყო, რას წარმოადგენდა. უცნაურია, ნეტავ რატომ არ მოვწონდი მას ასე ძლიერ, რატომ მალავდა იმ რალაც გაურკვეველ ზიზღს და რატომ ვხვდებოდი მე ამას ასე აშკარად. ჩემდამი ასე ანტიპათიურად განწყობილი უცნობი ადამიანი ჯერ არ მინახავს. ფიქრებიდან თამადამ მომწყვიტა, რომელსაც ყვავილების პატარა ლარნაკი ეპოვნა, დაელია და ახლა ჩემთან გადმოდიოდა ალავერდს. — დამილიე, თუ ძმა ხარ, სიყვარულის სადღეგრძელო. მხრები ავიჩეჩე, ჩვეული რიხით შევუდექი სადღეგრძელოს. როგორც იქნა, დავასრულე. უფრო სწორად, გამაწყვეტინეს — ყელი გაშრაო. შემდეგ მორჩილად მოვიყუდე ლარნაკი. მომიღებს ბოლოს — ვფიქრობდი და თვალებს ვაცეცებდი გამჭვირვალე ლარნაკის თხელი კედლებიდან. კინაღამ გადამცდა. გოგონას ლაპარაკი მოემთავრებინა და ჩუმი წყრომით

მიყურებდა. ისიც შეცბა — არ ელოდა მის მზერას თუ დავიჭერდი. თავი ისევ დახარა... თუმცა რა, სიყვარულის სადღეგრძელოს კიდევ ერთი ლარნაკი მოჰყვა, მას მეორე, შემდეგ კიდევ ერთი და...

გოგონა ისევ ამომივარდა თავიდან...

დილაა. ჩემს თავზე ბუზები დაჭერობანას თამაშობენ. უაზროდ ვიქნევ ხელებს. ვებრძვი მათ, როგორც შემიძლია. ბოლოს ველარ ვუძლებ და გინებ-გინებით ვდგები. ვიხედები სარკეში — სახე, რა თქმა უნდა, დასივებული მაქვს, თავის ტვინიც იმავე მდგომარეობაშია. ნეტა რა მასმევს. ნახევარ საათში მონასტერში უნდა ავიდეთ და თაკარა მზეზე ვიმუშაოთ. ვიხედები ფანჯარაში, მამაო და გოგონები ჩამოდიან დილის ლოცვიდან. ალბათ, მალე საუზმეც მზად იქნება. თავი კი მისკდება, მაგრამ კარგ გუნებაზე ვარ. მშვენიერი ამინდია. ამ დროს იღება კარი და შემოდის „ის“. ილიმება, მესალმება და გარბის პირსაბანისკენ. ნუთუ მეჩვენება მისი ღიმილი, თუ აქამდე ვცდებოდი? თუმცა არა, არ მგონია.

ისევ დამაინტერესა...

დღეები შეუმჩნევლად მიჰქროდნენ. თან-

დათან დავუახლოვდი ბილიკზე შეხვედრილ გოგონას. ვცდილობდი ყოველთვის მის გვერდით ვყოფილიყავი. შემდეგ აღარ ვცდილობდი და მე და ის მაინც სულ ერთად ვიყავით. თუმცა არა, ის ყველასთან ერთად იყო და მე კი მხოლოდ მასთან.

ჩვენი გარეჯში ყოფნის დასასრული ნელ-ნელა მოახლოვდა. მახსოვს, ერთ-ერთ ბოლო საღამოს ყველანი სუფრას ვუსხედით. მაგიდის ერთი ბოლოდან მეორეში მისკენ თვალი გამექცა და მაშინ მივხვდი პირველად, რომ მიყვარდა. მივხვდი და გამიკვირდა... ლარნაკმა იმ დღესაც დამღუპა... იმ საღამოს საკუთარი თავიც დამავიწყდა. მეორე დღეს რაღაც ლექსების წიგნი გამოვართვი და სულ შემთხვევით აღმოვაჩინე შიგ ჩადებული პატარა წერილი. წაკითხვა არც მიფიქრია, მაგრამ ძალიან მოკლე იყო და თვალის ერთი შევლებით, მივხვდი ყველაფერს... მას ვიღაც სხვა უყვარს...

გოგონა გადამავიწყდა...

რა იქნება შემდეგ? ალბათ შემხვდება და...

დავინტერესდები...

ახლა? ახლა სად ვარ? კაფეში. ლუდს ვწრუპავ, დრო გამყავს. გუშინდელ ჩანაწერს ვაანალიზებ და საღამოს რვა საათს ველოდე-ბი. ბიჭები კაი ადგილას ვაპირებთ წასვლას. გამჭვირვალე შუშიდან გამვლელებს ვათვა-ლიერებ... არც გამკვირვებია მისი დანახვა. ქარი უწეწავდა ცეცხლისფერ თმას...

IV

ცეცხლისფერთმიანი

თავისუფლების მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელს ვუახლოვდები. ქვის მოაჯირზე მარცხენა ხელით ხელჯოხს დაყრდნობილი ბერიკაცი თავდახრილი დგას. გაცვეთილი ტანისამოსი აცვია, თავზე სვანური ქუდი ახურავს. მარჯვენა ხელი გაშვერილი აქვს და გამვლელებს უსიტყვოდ სთხოვს დახმარებას... შორიდან ჭროღათვალება შევამჩნიე. ფეხს ავუჩქარე. მინდა დავეწიო. ის კიბეს უახლოვდება. მათხოვარს ესალმება და ხელში ფულს უდებს. წუთით თუ უფრო მეტით ჩერდება მასთან და მიდის. მეც მივედი ბერიკაცთან. გვერდით ჩავუარე და ორმოცდაათთეთრიანი ხელში ჩავუდე. ცნობისმოყვარეობა მკლავს. რატომ მიესალმა ასე თბილად ჭროღათვალება? საიდან იცნობს? დავაპირე უკვე გზის გაგრძელება, მაგრამ მოვბრუნდი და

ბერიკაცს ვკითხე:

— საიდან იცნობთ იმ ყმაწვილს?

ბერიკაცმა სახე ოდნავ ასწია და მისმა უსაზღვროდ სევდიანმა თვალებმა ადგილზე მიმაჯაჭვა. უკვე ვინანე, რომ ზედმეტად შევაწუხე ცხოვრებისგან ისედაც ნაცემი ბერიკაცი. აკანკალებულ ხელზე ხელი დავადე და ისევ მივმართე:

— ცუდად ხომ არ ხართ, ბაბუ?

პასუხად ორი წვეთი ჩამოუგორდა გაუპარსავ ღაწვებზე.

— ეჰ, რა აზრი აქვს, შვილო, ჩემს ცხოვრებას? — თქვა მოხუცმა და მარჯვენა ხელი გულზე მიიდო. — სიკვდილს ვნატრობ და არ მაღირსა ღმერთმა. ალბათ, არც ვარ ამის ღირსი.

სიბრალულმა ამიტანა და მის გვერდით ჩამოვჯექი. შემდეგ გაუბედავად ვკითხე:

— იქნებ საუბარმა გამოგიკეთოთ გუნება... მომიყევით რამე თქვენზე.

— არ ღირს მოყოლად, მაგრამ რადგან მთხოვთ... — ისიც ჩამოჯდა ჩემს გვერდით.

ვუსმენდი ბერიკაცს და მაკვირვებდა მისი დახვეწილი საუბრის მანერა. ასე ხომ მათხ-

ოვრები არ საუბრობენ. ისტორია, რაც იმ დღეს მოვისმინე, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე გამყვება... ბერიკაცმა კი ასე დაიწყო:

— არ მინდა ვინმეს შიოდეს, წყუროდეს, მინდა ყველას საკუთარი კუთხე გააჩნდეს, სადაც ბალიშზე თავის დადებას მშვიდად შეძლებს. ისე მინდა ადამიანებმა იცხოვრონ, რომ მრავალი ათეული წლის შემდეგ, როცა გარდაიცვლებიან, ბნელმა ძალებმა თქვან: დაგვაგვიანდა... მისი წაყვანა ანგელოზებმა დაგვასწრეს. ეჰ, როგორ მინდოდა ჩემს შემთხვევაშიც ასე ყოფილიყო. პატიოსნად ვიცხოვრე, მაგრამ ვერ გამიზრდია შვილი თურმე... ერთ დროს მეც მყავდა ბედნიერი ოჯახი. მყავდა მეუღლე და ერთადერთი ვაჟი, რომელსაც არაფერს ვაკლებდით. თავნება კი იყო ყოველთვის, მაგრამ მეგონა, დაღვინდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებამეთქი. შევცდი ძალიან. მაშინ თანამდებობის პირი ვიყავი და მისთვის ნაკლებად ვიცლიდი. როგორც ჩანს, მამის ხელი დააკლდა ბიჭს. ჩემი ბრალია, ვის დავაბრალო. ჩემი მეუღლე კი იმდენად ლოიალური და ფაქიზი ქალი იყო, რომ ბრმად სჯეროდა შვილის კარგი ადამი-

ანობის. ბიჭი წამოიზარდა. არ ვიცი საიდან და რა გზით, მაგრამ თავისი საქმეც წამოიწყო, ხელიც შევუწყვე. საქმე კარგად მისდიოდა და მეც გავიხარე მისი მოხერხებულობით. მახსოვს, ერთ დღეს, სათნო (მაშინ ასე მომეჩვენა), ლამაზი გოგონა მოიყვანა სახლში და გაგვაცნო — ჩემი საცოლეაო. მალე იქორწინეს კიდეც. მე და ჩემს მეუღლეს მეტი რა გვინდოდა. შევხაროდით ბედს და ვიცოდით, მალე ჩვენი შვილები შვილიშვილითაც დაგვაჯილდოვებდნენ. სხვა რა უნდა ინატრო კაცმა?.. ეჰ, თურმე როგორ ვცდებოდი... პენსიაზე გავედი, მეუღლეს არც არასდროს უმუშავია. სულ მალე რძალმა აგვითვალწუნა, შვილმაც არ დაგვანია კარგი დღე და ჩვენს ხუთოთახიან ბინაში უკვე სტუმრად ვგრძნობდით თავს. ვცდილობდი თვალში არ მოვხვედროდი ახალდაქორწინებულებს და ჩემს კაბინეტში გამოკეტილი მხოლოდ წიგნებთან ვმეგობრობდი. ჩემი ერთგული მეუღლე კი ყოველთვის გვერდით მეჯდა ხელსაქმით ხელში და სევდიანი თვალებით ითხოვდა დაუსმელ კითხვებზე პასუხს. მაშინ მეგობრების დიდი წრე მყავდა, თუმცა, ვინც ამ დღეში ჩავარდნი-

ლებს ორჯერ მაინც გვეწვია, მესამედ აღარ მონდომებია ჩვენს ოჯახში მოსვლა....

იმ წუთას ჩემი ბავშვობის ნატვრა გამახსენდა — როცა გავიზრდები და ბევრი ფული მექნება, აუცილებლად ავაშენებ მოხუცთა თავშესაფარს. მოვეფერები მათ, მივხედავ და რაღაცით მაინც გავახალისებ-მეთქი, — სევდიანი ღიმილი მომგვარა ამ მოგონებამ.

— აქ ხომ არ შემეწყვიტა ჩემი ისტორია. იქნებ, ასე სჯობდეს, — მკითხა და შემომხედა.

— არა, გთხოვთ, განაგრძეთ.

ბერიკაცი აღელდა. რამდენჯერმე სცადა საუბრის გაგრძელება, მაგრამ ხმა ვერ დაიმორჩილა. შემდეგ ოდნავ დაწყნარდა და განაგრძო:

— ერთ დღესაც ჩემი ვაჟი სახლში მთვრალი მოვიდა. გამიკვირდა, პირდაპირ ჩვენი ოთახისკენ რომ აიღო გეზი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი კაბინეტი ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვის ოთახად გადააკეთეს. მე და ჩემს მეუღლეს კი საკუჭნაოსა და დერეფნის ნაწილის ხარჯზე, პატარა ოთახი ამოგვიშენეს, სადაც ძლივს ეტეოდა ორი ვიწრო სა-

წოლი და პატარა კარადა. შვილმა ჩემს ახალ სოროში წიგნების შეტანაც ამიკრძალა — რა დროს შენი წიგნებია, თუ გინდოდა რამის სწავლა და გაგება, აქამდე გექნაო! მოკლედ, შემოვიდა ალეწილი სახით, გაიჯგიმა ჩვენს წინ, ჯერ კარადას წაკრა ხელი, შემდეგ დოინჯი შემოირტყა და საზეიმო ხმით განაცხადა: გიხაროდენ, გიხაროდენ, სამსახური გიშოვეთ. მშვენიერი ადგილია, თან საცხოვრებელიც იქვე გექნებათ. ერთი ოთახია — ორი საწოლით, ორი სკამით, პირსაბანით, ტუალეტი საერთოა, მაგრამ ამასაც ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიეჩვიოთ! თქვენს ტანისამოსზეც ვიზრუნე, ახლავე შემოგიტანთო, — დაამატა მხიარულად და თავის ლილიკოს ტომრის შემოტანა სთხოვა. ცოლ-ქმარმა ტომარა იატაკზე დაფერთხა და იქიდან ძველმანებში ნაყიდი ქალის და კაცის თითო-თითო ხელი ტანისამოსი გადმოიყარა — გაქუცული, მათხოვრის ტანისამოსი. დამიბნელდა ალბათ იმ წუთს გონება, რადგან შემდეგ დიდი ხნის მანძილზე აღარაფერი მახსოვს. გული წამსვლია... ჩემს ვაჟს მოწყალება გამოუჩენია და ჩემს მეგობართან (კარდიოლოგია) მივუყ-

ვანივარ — აგერ არის შენი ბავშვობის მეგობარი და თუ გინდა გადაარჩინეო. მეუღლე არ მომშორებია გვერდიდან თურმე... ერთი თვის შემდეგ გამომწერეს საავადმყოფოდან. სულ ჩემი მეგობრის ხარჯზე ვყოფილვარ და თვალი რომ გავახილე, უკვე დადიანის ქუჩაზე, ნახევრად სარდაფში ვიყავი, რომელსაც ჩემი სახლი ერქვა. ვიცი, ყველას თავისი ცხოვრება აქვს. ვერავის შევაწუხებდი. რა უნდა გვექნა? შიმშილით ხომ არ მოვკვდებოდით? ჩავიცვით მე და ჩემმა მეუღლემ შვილის ნაბოძები ძონძები და გავედით ჩვენთვის მიჩენილ ადგილას... თავდახრილები პურის ფულს ვშოულობდით ძლივს. ის ყმაწვილიც, თქვენ რომ მკითხეთ, ალბათ ღმერთმა გამოგვიგზავნა. ლარს, ხანდახან ორსაც, ყოველდღე იმეტებდა ჩვენთვის...

— თქვენი მეუღლე სად არის?

— ჩემმა მეუღლემ ვერ გაუძლო ამდენ დამცირებას. ის ალბათ უფრო მართალი იყო ღმერთთან. ანგელოზებმა შეისმინეს მისი ვედრება და ორიოდე თვის წინ წაიყვანეს თავისთან. მე კი, მე უბედური, არც ამის ღირსი ვარ ალბათ... თქვენც ასე ფიქრობთ?..

ვერაფრით ვანუგეშე მოხუცი. განა რას შეცვლიდა ჩემი აზრი?! მისი საცოდაობით ვიწვოდი. დავპირდი, რომ ხშირად მოვიდოდი მასთან და დავემშვიდობე. საშინელ ხასიათზე დავდექი. გავუყევი რუსთაველის გამზირს. ნაცნობი შემხვდა, ნაძალადევად გავუღიმე და ფიქრით ისევ „მათხოვარს" დავუბრუნდი. შვილი?.. შვილზე რას ვფიქრობ?!. ის ალბათ იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც უბედურ ვარსკვლავზეა გაჩენილი. რომელმაც წინდაწინვე იცის, რომ ჯოჯოხეთი არ ასცდება და სანამ სული ამოხდება, უნდა რომ სამყაროს ბოროტების აღზევება უჩვენოს. ასეთი ადამიანის გულსა და გონებაში ნათელს ადგილი არ აქვს. მისი ცხოვრება იმ წყვდიადიდან გამოსულ რაღაც დაკლაკნილ ხაზს ჰგავს, გველს რომ მოგვაგონებს — სველი კანით, წვეტიანი ენით, ბოროტი თვალებით, რომელსაც ადრე თუ გვიან საკუთარი ხელით გამოძერწილი თოკი მოახრჩობს...

მოხუცს ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე ვხედავდი და როგორც შემეძლო, ვამხნევებდი. შემდეგ მასაც, მეუღლის მსგავსად, ანგელოზებმა მოაკითხეს...

...ბერიკაცთან შეხვედრით მიღებული იარა თანდათან უფრო გაღრმავდა, გაიზარდა, გაცხოველდა და ჩემს გულში სამუდამოდ დაიდო პატარა ბინა...

ჭროღათვალება

ვიღაცამ თქვა: „ჩემი აღმსარებელი ზღვაა“, მე კი ვამბობ, რომ ჩემი აღმსარებელი ქუჩაა... დავიბადე და ქუჩაში გავედი, ბავშვი ვიყავი და ქუჩამ გამზარდა. ქუჩაში ვისწავლე უამრავი რამ. ახლაც ქუჩაში ვარ...

სახლიდან რომ გამოვედი, არც წვიმდა, არც დილა იყო, არც ბნელოდა, არც მზე ანათებდა ცაზე. სულშიც ასეთივე გრძნობა გახევებულიყო. რაღაც საშუალო, აუტანლად უნიათო და არაფრისმთქმელი. ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის, რა მინდოდა, ვერაფერს ვუპასუხებდი. ალბათ ყველა შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმდებოდი. არადა, როგორ ვერ ვიტან ცხოვრების ამგვარ დღეებს, თავი რობოტი მგონია: დილით გაღვიძება, სამსახური, რომელიც არავის სჭირდება, შემ-

დეგ სადილი სახლში თავისი ყოველდღიური სუპითა და კატლეტებით. შემდეგ ტელევიზორი, ვახშამი, ქუჩა, ისევ საწოლი, თავისი რომელიმე უნიჭო რომანით ძილის წინ და ასე დღეგამუდმებით. თუმცა, არის გამონაკლისებიც. და მეც ისევ ქუჩაში ვარ, რამე საინტერესოს მოლოდინში. ქვემოთ ჩავუყევი. საშინელი ბული იდგა, არა სიცხის — მტვრის. სიონთან შევჩერდი, სამრეკლოს მივაჩერდი, იქნებ ზარები ჩამოერეკათ. ყოველთვის მეგონა, ზარების ხმას თუ გავიგონებდი, რაღაც მოხდებოდა ჩემთვის ახალი, რაღაც საინტერესო, მნიშვნელოვანი... შორეულმა ნაცნობმა, სმა-ჭამით გასიებულმა, გამომარკვია. ვერ ვიტანდი ამ ადამიანს, რომელიც მზერას ვერავის უსწორებდა და უაზროდ აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, თითქოს შემს წინაშე რაღაც დანაშაული აქვს ჩადენილი და არ იცის, როგორ გამოგიტყდეს. ახლაც, რაღაცას მელაპარაკება, მე კი უკან-უკან ვიხევ. ბოლოს მისი მზერა გადააწყდა ჩემს ზიზღიან და მოუთმენელ თვალებს. მიხვდა, რომ ცოტაც და... სასწრაფოდ გამომემშვიდობა და გამეცალა. ისევ წავედი ფიქრებში. უეცრად

ზარების ხმა შემომესმა, შევხედე სამრეკლოს და გაუთვითცნობიერებლად პირჯვარი გადავიწერე. მაგრამ სამრეკლოზე არავინ ჩანდა. მოპირდაპირე მხარეს, ჩასახვევში, ნაგვის მანქანაზე მხედართმთავარივით შემომჯდარიყო შავგვრემანი მამაკაცი ხელთათმანებში და ზარის ცემით ამცნობდა მოქალაქეებს... და ალბათ იმასაც, რომ ცხოვრება არაფერია. რაც იყო, იმად დარჩება და ყველა ადამიანი ისევ და ისევ უნდა ეწეოდეს ყოველდღიურ, მომაბეზრებელ, მძიმე, უსინდისო უღელს და რომ საშველი არ არის...

შემოვტრიალდი და ნელ-ნელა ავუყევი აღმართს. მხოლოდ ერთხელ ავწიე თავი, როდესაც რეტროს სტილში გაფორმებული ბუკინისტური მაღაზიის კარი გაიღო და ზანზალაკის ხმა კვლავ შემომესმა... ახლა? ახლა სად წავალ? ყოველდღიური რიტუალის აღსასრულებლად. ერთი მოხუცი მელოდება მიწისქვეშა გადასასვლელთან. მივალ ბერიკაცთან, ლარიანს ჩავუდებ ჯიბეში, ერთ-ორ თბილ სიტყვას ვეტყვი და ისევ გავუყვები ქუჩას... ასეც მოვიქეცი. რატომღაც საუბრის ხასიათზე არ ვიყავი და მალევე დავემშვიდობე.

რატომ ასე ცივად და სწრაფად? ის ხომ მხოლოდ ჩემნაირების იმედზეა, ის ხომ იმით ცოცხლობს, რომ ნორმალური საუბარი ენატრება... უჰ, რა საშინელი ვარ. — გავუბრაზდი თავს... გონებაში დიდიხნისწინანდელი ამბავი ამოტივტივდა: მახსოვს, სიგარეტი ვთხოვე ვიღაცას ქუჩაში. სანამ ვუკიდებდი, ჩემი ყურადღება იქვე, მაღაზიასთან პურის უზარმაზარმა რიგმა მიიპყრო. რიგში უმეტესად ქალები იდგნენ, ჭყლეტვაში სიცხისგან გათანგულები, მაგრამ შეუპოვარნი ოჯახის დასაპურებლად. გზის გაგრძელება რომ დავაპირე, რიგი აიმღვრა. მამაკაცები იყვნენ, რომელთაც ეტყობა დგომა მოსწყინდათ, ამოხეთქილ ლავასავით მიაწვნენ ქალებს და გამოდევნეს რიგიდან. ფაციფუცით დაიტაცეს დახლზე დარჩენილი პური და გაუჩინარდნენ. ქალებმა ნელ-ნელა დაშლა დაიწყეს, აღშფოთებაც დაცხრა. უეცრად დავინახე თვალები, თვალები უმწეო და ცრემლებით სავსე, რომლებიც თითქოს შეცოდებასა და შენდობას ითხოვდნენ. მოხუცი ქალი რაღაცნაირად უჩვეულოდ იდგა, ერთდროულად უღონობა და ჩუმი პროტესტი გამოიხატებოდა მის სახ-

ეზე. ბაგეებით რაღაცას ჩურჩულებდა. გული შემეკუმშა. ჯიბეები ამოვიტრიალე და მხოლოდ ხურდა ფული აღმომაჩნდა. ხელის გულზე დავიყარე და მოხუც ქალს მივაწოდე. ჯერ შეცბა, მერე სახე გაუბრწყინდა, მადლობა გადამიხადა და წავიდა... ახლა რაღა დამემართა?! რა ცუდად მოვიქეცი, — გავიფიქრე კიდევ ერთხელ და უკან, ისევ ბერიკაცთან მისვლა გადავწყვიტე. შორიდანვე დავინახე, მოაჯირზე ჩამომჯდარიყო საწყალი, მაგრამ მარტო არ იყო და თვალის შევლებისთანავე მივხვდი, ახლა ვინ ანუგეშებდა და ვინ იყო მისი ტკივილის გამზიარებელი. ისევ ის ცეცხლისფერთმიანი გოგო. რა უნდა? რატომ დადის ჩემს ნაკვალევზე, თუ მე დავდივარ მის გზაზე? რამდენჯერ უნდა ვნახო? და საერთოდ, ვინ არის? — ეს და კიდევ მრავალი კითხვა გამიჩნდა. — მივიდე?.. არ მივიდე?.. ბოლოს ისევ არმისვლა ვარჩიე. გზა განვაგრძე. კინოთეატრს ჩავუარე. შესასვლელში შუქი ენთო. შიგნით სათამაშო მანქანებს ხალხი შემორტყმოდა გარს. შევედი. დავაკვირდი მათ. გამეღიმა ბედის უკულმართობაზე და ჯიბეში ფული მოვისინჯე. ჩემს გონებაში ავანტიურიზმმა

წამოიწია წინ და... თვალები ისევ თვალები, ყველგან თვალები — ხან საცოდავი, ხან სასტიკი, ხან ხარბი. ახლა თვალები ხარბი იყო, რომელიც ეკრანს მისჩერებოდა. გამაჟრჟოლა. სასწრაფოდ გამოვედი შენობიდან. სახლის გზას გავუყევი. ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ. არც კი გამიხედავს, ისე ჩავუარე მოთამაშეებს გვერდით. სადარბაზოსთან შევჩერდი. ფანჯარაში სინათლე გამოკრთოდა. ალბათ, ისევ ტელევიზორს უყურებენ. თავი ჩავღუნე, მოვტრიალდი და მოპირდაპირე მხარეს გავუყევი ქუჩას...

V

ცეცხლისფერთმიანი

ეჰ, რა გალევს ამ ღამით ღამეს... სად წავიდა სიმშვიდე?.. ფარდაზე უცნაური სილუეტები იხატება. მეშინია და სასთუმალს ვიცვლი...

ისევ სიზმარი... რომ დაგამსხვრევს, ნაწილ-ნაწილ დაგყოფს, ათას დაბრკოლებას შეგიქმნის და ბოლოს ისევ რაღაც ახლის ძიების გზას გიჩვენებს...

„— ილარიონ ბიძია, ილარიონ ბიძია...

— რა იყო, ბიძია...

— ომი დაიწყო ილარიონ ბიძია, ომი...“

შემდეგ უკვე ახლანდელი დრო — აჟიტირებული თინეიჯერები გულიდან ამოხეთქილ თუ კლიპიდან ამოგლეჯილ ფრაზას სკანდირებენ: **RED ARMY GO HOME... RED ARMY GO HOME... RED ARMY GO HOME...**

ძილბურანში ჩამესმის სროლის ხმა. გონე-

ბა პასიურად ფხიზლობს, თუმცა ხმა იმდენად ძლიერია, რომ ტვინის პასიურობა ჩარჩოს სცილდება და წარმოქმნილი იმპულსი თვალის გახელას ბრძანებს. ვემორჩილები. ყურში ჩარჩენილი სროლის ხანგრძლივობა ტვინში გადამუშავდება და მელოდიად ჩაბეჭდვას ცდილობს. ჩაიბეჭდა. ფირი გამჟღავნდა და ნეგატივმა ნელ-ნელა ფორმა მიიღო. ამის წყალობით უკვე ვითვლი ტყვიამფრქვევიდან გასროლის რაოდენობას. ცამეტჯერ ისროლეს... „ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი", — ამეკვიატა ნაცნობი ფრაზა. შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე. შიში და თავდაცვის ინსტიქტი ნელ-ნელა ესტივაციურ მდგომარეობაში გადადის და ძილი ისევ მეუფლება. არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა მშვიდობა. მერე უკვე მეგობართან ვარ სახლში. ღამეა. რა მინდა აქ? ან სად არის მისი ცოლ-შვილი? — ვეკითხები თავს და მოულოდნელ ადგილსამყოფელს გაათმაგებული გულისძგერით ვათვალიერებ. შუშაბანდში გავდივარ. ცოლ-შვილს არა, მაგრამ მეგობრის შიშით დათრგუნულ თუ ფიქრით დაღლილ სკამზე ჩაძინებულ სიდედრს ვხედავ.

ფიქრს და გაურკვევლობას კარზე ტვინის ამაფორიაქებელი კაკუნი ჩრდილავს. სიდედრი თვალს ახელს: — მოვიდნენ, უკვე მოგვაკითხეს... ჩეკისტები მოვიდნენ. როგორც ჩანს, ისიც სიზმარშია. დაძაბულობამ სხვა დროში გადაისროლა. ფხიზლდება და შუშაბანდს ნერვული ნაბიჯებით წინ და უკან ტკეპნის. თვალებით სიძეს ეძებს. შვილს და შვილიშვილებს რატომ არა?.. გაახსენდა. ისინი ხომ სადღაც გადამალეს. კარზე კაკუნი მეორდება. ქალი შიშით გაფართოებული თვალებით მემუდარება გარეთ გახედვას. მეც თითქოს არ მეშინია (ეს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ, რომ ჩემზე მეტად სხვას ეშინია), ვაწყნარებ მას და კარს ფრთხილად ვაღებ. არავინ ჩანს. გავთამამდი და გავედი გარეთ. კიბის პირველ საფეხურზე ქაღალდის პატარა ჩანთა გდია. ხელში ვიღებ და ვბრუნდები. რა უნდა იყოს? ცნობისმოყვარეობა მაიძულებს მის სწრაფად გახსნას. სამი ერთნაირი უცნაური ნივთი — დაძენძილი ძუაგაყრილი მუყაოს (თუ რაღაც მსგავსის) ფირფიტა, კისერზე ჩამოსაკიდებელი ფირფიტა! კისერზე? რატომ გამიჩნდა ეს აზრი? მეგობრის და სიდ-

ედრის თვალები უსაზღვრო სევდას გამოხატავენ. — რა იცოდნენ, რომ სახლში სამნი ვიყავით? თუმცა მათ ყველაფერი იციან, — ბუტბუტებს თავისთვის ქალი. შემდეგ სამზარეულოში გადის, ნახშირის ნატეხით (საიდან ნახშირი?) ბრუნდება და თითოეულ ფირფიტაზე ჩვენს სახელს და გვარს, პირად ნომერს და სისხლის ჯგუფს წერს. ეს რაღაა? — ვკითხულობ შეშინებული. — ამით უნდა ამოგვიცნონ... როცა აღარ ვიქნებით... — თავაუღებლად მპასუხობს მეგობარი. აღარ მინდა არაფრის გაგონება და იმ წუთას გონებაზე გაცილებით ძლიერ ფეხებს ვემორჩილები. გავრბივარ. მეგობარი ფეხდაფეხ მომდევს, დამეწია. — ამის გარეშე გარეთ გასვლა არ შეიძლება, დახარე თავი, — მეუბნება და ძუაგაყრილ ფირფიტას კისერზე მკიდებს. წამით მეყინება ძარღვებში სისხლი. შემდეგ ვგრძნობ საფრთხის გარდაუვალობას, მოსახდენი ხომ ისედაც მოხდება და... შიშიც მანებებს თავს. ფილარმონიასთან უამრავი ადამიანი დგას ანთებული სანთლებით ხელში. რატომ სანთლებით, და თუ სანთლებით, ღვთის სახლში რატომ არა? — ვერ ვმალავ გაოცებას. სანთ-

ლებს არიგებენ. მე და ჩემი მეგობარიც ვუერთდებით მათ. შიგნითაც შევაღწიეთ. ხალხი აშკარად მეტია, ვიდრე ფილარმონია დაიტევდა. ჰო, არ ვიცი, ასე იყო... გარედან ფილარმონია შიგნით სპორტის სასახლე აღმოჩნდა. შუაგულში კი სამკუთხედის ფორმის ეკრანი იყო დამონტაჟებული. და უცებ, „მახარობელი" ლევიტანის მსგავსი ხმის ტემბრი იქაურობას გააყრუებს და გარკვევით მესმის ჩემი სახელი და გვარი. ალბათ, საღამო ხანს, ვიღაცა ზომბირების ფხვნილის შემცველი თევზი ფუგუს მოზრდილი ნაჭრით გამიმასპინძლდა, ზუსტად გამოთვალა დრო, ადგილი და ახლა მეც, ამაღლებული ადგილიდან მისი ძალით დაპყრობილი და შთაგონებული, გადაჭედილ დარბაზს მრავალი მილიონი წლის წინ დედამიწის დიდ ტერიტორიაზე სიცოცხლის ნიშანწყალის გაქრობაზე მოვუთხრობ: — დაირღვა კვებითი ჯაჭვი, — გრგვინავს დარბაზში ჩემი წარმოუდგენლად ძლიერი ხმა. — დაიღუპა პლანქტონი, რომელიც ოკეანეების ბინადრების ძირითად საკვებს წარმოადგენდა. განადგურდნენ ბაქტერიები, რომლებიც მკვდარი ორგანიზმების უტილიზებას ემსახ-

ურებოდნენ. ზღვები და ოკეანეები სასაფ-
ლაოს დაემსგავსნენ... სასაფლაო... სასაფ-
ლაო... — მე უკვე აღარ მესმის საკუთარი ხმა.
სამეკრანიანი მანქანა ირთვება და რატომ-
ღაც ჩინეთის კედელზეა საუბარი: „მსოფ-
ლიოს დიდ სასაფლაოს" აგებენ... ზომბირე-
ბული ბრბო გახევებული მისჩერებია ეკრა-
ნებს, აღარ ეშინიათ სიკვდილის და „ეკონომი-
ურად მომზირლების" თავგანწირვით არიან
მოხიბლულნი. — გაუთავებელი მშენებლობა
დასრულდა. როგორ შექმნეს ადამიანებმა
მსგავსი საოცრება? — ისევ ისმის „ლევი-
ტანის" გამგმირავი ხმა. — ალბათ, გგონიათ,
იძულების წესით? გგონიათ, იქ, ცივ და ნეს-
ტიან სენაკებში, უდისციპლინო მუშახელს
ქვა-ღორღზე მუხლებით აყენებდნენ? არა,
ჩემო ხალხო, აქ დასჯის სხვა მეთოდი იყო გა-
მოყენებული. ყველაზე უსუსურებს ან ყვე-
ლაზე დაუმორჩილებლებს კედლებში ცოცხ-
ლად აყოლებდნენ. იყო წარმოუდგენელი თა-
ვგანწირვაც, როცა საკუთარ თავს საკუ-
თარივე ნებით სწირავდნენ კედელს. მილ-
იონზე მეტი ადამიანი ამ კედლის აშენებას
ცოცხლად შეეწირა. რატომ, რისთვის? იმის-

თვის, რომ მათი სახით კაცობრიობას ეჩვენებინა დიადი იდეა, მრავალი ადამიანის სიკვდილით გადარჩენილი „ჩვენი ღირსეული ხალხი“ — არ ჩერდებოდა შემზარავი ხმა... — ნამგალი და ურო! აი, რა გვჭირდება ჩვენ, დღევანდელ კაცობრიობას, რათა ვაშენოთ „მსოფლიოს უდიდესი სასაფლაოები“ ხალხის კეთილდღეობისათვის...

გონებას დაპატრონებული ზომბი წამით პასიურობას იჩენს და გულიც სწრაფად ბატონდება მასზე. აი, რას მეუბნება არარითმულად აძგერებული: ის საშიშია, ძალიან საშიში. სიძულვილი და უსამართლობა ყოველთვის იყო მის მხარეს, უბრალოდ, მან საოცრად „კეთილშობილური“ ნიღბის ტარება შეძლო. და შეძლო დღემდე... კიდევ ერთს შეგახსენებ: დიდი ხნის წინ, და მერეც, იყო დრო, როცა მისი „კეთილშობილების“ მიმართ რაღაცნაირად ეჭვი გაუჩნდათ ჩემნაირად აძგერებულ შენს მსგავსებს და როცა ეჭვის ფიალა ბოლომდე აივსო, რატომღაც ისე მოხდა, რომ დასახმარებლად, ისევ ამ „საშიშ კაცს“ გაუხსნეს გული. არ მისცე შენი შეცდომით მტკივნეულ სიცარიელეს კიდევ ერთხელ დასადგურების

უფლება... იყავი ღირსეული...

აჟიტირებული თინეიჯერები გულიდან ამოხეთქილ თუ კლიპიდან ამოგლეჯილ ფრაზას ისევ სკანდირებენ: ღ ღ ... ღ ღ ... ღ ღ ...

როგორც ჩანს, ისევ ღვიძილისკენ მივდივარ. რაღაც ხმები ბუნდოვნად შემოდიან ჩემში. რა ხმებია?.. სამყაროს გარშემო დაგდებული, ჯერ არაფეთქებული ნაღმების განაღმვა ხდება? შიშით ვძრწი. შიში იმდენად გადმოდის სიზმრიდან ღვიძილში, რომ უკვე თავს ქვემოთ ცივი ოფლით დანამულ ბალიშსაც ვგრძნობ. მაფხიზლებს სიცივე. ვახელ თვალს... ღმერთო, გმადლობ, რომ ეს მხოლოდ ზმანება იყო...

უკვე თენდება... მეზობელ ოთახში კომპიუტერის მაგიდასთან მჯდარი მამა ვიღაცას ინტერნეტში ნარდს ეთამაშება. ღია აივნიდან ჩიტების ჭიკჭიკიც წვდება ყურს... ღმერთო, გმადლობ, რომ გამითენე დღევანდელი დღე...

ვისაუზმე და გარეთ გავედი... არ ვიცი საით წავალ. ვიცი, რომ მზერით მოვეფერები ქუჩაში ყველას: ბავშვს, მოხუცს, ზრდასრულს, განდეგილს, მიუსაფარს, მოკისკისე წყვილებს... მშვიდობა მინდა, ღიმილი მინდა...

ახლა სად ვარ? არ აქვს მნიშვნელობა. ჩემი მზერა ნახევრად დანგრეულ იტალიურ ეზოში, მეორე სართულის აივანზე შეაღწევს, სადაც მოხუცი ქალბატონი, ალბათ უკვე წლების განმავლობაში მერამდენედ გარეცხილ და დაკემსილ გაღუნულ კოლგოტკებს თოკზე ჰფენს. „გაღუნული კოლგოტკები“! მე უკვე მაჩუქეს ღიმილი. თან ორმაგი. მოპირდაპირე მხარეს ჭროღათვალება ქუჩის დაღმართს მიუყვება. მე პირიქით, აღმართს ვადგავარ. ორი მზერა შეეჯახა ერთმანეთს, გაიქცა „გაღუნული კოლგოტკებისკენ“ და ორივეს ერთდროულად გაგვეღიმა... ჰო, ერთდროულად... მივიდე?.. დაღმართზე მანქანა ჩერდება. ორი ბიჭი ერთდროულად ყოფს თავს და ორ წამში ჭროღათვალებაც აღარ ჩანს... მერე რა... მე ღიმილი მაჩუქეს, თანაც ორმაგი... კიდევ ერთხელ გმადლობ ამისთვის ღმერთო...

...მოხუცი ქალი აივანზე შემოფრენილ მტრედს პურის ნამცეცებს უყრის...

ჭროლათვალება

რა გადმომდო მისმა ღიმილმა, ან როგორი ღიმილი იყო ეს? მწარე, სიტკბოთი გაჯერებული? ერთხელ ვილაც ჩემიანმა თქვა — ისე უხდება ერთმანეთს წიწაკა და თაფლი, ვერც წარმოიდგენო! არ ვიცი, გავსინჯავ ალბათ... ვისზე ვსაუბრობ? თმა კი მიუგავს ცხარე წიწაკას, მაგრამ ალბათ გული აქვს საოცრად თბილი და ტკბილი... მე გავუღიმე და პირველად მაჩუქა მანაც ღიმილი — ორაზროვანი, მრავლისთქმელი, მშიერიც, მწყურვალიც, მომლოდინეც და ისეთიც, მეგობრებს რომ გამოგგლეჯს და მთის წვერზე აგიყვანს, სუფთა ჰაერით დაგათრობს, მახვილსაც ჩაგცემს, სისხლს გამოგადენს, მერე სახლში წაგიყვანს, კალმისტარს და ფურცელს დაგაჭერინებს ხელში და თითქოს ეპილეფსიის შემოტევით გამძვინვარებულს ბოლოს და ბოლოს სიმშვიდეს მოგანიჭებს. შემდეგ განმარტოება მოგინდება და ღიმილს ისევ და ისევ ის შემთხვევითობა მოგგვრის, „გაღუნული კოლგოტკების“ სახელი რომ ჰქვია...

— დათო, გაიღვიძე, მეგობრებმა დაგირეკეს — საიქიოში მივდივართ და ნუ დააგვიანებსო, — მომესმა ძილ-ბურანში დედაჩემის ხმა. დაბინდულ ტვინში ნელ-ნელა აღდგა გუშინდელი საღამო: გაკაშკაშებული ოთახი, გრძელი მაგიდა, უამრავი ცარიელი ბოთლი, მეგობრების არეული სიმღერები, ბოლოს მოლაპარაკება საიქიოში წასვლაზე... თავი მისკდება, ვერაფრით ვიხსენებ, როგორ მოვედი სახლში. თუმცა, ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის, ალბათ დამაგვიანდა და მარტო მომიწევს ჩანჩალი, გავიფიქრე...

სწრაფად წამოვხტი საწოლიდან. უცებ მოვწესრიგდი. პიჯაკის ქვეშ ახალთახალი თეთრი პერანგი მეცვა, ჰალსტუხიც ლამაზად გამომენასკვა. დედამ შავი პალტო მომაცვა და იმწამსვე...

სწრაფად ჩამოვხტი ტროლეიბუსიდან, აჩქარებული ნაბიჯით გადავჭერი ქუჩა და რომელიღაც უცნობი სახლის სადარბაზოში შევედი. ერთი წამით თავში გამიელვა აზრმა, დამემახსოვრებინა სახლის ნომერი. დავაპირე დაბრუნება, ბოლოს დამეზარა. ფრთხილად

ჩავუყევი ჩაბნელებული სარდაფის კიბეებს. შიგნით არც ისე ბნელოდა, როგორც თავიდან მომეჩვენა. კედელში დატანებული პატარა სარკმლიდან მკრთალი არაამქვეყნიური შუქი იფრქვეოდა. შესასვლელიც მაშინვე დავინახე — ნაგვით სავსე პატარა ხვრელი. მომიწია პალტოსა და პიჯაკის გაძრობა, სხვანაირად ვერ შევეტეოდი. გახდას რომ მოვრჩი, ფრთხილად შევძვერი ხვრელში, რამდენიმე წამში ფორთხვით მის ბოლოს მივაღწიე და სადღაც ჩავხტი. აღმოვჩნდი მცირე, განათებულ ოთახში, რომლის კუთხეშიც კარი იყო დატანებული. კარი შევაღე. ჩემი მეგობრები გატაცებით თამაშობდნენ პრეფერანსს. დავეკითხე საიქიოს შესასვლელზე. გადახედეს ერთმანეთს და დამიწყეს დარწმუნება, რომ იქ შესვლა სულაც არაა საჭირო, რადგან უკან დაბრუნება სათუოა... გადაწყვეტილება ვერ შემაცვლევინეს. მაშინ მიმითითეს საპირისპირო კედელზე, რომელზეც რაღაც იყო აფარებული. დინჯი ნაბიჯებით მივუახლოვდი კედელს, უკანასკნელად მოვიხედე და...

...ჩემს წინ საოცარი სილამაზის ლურჯი ტბა გადაშლილიყო, რომელსაც ნახევარ რკა-

ლად ტყეში ჩაფლული მთა შემორტყმოდა. მოულოდნელად გადაშლილი სანახაობისაგან გაოცებულმა მუხლებამდე შევტოპე წყალში და გავქვავდი. ამ დროს, თითქოს მეხი დამეცა, ისე შემომესმა უკნიდან მხიარული ხმა. ძლივს მივხვდი, რომ მე მომმართავდნენ:

— ბიჭო, ნუ გაშტერდი, გამომართვი ეს ბოკალი. მოვიხედე — ჩემს წინ, შემაღლებულზე ბაფთაშებმული, სმოკინგში გამოწყობილი სანდრო იდგა, რომელსაც შამპანურით სავსე ორი სასმისი ეკავა და გაბრწყინებული თვალებით მიღიმოდა...

— ...დათო, დათო, ადე, სანდრომ დარეკა, გელოდებიან, — მომესმა დედაჩემის უკმაყოფილო ხმა და კარის ჯახუნი...

VI

ცეცხლისფერთმიანი

ქარია და ცერად წვიმს. არ ცივა. რა გამაჩერებს სახლში?! ასეთ ამინდს როცა გვჩუქნიან, მე „ვიხურავ თავზე ქუდს" და გული რომ გონებას კარნახობს და გონება ფეხებს, იმ ადგილს დაბარებულივით ვაწყდები. ახლა ჩემთვის ასეთი ადგილი მთაწმინდაა. ფეხით მომიწევს დიდი მანძილის გავლა, მაგრამ რა ვქნა — სივრცე მწყურია... და კიდევ... სველ ქარიშხალთან საუბარი. ჰოდა მეც ვადგავარ აღმართს, გონებას ვართობ დაუმუშავებელი თეორიებით და საერთოდ ვერ ვგრძნობ დაღლას...

მე: „მინდა ვიყო უფრო კარგი, უფრო ჭკვიანი, უფრო ბედნიერი, ვიდრე — მე!"

მანამდე და კიდევ მერე რა იქნებოდა?.. ფიქრი...

ისევ ფიქრი:

ისტორიებით დაუკმაყოფილებელი ორგანიზმი

სახასიათო ნიშანი: როცა გეჩვენება, რომ გარშემო თითქოს არაფერი ხდება.

ძირითადი სიმპტომები: ნარკოტიკული დამოკიდებულება ყველაფერი ახლის მიმართ. ღრუბელი იწოვს წიგნებიდან, გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან უამრავ მასალას.

პირადი დასკვნა: თუმცა...

მანამდე კითხვა: რისთვის გჭირდება?

და ისევ დასკვნა: უპირატესობის დასამტკიცებლად!

ისტორიებით ზედმეტად დატვირთული ორგანიზმი

სახასიათო ნიშანი: გეჩვენება, თითქოს გარშემო ძალზე ბევრი რამ ხდება.

ძირითადი სიმპტომები: ნარკოტიკული დამოკიდებულება ყველაფერი ახლის მიმართ. ღრუბელი იწოვს წიგნებიდან, გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან უამრავ მასალას.

უფრო მოკლედ: იგივე

პირადი დასკვნა: თუმცა...

მანამდე ისევ კითხვა: რისთვის გჭირდება?

და ისევ დასკვნა: უპირატესობის დასამტკიცებლად!

ლიტერატურული ჩანართი: დროდადრო ღრუბელი წვიმად გადაიქცევა — ხან თბილ სასიამოვნო წვეთებად გელამუნება სახეზე, ხანაც ცივია და ძვალ-რბილში უსიამოვნოდ ატანს, ხან ტალახში ამოგსვრის და ხანაც მწვერვალზე აგიყვანს, სველ სხეულზე მოგეტმასნება, ხელებს გაგაშლევინებს, ფართედ გახელილ თვალებში უსასრულობას ჩაგიტევს, გონებას თავისი დიდბუნებოვნებით აგივსებს და მოგწამლავს, კიდევ ერთხელ (და მერე კიდევ ერთხელ, და კიდევ...) რაღაც დიდის შეგრძნების სურვილით...

მსჯელობა: ჩვენი ცხოვრება ყოველთვის უნდა უკავშირდებოდეს სხვადასხვა ისტორიას. სხვა მხრივ, აბა, როგორ იქნება?

ორივე პერიოდის საერთო დასკვნა: საჭიროება ცხოვრებისათვის!!! ანალიზი... ალმოჩენით გაოგნებული გულის ინფარქტამდე მიყვანა, წარმოუდგენლის წარმოსახვით აღფრთოვანება, მერე მეტი, კიდევ მეტი... რაღაც აბსოლუტური...

და ბოლოს დასკვნის სამწუხარო ზედასკვნა:

მანამდე ისევ იგივე კითხვა: რისთვის გჭირდება?

პასუხი: გაუგებარია...

შემდეგ ისევ ზედასკვნა: „ჩვენ ვხარჯავთ ახალგაზრდობას „სიმდიდრის" მოპოვებაში..."

და შემდეგ ზედასკვნის კიდევ უფრო სამწუხარო დასასრული: „...ხოლო „სიმდიდრეს" ახალგაზრდობის მოპოვებაში..."

ისევ უკვე ათასჯერ გამეორებული კითხვა: რისთვის გჭირდება?..

ჯალათი: შესაძლებლობების შესაძლებლობას წერტილი!!!

კეთილისმყოფელი: თუმცა არა, ერთი რაღაც არის გამორჩენილი: ჟინი... ჟინი... თითქოს დაუცხრომელი... ოჰ, კარგია, რომ არსებობს. — დაუოკებელი, ალადინის ლამპარიდან გადმოდენილი და... თავიდან იწამლები... ჰო, ოლონდ, სიყვარულით... სხვაგვარად ვერ შეძლებ არჩევანის სტატუსის მოპოვებას... მერე... მერე?.. არჩევანი შენ ხარ და მიყევი...

მე: ალბათ უკვე შემიძლია ვისარგებლო

არჩევანის უფლებით... რაღაც ხელს მიშ-
ლის... ვუმტკიცებ თავს, რომ არაფერს ვუმტ-
კიცებ სხვას და უბრალოდ ჩუმად, ჩემთვის,
უსასრულობის აღმნიშვნელ სამ წერტილს
უფრო გონებით მეტ წერტილს დავუსვამ —
ვითომ ეს მამართლებს?! არ ვიცი...
ვიცი, რომ...

ლიტერატურული ჩანართი: ისევ მოვა
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთა-
რი — ავფეთქდები და გავიფურჩქნები, მცხუ-
ნვარე მზის სხივი და ნაკადულის ანცი წვეთი
მომაჯადოებს, ზეციდან გადმოღვრილი ყვე-
ლა ფერი ჩემი იქნება და მე ყველა ფერის ვიქ-
ნები, თვალუწვდენელ სითეთრეში არჩევანის
უფლებით უპირატესი სისპეტაკე თავს მოი-
გიჟიანებს, თორმეტი თვიდან რატომღაც მა-
ისს ამოარჩევს და მეც მაისის ზეცასავით და-
მეწმინდება თვალები... მერე... მერე მოვა...
ვინ?

ვილაც: მოუსვენრობა, ჟინი ისევ გითრევს
უპირატესობის დასამტკიცებლად... ისევ იწ-
ყება თავიდან ყველაფერი...

შეჯიბრი დაიწყო: ფიზკულტურის გაკვე-
თილი. მაღალჭერიანი დარბაზი. ჭერიდან

დაშვებულ ორ პარალელურ თოკზე ასვლა-ჩამოსვლაში ბიჭები და გოგონები ერთმანეთს ვეჯიბრებით. გოგონები უფრო მოქნილები ვართ. ჩემს „მეწყვილეზე" თითქმის სამჯერ სწრაფად ვმოძრაობ და შეჯიბრიც ჩვენი გამარჯვებით მთავრდება... თითქოს ეს ის ასაკია, როცა საკუთარი თავის გამოხატვა და შეცნობა არ გაწუხებს. უბრალოდ ცდილობ სხვას აჯობო. ჰო, ასეა... მერე, როცა უკვე წლები გაირბენს, მივხვდები, რომ ადამიანის სიცოცხლე მარადიული შეჯიბრია. ჯობნა, უპირატესობის გრძნობის დაკმაყოფილება.

და მეორე...

ვილაც: გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს... არ შეგეშინდეს...

მეორე კლასში ვარ. ანბანი სკოლაში შესვლამდე ვიცოდი. ახლა ვგრძნობ ამ უპირატესობას. ჩვენი „პირველი მასწავლებელი" რთული სიტყვების კარნახს გვიტარებს: ერთ-ერთი სიტყვაა — თვალწარმტაცი. სულ სამიოდე ბავშვი წერს სიტყვას სწორად. დანარჩენები თითო ან ორ ასოს აკლებენ. შეცდომის დაშვებით შეშინებული, ვორჭოფობ... ბოლოს არჩევანს ვაკეთებ — შეცდომას ვუშვებ,

მაგრამ მაინც ვაკეთებ — სიტყვას ერთ ასოს ვამატებ და ის ასე ჟღერს — თვალწარბმტაცი... გავა ბევრი წელი, ძალიან ბევრი და უკვე სხვა „მასწავლებლისგან“ გავიგებ ამას: „არჩევანი უნდა გაკეთდეს... უბედურია ის, ვისაც არჩევანის გაკეთების ეშინია. მაგრამ, როცა უკან მიიხედავს (და აუცილებლად მიიხედავს, რადგან ეს ყველას ხვედრია), მაშინ გაიგებს გულისთქმას: სად გაფანტე ის სასწაულები, რითაც ღმერთმა ასე გულუხვად დაგასაჩუქრა? როგორ გამოიყენე შენი ნიჭი? უფრთხილდებოდი და სადღაც ღრმად ჩაფლე, დაკარგვის შიშით?.. ახლა ველარაფერს გააწყობ. უბედურია ის, ვინც ამას მიხვდება. უბედურია, რადგან უკვე დაიჯერებს სასწაულის შესაძლებლობას, მაგრამ სასწაულებრივ წამებს ველარ დაიბრუნებს უკან...“

მე: უკვე მთაწმინდაზე ვარ.

ლიტერატურული ჩანართი: ქარის მუსიკამ ჩემს გაშლილ მკლავებს ფრთები შეასხა. სივრცემ გადაიჭიმა კალთები. წვიმა, როგორც ჩანს, არადანია, ქარი — არჩევანი. მის ქცევაში შიშის ადგილი არ არის და ახლა თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად,

წვიმისგან დამძიმებულ ჩემს ცეცხლისფერ თმას აძლევს ცელქობის უფლებას. ცეცხლისფერი ტალღაც თამამად ლივლივებს მის ძლიერ მკლავებში...

მე: კი... ის არის... წარმოუდგენლის წარმოსახვით აღფრთოვანება, რაღაც უფრო მეტის, რაღაც აბსოლუტურის შეგრძნებით მინიჭებული უპირატესობა... ალბათ, ამ წუთას ვამტკიცებ ჩემს უპირატესობას (თუმცა ჩუმად, ჩემთვის) და ხმამაღლა ვიმეორებ ნანატრ სურვილს: „მე მინდა ვიყო უფრო კარგი, უფრო ძლიერი, უფრო ბედნიერი, ვიდრე მეეეეეე“...

ღიმილი: „მეეეეე“... ბავშვებს პატარა ბეკეკასთვის წითელი ბანტი შეუბამთ და მაგიდის შუაგულში ნებიერად მოკალათებულს უმასპინძლდებიან ქორფა ბალახით...

განცვიფრება: შორიახლოს, ამაღლებულ ბორცვზე ჩემს მდგომარეობას ექოსავით იმეორებს ვიღაც ყმაწვილი. ის მაღალია, ძალიან მაღალი... მირაჟია?..

ეჭვი: ჭროღათვალება?..

მე: ისევ ვთავისუფლდები ყველასა და ყველაფრისგან. დავფრინავ უკიდეგანო სივრცეში... წამით ვახელ თვალს. ქარი ჩადგა და ცაზე

პირველი ვარსკვლავიც აკიაფდა. შემდეგ მეორე... მესამე... და უკვე მრავალი... ჩამომსვეს ციდან. დავუბრუნდი დედა-მიწას. როგორ წავიდე სახლში? — სხეულში შიშის ბოლომდე შემოსვლას მანქანის ხმა შეუშლის ხელს. ტაქსია. ალბათ შეყვარებულები თუ ამოიყვანა, — გავიფიქრე და ისიც გაჩერდა. მძღოლი მარტო იყო. მანქანიდან გადმოვიდა და მითხრა:

— გოგონა, თქვენი დაბრუნების დროა.

— ბატონო? — შიში და გაკვირვება ერთად გამომეხატა სახეზე.

— თქვენმა მეგობარმა მთხოვა ამოვსულიყავი და სახლში წამეყვანეთ. წაკამათდით, ხომ?

— ჰო, წავკამათდით, — ვპასუხობ დაბნეულად.

...მიხვეულ-მოხვეული გზები გაილია. მალე სახლში ვიქნები...

— როგორი იყო ის ყმაწვილი? — დავარღვიე სიჩუმე.

— ცოტა უცნაური, — მპასუხობს მძღოლი.

მანქანა სახლის სადარბაზოსთან გაჩერდა...

ქროლათვალება

ჩვენ...

ცხოვრების რიტმი: ვერა — ვაკე — პლეხანოვი — საბურთალო.

მეგობრები: შვიდნი.

ასაკი: 30-50.

ცხოვრების სტილი: მსჯელობა ცხოვრებასა და ამაოებაზე, და... არაყი.

ტიპაჟი: იპოხონდრიკიდან სანგვინიკამდე.

ვითხოვთ: შეუძლებელს, რადგან რეალისტები ვართ.

ჰობი: წიგნები, ფილმები, ბოლო დროს — ინტერნეტი.

გრძნობა: მეგობრობა, სიყვარული.

გამონაკლისი: პერიოდული გამოფხიზლება, უფულობა, უხასიათობა.

განწყობა: ვთვლით, რომ არ ვეკუთვნით დაკარგულ თაობას (?!).

ვაფასებთ: პატიოსნებას — თვითონაც ვცდილობთ შეძლებისდაგვარად ასეთები ვიყოთ.

მიგვაჩნია: ნამდვილად არ ვართ სნობები.

ამავე დროს: ვთვლით, რომ „ღორებს არ უნდა დავუყაროთ მარგალიტები".

კიდევ: ვთვლით, რომ სიცოცხლე სასოწარკვეთილების აქტია.

კიდევ: თავისუფალი ცხოვრება ფულსა და კარიერაზე ძვირფასია.

ამ შემთხვევაში: წარუმატებლობა — საუკეთესო წარმატებაა.

მენტალობა: ყველაფერზე მოგეთხოვება პასუხი (რეფლექსიის მაღალი ხარისხი).

უარს ვამბობთ: სოციალურ პრესტიჟსა და ძვირფას მანქანებზე რვასაათიანი სამუშაოს ხარჯზე. საჭმლის ფულს ყოველთვის ვიშოვით.

არალოიალურები ვართ: სოციალური ინსტიტუტებისადმი. არანაირ იდენტიფიკაციას არ ვახდენთ არც რაიმე კავშირთან, არც საიდუმლო ორგანიზაციასთან — უბრალოდ, ეს ჩვენი ცხოვრების სტილია.

დევიზი: Turn on, tune in and drop out.

— წმინდა წყაროს ხომ ვერ მიგვასწავლით?

მე და ცეცხლისფერთმიანი შემაღლებულ-

ზე ტყის პირას აგებულ ხის ღია ფანჩატურთან თუ სატრაპეზოსთან ვდგავართ, სადაც ერთი საშუალო ასაკის ბერი ფუსფუსებს. ჩვენი დანახვა აშკარად არ გაეხარდა. პირმოქუშული მოგვაჩერდა.

— ვერაფრით დაგეხმარებით. აქ ახლომახლო მსგავსი არაფერი მეგულება.

ფანჩატურის სიღრმეში თვალს მიმალული ოთახიდან ასაკოვანი ბერი გამოვიდა. კეთილშობილ მკაცრად გამოყვანილ სახის ნაკვთებზე სინანულნარევი აღშფოთება ეწერა.

— რად ცრუობ, ნუთუ შენი სული ასე გემეტება ეშმაკებისთვის? სანამ არ მოინანიებ, ანათემას ხარ გადაცემული. დატოვე აქაურობა და მხოლოდ ერთი კვირის თავზე გამოჩნდი. ერთ ნაჭერ კვახს მიირთმევ და ისევ გაგვეცლები. სამი თვის განმავლობაში ტყეში იცხოვრებ, ვითარცა მხეცი და მხოლოდ იმ წმინდა წყაროს წყალს მიირთმევ, რომლის ადგილსამყოფელიც ამ ახალგაზრდებს დაუმალე.

შემდეგ ჩვენ მოგვიტრიალდა.

— თქვენ კი, ახალგაზრდებო, ამ უდაბურ ადგილას წმინდა წყლის მისართმევად ამხელა გზა რომ გამოიარეთ, ამ ბილიკს გაუყევით.

ფერდობს გადაღმა ეს ბილიკი ორად გაიყოფა. თქვენ მარჯვნივ უნდა წახვიდეთ. იქ უკვე ახლოს იქნება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

...უკვე ბილიკის გასაყარზე ვართ. გადავუხვიეთ მარჯვნივ. საპირისპირო მხარეს გავიხედე. ვხედავ — მეუფე იულონი ჯოხით ხელში მოუყვება ბილიკს ზემოდან. რატომღაც ვარჩიე ნაბიჯის აჩქარება, რომ მასთან საუბარს ავრიდებოდი, არადა შორიდანვე დამინახა და თავის დაკვრით მომესალმა. თვალი ავარიდე, არც ცეცხლისფერთმიანს ვუთხარი რამე.

...მივუახლოვდით წყაროს. წინ რაღაც რკინის დაშლილი კონსტრუქცია გადაგველობა, რომელშიც კინაღამ ჩავვარდი...

როგორც იქნა, მივაღწიე წყაროს და გადავიხარე დასალევად...

ვწევარ. ვხვდები, რომ თვალგახელილს მეძინა. რიჟრაჟია. ალბათ, ექვსის დასაწყისი იქნება. რა არ დაგესიზმრება კაცს. ნეტა, კვახი რა შუაში იყო ან ცეცხლისფერთმიანთან ერთად რა მინდოდა, ვიცნობდე მაინც. მაცი-

ვრის კარის ჯახუნი მესმის. მახსენდება, ვანცა და ანდრო შუაღამის მერე მოვიდნენ, დასხდნენ მაგიდასთან და დაიწყეს... ჩვენ კი, ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო, ზოგს მიეძინა, ზოგიც დედ-მამის, ცოლ-შვილის ზარებით აკლებული სახლისკენ დაუყვა.... ეტყობა მოშივდათ. ნეტა, რა იპოვეს ამ ოჯახაშენებულებმა? მაცივარში ორი კვირის წინანდელი კარაქი და შავი პურილაა. ოდესღაც მასწავლეს, რომ არ დაძველდეს, მაცივარში შეინახეო. უბრალოდ, ახლა გამახსენდა, თორემ ამაზე არც მიფიქრია. მაგიდიდან ყველაფერი ერთად მოვხვეტე და მაცივარში შევაგდე. კარაქი და ძველი შავი პური ვის რა ჯანდაბად უნდოდა, იმიტომაც შემორჩა. ახლა ამასაც გაასაღებენ.

რაც უნდა იყოს, ვანცამ და ანდრომ ვერ მოგვისწრეს, მოუწიათ ამ სიცხის სიგიჟის არყული რუდუნების რიტუალის მარტოდ ასრულება. ეს მათ ნამდვილად ესაჭიროებოდათ. ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, მათაც თავიანთი მიზეზი ჰქონდათ ამ 4-5 დღიანი სიგიჟისა ოთახიდან გამოუსვლელად. პირადად ჩემთვის ეს აუცილებელი სპონტანური ავტოვანდალური აქტია, რომლის გარე-

შეც ვერც ერთ ზაფხულს ვერ ვძლებ. საოცარი გრძნობაა, როცა დილით ვერ სუნთქავ, ოფლი გასხამს, სკდები წყლის სმით, გგონია რომ კვდები და ამავდროულად, კაცმა არ იცის, რატომ — მეცხრე ცაზე ხარ. საინტერესოა თვითგანადგურებისადმი ამგვარი მიდრეკილება. ვანიავებთ საკუთარ ჯანმრთელობას, ის ხომ მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის, ვერავინ შეგვეცილება.

გუშინწინ მზის დაბნელება იყო. სახლში სამნი ვიყავით. ძლივძლივობით წამოვწიეთ თავები. მაშინვე არაყზე მომიწია ზრუნვა. ფული რომ დავთვალეთ, ორ ბოთლს და ერთ თევზის კონსერვს თუ ეყოფოდა. სადღაც უჯრაში ფერადი შუშა ვიპოვე და გარეთ გავედი. საოცარი განცდა დამეუფლა, განცდა საიდუმლოების, უცხო სილამაზისა — ეს რაღაც გრძნობა, რომელსაც ალბათ ყველა ადამიანი განიცდის, როდესაც თავაწეული მისჩერებია, როგორ ქრება ნელ-ნელა ცა.

შემდეგ მაგიდა შუშაბანდში. ერთი ბოთლი უკვე დავლიეთ. ვეძებ სუფთა თეფშს, თევზი რომ გადმოვაპირქვავო კონსერვიდან. ვერაფერს ვპოულობ. ყველა დასვრილია და სამზა-

რეულოს ნიჟარაში ყრია. გარეცხვის თავი ნამდვილად არ მაქვს, არც დიმა და ირაკლი მოიკლავენ თავს. მე რაღა დავაშავე. ვანებებ თავს. ამ დროს შემოდის ერთი უფროსი მეგობარი — იღლიაში თავისი გაზეთის ახალი (ცხელ-ცხელი) ნომრით და ხელში ორი ბოთლი შამპანურით. გაბრწყინებულია — მისი ახალი მოთხრობა დაიბეჭდა. ვართმევ გაზეთს, ვკითხულობ სათაურს, ვაფენ მაგიდაზე და ზედ თევზის კონსერვს ვაპირქვავებ... მისი გაოგნებული გამომეტყველება, გაცივებული და ცუდი მზერა... ფეხზე მკიდია. ალბათ ყველაფერი ეს მზის დაბნელებისა და აუტანელი სიცხის ბრალია. ტანს ზემოთ შიშვლები, ოფლით გაწებილი შუბლებით და ცოტა ატეხილი (ცუდად) თვალებით... ჰაერი არ იძვრის. მეორე ბოთლიც ჩავცალეთ, შამპანურიც დავაყოლეთ (ის მეგობარი მალევე წავიდა). თითქოს ცხოვრებაც ჩაკვდა. ზოგი სად წევს, ზოგი რას აკეთებს. ფიქრებში ვართ გათანგულები არყითა და სიცხით.

ვერაფრით ვიხსენებ გუშინ რა ხდებოდა. ბოლოს მახსენდება — აბიტურიენტი მაბარებს ფიზიკას. მე ტახტზე ვწევარ, ფეხის თი-

თებს ვათამაშებ და ვუსმენ. შუშაბანდში ჩუმი საუბარი და ხმადაბალი სიცილია... შემდეგ კიდევ ორი ძმაკაცი შემოდის დატვირთული პარკებით. ისევ არაყი... მეტს ვეღარ ვიხსენებ, ასე მეკარგება მთელი დღე მეხსიერებიდან. ალბათ საინტერესოც არაფერი ხდებოდა. მიდიმოდიოდნენ მეგობრები და ისევ... არაყი. შეიძლება მინდა... არა არ მინდა, უბრალოდ მინდება ჭკუა ვასწავლო მავანს, რომელმაც დაქსაქსა ჩვენი სამყარო. შეიძლება იმაზე ვარ აღრენილი, სამყარო ზედმეტად რომ გაიზარდა, ანდა პირიქით — დაპატარავდა. ყოველ შემთხვევაში, თავს საშინლად შეურაცხყოფილად ვგრძნობ... ისევ არაყი... ვათვალიერებ ჩემს ძველ ფოტოალბომს — რაოდენ საყვარელი, სევდიანი და მიამიტია ობიექტივით დაფიქსირებული წამები. მომავალი ხომ ისევ შეუცნობელია და მხოლოდ ემზადება შენთვის ტკივილის მოსაყენებლად... ისევ არაყი...

ხვალ მეხუთე დღეა... ისევ არაყი.

აღარ შემიძლია... ვტოვებ სახლს და სახლში მეგობრებს. მთაწმინდისკენ ავუყევი. წვიმს და ქარი ქრის. არ მაწყენდა დასველება, —

ვფიქრობდი მანამდე და ამიხდა კიდეც. სხეულის და სულის შევსება მინდა რაღაცით. და კიდევ ყვირილი, გიჟივით ყვირილი. მეც რა, ვინ მიშლის ხელს? ვდგავარ ამაღლებულზე და ვყვირი — ეჰეეეეეეეეეეეეე, ეჰეეეეეჰეეეეე — ექოს მამადავითიდან მწუხრის ზარები უერთდებიან. მოდის, მოდის, რევოლუცია მოდის, — ახლა უკვე ფიქრი აგრძელებს ყვირილს გონებიდან. მოდის კი არა, უკვე აქ არის — ეხმიანება მას თვალები და უძრავ სივრცესთან საოცრად შერწყმულ მოძრავ სილუეტს ხედავს. ქარიშხალს თავისი შვილი დაუსვამს მიწაზე და ცეცხლისფერი ენა ფეხებს ულოკავს ჩემს გარშემო უცხო დიდებას. პირველი ვარსკვლავი აკიაფდა თავს ზემოთ. შემდეგ მეორე, მესამე... მონყენილობამ უცნაურ სიხარულს დაუთმო ადგილი...

VII

ცეცხლისფერთმიანი

Entrez, monsieur, entrez, ანდა welcome, ანდა სულაც... ქართულად უკეთ ეღერს მგონი — მობრძანდით ბატონო, სტუმარი ღვთისააო, — გეტყვის ყურებამდე გაკრეჭილი მასპინძელი და... სულ მცირე დრო დაგჭირდება, შინაურივით რომ იგრძნო თავი. იმასაც ამბობენ — ყველა სტუმარს თავისი მფარველი ანგელოზი მოჰყვება, ის დალოცვილი სტუმართან ერთად შემოდის სახლში და შენს სახლსაც მფარველობსო, — იცის ეს მასპინძელმა და კიდევ უფრო მეტი მონდომებით ცდილობს სტუმრის დახვედრას...

ახლა მე მინდა ვიყო საკუთარ სახლში სტუმარი. ჭუჭრუტანაში ვატრიალებ გასაღებს და ორ წამში შემოსასვლელი ოთახის თბილი მასპინძლობით გათამამებული, კმაყოფილი ვკიდებ საკიდზე მოსაცმელს. თუმცა, არა... რა-

ღაც რიგზე არ არის. რამ შეცვალა აქაურობა? უცხო სიმშრალეს ვგრძნობ. თანაც უკვე ღამეა და მისი ხავერდოვანი ფარდის მიღმა ძალიან მიჭირს რამის დანახვა. ხელით ვწევ უხილავ ფარდას. ისევ მეშინია... უჩვეულო, ცარიელი სიჩუმის ხვრელები შიშში ამოსვრილი ძონძებით არის დაგმანული. არადა, სულ რამდენიმე დღის წინ ამ სახლში ხომ „ჩემი სურნელი" მოუსვენრობდა. როგორი იყო? დაუმორჩილებელი, გამორჩეული, თავისუფალიც, მოუხელთებელიც, დამათრობელიც, იდუმალიც, თანაც ტკბილი და ნაზიც. ახლაც, თითქოს წარმოვიდგინე, რომ უხილავი ძალა მეხება მხრებზე, შემდეგ კისერზე. სხეულში სითბო ჩაიღვრება და სისხლძარღვები გაფართოვდება. მეორე წუთში გულის კოვზთან უეცრად ცხელი ტალღა ჩაირბენს და უსიამოვნო შეგრძნებები ნელ-ნელა ქრება. მანამდე? მანამდე სააბაზანოში შევდივარ. გრილი შხაპი მაცილებს გარეგან და შინაგან მტვერს, შემდეგ საძინებელი ოთახი მიწევს მასპინძლობას. განიერი, დაბალი საწოლი სხეულს მოსვენების უფლებას აძლევს და ზმანება ციური, მელოდიური ხმებით შემოდის ჩემში... არა!..

ისევ აირია ყველაფერი... წამით გახელილი თვალები იატაკზე მიგდებულ, მთვარის შუქით განათებულ წიგნს აპყრობს მზერას — ანდრე მორუა. მერე ძილი ისევ მართმევს თავს და... მარტოობა ორისთვის. კაცი მიხვდება, რომ ეზიზღება საზოგადოებრივი ცხოვრება, გაურბის მას და გემის კაპიტანი ხდება. გამგზავრების წინ წერილს მიიღებს ვიღაც ქალისგან: „თქვენ იმის გაკეთება გინდათ, რაზეც მე მხოლოდ ოცნება შემიძლია" და... გემი უკვე მიაპობს ტალღებს. ილუმინატორიდან მქრქალი შუქი შემოაღწევს. კაიუტიდან გამოსულებს საოცარი სილამაზე გადაეშლებათ — ღია-მოყვითალო ცაზე მზე იწყებს ამოსვლას. თბილ ჰაერში აქა-იქ იისფერი ღრუბლები მოსჩანს. ცის საოცრება წყლის ზედაპირზე ირეკლება და წყნარი ტალღები ამ სურათს უფრო მიმზიდველს ხდის. თუმცა ოკეანეს მალე ქარიშხალი დაიმორჩილებს, ცოტახნით იბატონებს მასზე და ორ მარტოსულს ესთეტების სამფლობელოში გადაისვრის...

...ზარი, კარზე გაბმული ზარი. ვინ უნდა იყოს? სიბნელეში ხელის ფათურით ვპოულობ ხალათს. როგორც ჩანს, დიდი დრო მოვანდო-

მე ძილბურანში მყოფმა შემოსასვლელ კარამდე მიღწევას, — არავინ იყო. იქნებ მომეჩვენა? ვუბრუნდები მორუას... აქ ხელოვნებას ეტრფიან და მხოლოდ მას სცემენ თაყვანს. აქ ადამიანები არაამქვეყნიურ არსებებს ჰგვანან. ისინი უფრო მოჩვენებები არიან, ვიდრე ცოცხლები. ორი მარტოსულიც შეუერთდება მათ. კაცს ღრმად ჩაითრევს სულის მომწამვლელი შეუჩერებელი თვითანალიზის ჭაობი. ქალიც ნელ-ნელა დაკარგავს სახის სინათლეს და თვალებში ნაღველი ჩაეღვრება. რა უნდათ აქ? რომელიღაც ესთეტი სიტყვას ჩააგდებს: „რომ ყველა პოეტი მხოლოდ ემოციისა და სიტყვების ხელოვნურად დაქვემდებარებას ემსახურება, რომ ყველა მხატვარი მისტიფიკატორია და რომ ერთი საათი ჭეშმარიტი სიყვარულისა, მთელი მსოფლიოს წიგნების ტოლფასია!" ხელოვანების თვალში ის „დაავადებულია" და შველა სჭირდება. კაცი და ქალი კი იტყვიან: „ეს ხელოვანი არასოდეს ყოფილა ასეთი ნორმალური, როგორც ახლა, თუმცა ხელოვანებს ეს პირიქით ჰგონიათ". გაქცევა, გაქცევაა საჭირო... და უკვე მაშინ, როცა გემი კვლავ გაიჭრება ოკეანის ტალ-

ღებში, ქალი და კაცი მშვიდად და უკვე სიამოვნებით გაიხსენებენ „უცხო დიდებას“. „ხელოვანებმა აირჩიეს უფრო მოკლე გზა. ჩვენ მათ დიდი ხანია გაგვისწრეს. თუმცა, ისინიც ადრე თუ გვიან გონს მოეგებიან — დიდი ხნის გაურკვევლობის, შეცდომაში შეყვანის გამო მსხვერპლად მიიჩნევენ თავს და დაანგრევენ მთელ ესთეტიკურ სამყაროს, რადგან ნამდვილი ბედნიერება სხვაა“... და მეც ასე მგონია, — აი, თუნდაც სულ მალე, გემის ქიმზე ბედნიერების ძიებისგან დაღლილ ქალს კაცი მიუახლოვდება, მისკენ დაიხრება და ქალის მთრთოლვარე, სიყვარულის მომლოდინე ნახევრად გაპობილ ბაგეებს ვნებააშლილი დაეკონება. სადღაც სიღრმეში, ნოყიერ მიწაზე შემთხვევით მოხვედრილი ნირვანას მარცვალი გაღვივდება, თვალებიდან სხივებად გადმოიღვრება, მოელამუნება ამ შეერთებას და წყაროს კამკამა წყალს დაწაფებული ორი მტრედიც შორეულ ჰორიზონტზე მკრთალად გამოჩნდება. ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ჩვენთაგანი მიაღწევს ამ წყაროს, და ვიცი ისიც, რომ რამდენი ადამიანიც არსებობს, გზაც მასთან მისასვლელი იმდენივეა...

კარგია მათგან შორიახლოს ყოფნა, მაგრამ... ზარი განმეორდა... აღარ მომასვენებ? — ისევ მთვარეულივით ვარ და ვუჯავრდები უხილავ არსებას. კართან ამჯერად მინდვრის ყვავილების თაიგული და კიდევ რაღაც აღმოჩნდა. ეს რა არის? ბარათი. რა ბავშვობაა? ვის მოუნდა ამ შუაღამეს ასე თამაში? „13 მარტი აპირებდა უკვე შემოსვლას. ბებიაქალმა თვალი ვეებერთელა კედლის საათისკენ გააპარა. სწორედ იმ წუთს საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა და ახლადშობილი გოგონას ტირილიც გაისმა. შუაღამის დადგომასთან ერთად ზღაპრის ტრანსფორმაცია დაიწყო და კონკიამ მეტამორფოზა განიცადა... ჯერ კიდევ პატარას, დიდობა მოუნდა. და ერთ დღესაც, როცა მშობლების და ახლობლების წინაშე „ანგარიშის ჩაბარება“ მოუხდა და როცა პირველად ეტკინა გული ნახევრად ცარიელი სასტუმრო ოთახის დანახვაზე, საკუთარ თავში ახალი თვისების აღმოჩენით გათამამებულმა, მათ მიმართა: მე უკვე ვიცი ბევრი, ძალიან ბევრი ლექსი, მართალია დამარცვლით, მაგრამ კითხვაც შემიძლია. ვმღერი, ვცეკვავ და ხატვითაც ვხატავ მომღიმარე მზეს და ყვავი-

ლებს. უცნაურია, არა?! რომ აქ ასე ცოტანი ხართ თქვენ და ასე ბევრი ვარ მე?.. შემდეგ გავიდა საძინებელ ოთახში, ჩამოჯდა სარკის წინ და ცრემლებს დაელოდა. მისი მწუხარება გაზვიადების გზით ნეტარებად იქცა და იმ ვიღაც უხილავმა თავზე ხელის გადასმით და გულზე მიხუტებით ცხოვრების გზაზე მფარველობა აღუთქვა"... მინდვრის ყვავილები ლარნაკში მოვათავსე, ბარათიც იქვე დავდე და ძილს ისევ მივენდე... შორს მკრთალად ირიჟრაჟა. თვალი გავახილე და ჩემი ძილისა და ღვიძილის თამაში გამახსენდა. ის იმდენად საინტერესო იყო, თითქმის სისულელემდე დავიდა, თუმცა...

სასტუმრო ოთახის კუთხეში ახლა უკვე გამოღვიძებული და თვალგახელილი მინდვრის ყვავილებს ცხადად ვხედავ. იქვე პატარა ბარათიც მოსჩანს. გაკვირვებას ვერ ვმალავ. „იმ ღიმილისთვის გიხდით მადლობას", — ამბობს ბარათის მეორე მხარე გაკრული ხელით. ჯერ დარაბებს, შემდეგ ფანჯრებს ბოლომდე ვაღებ. მზეს ვუშვებ სახლში და მზესთან ერთად... ისეთი ადრიანი დილაა, რომ ჩიტების ჭიკჭიკი გზაზე დამდგარ, თითო-ოროლა მან-

ქანის ხმას ბოლომდე ახშობს. ქვევით, ქუჩის კუთხეში, ლუდის ბოთლებით ხელში ბიჭებს უკვე მოუყრიათ თავი. ალბათ იმკიან გუშინდელი დღის სიმძიმეს. ერთ-ერთი ჭროღათვალებაა და სულაც არ მიკვირს ეს. ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს და თითქოს ვერც ვხედავთ...

საძინებელი ოთახის ფარდა ნახევრად ჩამოვაფარე ფანჯარას. ჩამოვჯექი სარკის წინ და სიხარულის ცრემლებს დაველოდე. ვიღაც უხილავმა თავზე ხელის გადასმით და გულზე მიხუტებით ცხოვრების გზაზე მფარველობა ისევ აღმითქვა... და მე, ახლა უკვე სინანულის განცდით აღფრთოვანებული და კიდევ ერთხელ გათამამებული, მას მივმართავ: მე ვარ ის მარცვალი, რომელიც ნებით თუ უნებლიედ ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა, გაღვივდა და შეუძლია ასეთი თხოვნის გაჟღერება: თუ ოდესმე ჩემი მიტოვება გადაწყვიტე, მაშინ ჯერ გამზარდე, წყალი დამისხი, მცენარედ მაქციე, დამოუკიდებლობას მიმაჩვიე, დარწმუნდი ჩემს სიძლიერეში და მერე მიმატოვე...

ჭროღათვალება

ერთ საღამოს, როცა ჩემი უბნის ერთ-ერთ დაღმართს მივუყვებოდი, მარცხენა მხარეს, ძველი სახლის მეორე სართულზე ფანჯრების წმენდაში გართული ცეცხლისფერთმიანი დავინახე. გამიკვირდა. ალბათ ცოტა ხნის წინ თუ გადმოვიდა აქ საცხოვრებლად. და მერეღა გამახსენდა — ამ სახლში ერთი პატარა გოგონა ბებია-ბაბუასთან ერთად ცხოვრობდა. აივანზე გადმომდგარი თითქმის ყოველ შებინდებულზე „საღამოებს" მართავდა, ბირჟავიკებს გვართობდა და ჩვენგან აპლოდისმენტებსაც ხშირად იღებდა. დედა საზღვარგარეთ იყო წასული (მამამისზე არავინ არაფერი იცოდა). როგორც ჩანს, დედამ იქ ფეხი მოიკიდა და თავისიანების წაყვანაც გადაწყვიტა. ჰო, ვიღაცამ მითხრა, ფული ძალიან ეჩქარებოდათ და მყიდველიც — ვიღაც ახალგაზრდა ქალი — სწრაფად გამოჩნდაო. ეს იყო და ეს. სხვა არაფერი გამიგია. დარაბები ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში არავის გაუღია და მეც ნელ-ნელა გადამავიწყდა პატ-

არა გოგონაც და მისი „საღამოებიც". და ახლა... ჰოი, საოცრებავ... სახლი ჩემი იდუმალი ნაცნობის საკუთრება გამხდარა თურმე... მივიდე? არა, იქნებ სულაც არ მოისურვოს ჩემთან პირისპირ შეხვედრა. ალბათ სჯობს, ღამით თაიგული მივართვა ბარათთან ერთად. ბარათთან? ბარათზე რაღა ჯანდაბა დავწერო? სახელს რა აზრი აქვს? დავიტანჯე ფიქრით და უცებ ის ღიმილი გამახსენდა, „გაღუნულმა კოლგოტკებმა" რომ მოგვგვარა ორივეს. მოკლედ, ღამის მოლოდინში აფორიაქებულმა, კალმისტარი და ფურცელი მოვიმარჯვე და დავიწყე რაღაცის ჯღაბნა...

მესამე დღეა ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში ვართ. გვიანი შემოდგომაა. ნოემბრის ცივი ქარი უბერავს. დღეს თბილისში მივდივართ. წასვლამდე, საღამოს, ბულვარზე გავისეირნეთ. სკამზე ჩამოვსხედით. ყველაფერი ნაცრისფერი იყო. უზარმაზარი ნაცრისფერი ტალღები ნაპირს აწყდებოდა. ნაცრისფერ ღრუბლებს მთელი ცა მოერკალათ. წვიმაც წამოვიდა. ისიც რაღაცნაირად ნაცრისფერი

იყო. კიდევ კარგი, ქოლგა წამოღებული ჰქონდა. გავხსენით. უეცრად ამ ნაცრისფერ გარემოში სიმყუდროვე გამეფდა. თითქოს სამყაროს გამოვეყავით. რაღაც შუშის კუბში მოვექეცით და იქიდან ვაკვირდებოდით ბუნების უხასიათობას. შემდეგ ბინდი და სიჩუმე შეერია ერთმანეთს. ტალღების ხმაურიც თითქოს მიჩუმდა და სიჩუმიდან მოსული მისი ხმა გულში ნიაღვარივით ახმიანდა.

— მიყვარს აზვირთული ზღვა... ახლა ალბათ ვიღაც საცობიან ბოთლში წერილს მოათავსებს, მოისვრის გემბანიდან და ზღვას გაანდობს თავის ნატვრასა და სურვილს... შემდეგ გავა დრო, ძალიან, ძალიან დიდი დრო. ის დატოვებს დედამიწას, და სხვა ვიღაც იპოვის ბოთლში მის ნატვრას...

თქვა ეს, მხარზე თავი მომადო, თვალები მილულა და უცებ გამხიარულდა.

— ვთქვათ, მოკვდი. რით დაგამახსოვრდება დედამიწა?

— ვერ ვხვდები, რას ამბობ.

— გაიხსენე წამი, — ამისთვის ღირდა ცხოვრებაო, — პირველად რომ თქვი, — მითხრა უკვე ხმამაღლა.

— კარგი, გავიხსენებ. ცოტა შორიდან დავიწყებ... ხომ არსებობს ტიპი დოყლაპია და უნდილი ბავშვებისა, რომლებიც შემდეგშიც კი, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერაფერს აკეთებენ წესიერად — არ შეუძლიათ გადამწვარი ნათურის გამოცვლა, ლურსმნის დაჭედება, საჭიროების შემთხვევაში კვერცხის შეწვა და კარტოფილის გათლა — ასეთი ვიყავი და ვარ. მუდამ უკულმართად ვაკეთებდი ყველაფერს — ვამტვრევდი და ვაფუჭებდი ნივთებს. სულ რაღაც მჭირდა — ხან ქუნთრუშა, ხან წითელა, ყვითელა, ხან ბრმა ნაწლავი გამისკდა, ხან გლანდები ამომაჭრეს, და რა ვიცი კიდევ რა. მთელი ბავშვობა წამლების სმასა და ექიმებთან სიარულში გავატარე.

ერთ ზაფხულს, ალბათ ოთხი თუ ხუთი წლის ვიქნებოდი, როცა ჩვენი სახლის დიდ აივანზე ტახტზე მოკალათებული დიდი ტაშტით ალუბალს მივირთმევდი და კურკებს ბეჯითად ვაფურთხებდი ქვემოთ. ამ დროს ჩემი ყურადღება ტახტის ქვემოდან ამოჩრილმა მავთულის პატარა ნაჭერმა მიიქცია. ბევრი არ მიფიქრია, წამოვხტი, ავიღე ხელში მავთული, ავძვერი ტახტზე და დიდი მონდომებით

შევარჭვე შტეფსელში. რაც მოხდებოდა, ალბათ არ არის ძნელი მისახვედრი — დენმა ძირს მომისროლა, გამოვედე ალუბლით სავსე ტაშტს, ამოვაყირავე და ზედ დავენარცხე. გონს ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვიყავი მოსული, როცა დავინახე მამაჩემი, რომელიც გამუდმებით მაფრთხილებდა, დენის შესაერთებლებს არ გავკარებოდი. ახლა კი ცუდად არის ჩემი საქმე — გავიფიქრე და კიდევ ერთი ელდა მივიღე... მამამ, — იმის ნაცვლად რომ გამბრაზებოდა, პირიქით, — გამიღიმა და მითხრა: აიხედე ცაში, დახუჭე თვალები და იფიქრე, რომ ჭირსაც წაუღია ეს რაღაც, რადგან მთელი ცხოვრება წინ არის და მომავალი საოცრად შეუცნობელი და იდუმალიაო. ასეც მოვიქეცი. ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი, ავწიე თავი და თვალები დავხუჭე. უეცრად რაღაც სიმსუბუქე ვიგრძენი და ცაში ფრენა მომინდა. — ეს ჩემი ცხოვრების, ჩემი ბავშვობის, მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო წამები იყო... ჩემი აზრით, სამოთხე ამ წამებს უნდა ჰგავდეს. ისე ის არაფრად მჭირდება. აი, რით დამამახსოვრდება დედამიწა...

— შენ რას მეტყვი?

— ალბათ, რომელიმე დღესასწაულით.

— დღესასწაული? არ მიყვარს დღესასწაულები. აი, თუნდაც საახალწლო ღამე ავიღოთ — საშინლად გამაღიზიანებელი სულელური ოჯახური ზეიმი. როგორ შეიძლება ელოდო შუაღამის დადგომას და საათის თორმეტჯერ ჩამოკვრამ ბედნიერება მოგანიჭოს?.. მაგიჟებს ეს გაფეტიშებული რიტუალი. ალბათ ამიტომაც, ასეთ დროს მოწყენილი და გაღიზიანებული ვარ. ვერ ვიტან ვერაფერს და ვერავის. ადგილს ვერ ვპოულობ, ვბორგავ. ვფიქრობ, რომ ბუნებრივ მხიარულებას შეიძლება მხოლოდ ბავშვები ეზიარონ, ანდა მდიდარი ასაკოვნები, რომელთაც ფული და ჯანმრთელობა აქვთ და რომლებმაც უამრავი წლის შრომისა და გარჯის შემდეგ, ცხოვრების დასალიერს, უსაქმურობისა და გართობის ფუფუნება დაიმსახურეს.

— არა, მე ასე არ ვფიქრობ. პირიქით, მინდა, რომ მთელი ცხოვრება დღესასწაული იყოს. ყველაფერს იქ წავიღებ. ყოველ წამზე მოგონებას. თუნდაც დღევანდელს.

— დღეს რა, დღესასწაულია?

— ფიქრობ, რომ არა?

— არ ვიცი, არ დავფიქრებულვარ.

— შეხედე ცას. შეხედე ზღვას. შეხედე ქოლგას. მე შემომხედე.

შევხედე. მომეჩვენა, თითქოს მისი ნაზი, ქალური საწყისი დროებით სულის შორეულ კუთხეში მიიმალა და მისმა სხეულმა თანამგზავრად ბრძოლისუნარიანობა და ხასიათის სიმტკიცე გაიხადა. მაგრამ სულ მალე, ტუჩის კუთხეებში ღიმილი გამოუკრთა. ღიმილი ნელ-ნელა მთელ სახეს მოედო, თითქოს მზემ გამოანათა. თავი უცნაურად ვიგრძენი. რაღაცამ მისკენ მიბიძგა. ტუჩებით მის ბაგეებს ნაზად შევეხე. არ გამერიდა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე. წვიმამ მოუმატა. შეიშმუშნა. ეტყობა შესცივდა. ქურთუკი მოვახურე. ჩემს გვერდზე ისევ ის, დაუცველი, მეოცნებე ქალი იჯდა.

— გინდა, ცოტა დავლიოთ?

გამიკვირდა. არასოდეს მინახავს ნასვამი.

— რა თქმა უნდა, როგორც იტყვი.

იქვე ახლოს, კაფეში შევედით. წყნარი მუსიკა უკრავდა. ჩვენს გარდა არავინ იყო. არ გამკვირვებია, სეზონი დიდი ხნის დამთავრებული იყო. მივუსხედით მაგიდას.

— რას დალევ, შამპანურს?

— არა, მოდი არაყი დავლიოთ და დავთვრეთ.

არაყი სწრაფად მოგვეკიდა. ჩუმად ვისხედით. მე ჩემსას ვფიქრობდი, ის თავისას. თან ვსვამდით. მერე თითქოს გამოვერკვიე, საცეკვაოდ გავიწვიე. წყნარად ვტრიალებდით ამ მყუდრო ადგილას. მისმა სურნელმა გამაბრუა. დრო თითქოს გაჩერდა. ხომ არ მიყვარს ეს გოგონა. ნეტა, რატომ ვარ ასე? არ ვიცი, არ მინდა ამაზე ფიქრი. ერთი პრობლემა ჩემს ცხოვრებას გამუდმებით გასდევს. ვინც არ უნდა შემიყვარდეს, ბოლოს მხოლოდ მეგობრებად ვრჩებით. კიდევ ერთი იმედგაცრუება აღარ მინდა. მინდა ეს საღამო მომავალშიც ასეთივე იდუმალი, წყნარი და ფაქიზი მახსენდებოდეს...

— კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ? — იკითხა ოფიციანტმა.

— კი, ფურცელი, კალმისტარი და საცობიანი ბოთლი გვინდა, — ვუპასუხე.

მისი ნატვრა და სურვილი ზღვამ გაიტაცა...

— წამო, უკვე გვიანია, მატარებელზე გვა-

გვიანდება...

ის ბედნიერი იყო და ცრემლიანი თვალებით იღიმებოდა. მალე ჩაეძინა. ძალიან აღელვებული ვიყავი. ვფიქრობდი, კიდევ რისი გაკეთება შემეძლო მისთვის. თავში მხოლოდ ერთი აზრი მომივიდა — მივუწექი გვერდით, ვაკოცე შუბლზე, ჩავჭიდე ორივე მაჯაში ხელი, მაგრად ჩავეხუტე და ასე გავშეშდი. ვცდილობდი ჩემი სიმტკიცისა და ძლიერების მასში გადასხმას. მის სხეულს შეეძლო მიეღო ეს ან უკუეგდო. მე კი მინდოდა, რომ მიეღო და თანაც იმდენად, მომავალშიც რომ დახმარებოდა... მერე აღარაფერი მახსოვს, ჩამეძინა...

ვიცი, რომ სიკვდილის შემდეგ ეს წამებიც გამახსენებს დედამიწას...

VIII

ცეცხლისფერთმიანი

იყო და არა იყო რა...

ახალგაზრდა კაცი სივრცეს გაჰყურებს. უცებ მას მხარზე კალია დაახტება. ზიზღით წაკრავს ხელს. შემდეგ მიწაზე დაიხედავს. მის ფეხთან რაღაც პატარა, მღრღნელის მსგავსი არსება გამოჩნდება. მას კიდევ უფრო მეტი ზიზღით მოუქნევს ფეხს და მიწაზე გადააფურთხებს...

დიდი დრო გავა...

უხუცესი კალია: *სასარგებლოს არაფერს ვაკეთებთ ვითომ?.. მერე რა... ჩვენ ხომ გავჩნდით, ვარსებობთ... აი, ასეა... ხრიოკ ადგილას მზე მწველად ანათებს. ვმრავლდებით. არ აქვს საზღვარი ჩვენს გამრავლებას. იმდენი ვართ, წავლეკავთ ქვეყნიერებას... მერე იცით, რა მოხდება? უშველებელ ღრუბლად მოვევლინებით სივრცეს, შევმჭიდროვდებით,*

ველარ ავიტანთ ერთმანეთის სიმრავლეს და მომძლავრებული ჰორმონიც თავისას იზამს — დავკარგავთ კოორდინაციას, შევეჯახებით ერთმანეთს და მერე...

უხუცესი ლემინგი: *ჩვენც არ ვაკეთებთ სასარგებლო საქმეს? მერე რა?.. ჩვენც ხომ გავჩნდით და ვარსებობთ... მიწაზეც, ოკეანეების ნაპირებზეც და მიწის ქვეშაც დავიმკვიდრებთ ადგილს. ერთი მდედრი ათ ჩვენნაირს აჩუქებს თავისიანებს და ის ათი კიდევ ათ-ათს და უფრო მეტსაც... მერე მოგვბეზრდება ერთმანეთის სიჭარბე, აღარ იქნება დედამიწაზე ჩვენი სამყოფი საკვები და მერე ჩვენც დავჭამთ ერთმანეთს ალბათ...*

უხუცესი ადამიანი: *ათიდან ერთი მაინც რომ ვაკეთებდეთ სასარგებლო საქმეს, აღარ დავიხოცებოდით ამდენი ერთად. იმაზე არას ვამბობ, ბუნება როგორ გვსჯის ცოდვით დასიებულებს... ათას იარაღს ვიგონებთ ერთმანეთის გასანადგურებლად, არ გვყოფნის ჩვენი ტერიტორია და სხვისი გვინდა მეტი და კიდევ უფრო მეტი... ვერ ვეტევით საკუთარ კანში და გამძვინვარებულებს და გაბოროტებულებს წალეკვა გვინდა საკუთარი მოდგმის...*

ძველი სახლის სარდაფში ბავშვობისა და სტუდენტობისდროინდელი უამრავი წიგნი მქონდა შენახული. ახალ სახლში მომინდა მათი გადმოტანა და ასეც მივიქეცი. დამტვერილი ყდების წმენდით ვიყავი გართული, როცა ბიოლოგიის კონსპექტს მოვკარი თვალი. გამახსენდა, რომ ამ რვეულს, ლექციების გარდა, საკუთარ ემოციებსა და განცდებსაც ვანდობდი... რვეული საგულდაგულოდ გავწმინდე, ფანჯრის რაფაზე შემოვსკუპდი და ფურცვლა დავიწყე...

„უჰ, როგორ მეზარება ახლა ლექცია?.. აუდიტორიის კართან თითქმის მისული, ვიღაც უცხო ბიჭს ვხედავ (ბიოლოგებში ბიჭი იშვიათია). რატომღაც მე ამომარჩია. მოდის ჩემთან, თვალს მიკრავს და მეკითხება: „...წარმოუდგენელი სილამაზის ჭროღა თვალებს შევეჩეხე...“ — თუმცა ამაზე უკვე დავწერე... უცნაური მხოლოდ ის არის, რომ წლების შემდეგ სწორედ ასე, სიტყვა-სიტყვით გადმოვეცი მასთან შეხვედრა.

კიდევ ერთი ფურცელი გადავშალე...

„როცა სახეობა ზეჭარბ პოპულაციას მი-

აღწევს, თავის ტვინში გამომუშავებული ჰორმონი თითოეულს თვითგანადგურებისკენ ან ერთმანეთის ხელყოფისკენ უბიძგებს. თუმცა, აუცილებლად გადარჩება ამ ორგანიზმების მცირერიცხოვანი — სრულყოფილი გენოფონდის მატარებელი — პოპულაცია, რომლითაც სახეობა ისევ დაიწყებს გაყოფას, გამრავლებას, ცხოვრებას...“

და ალბათ ასე გაგრძელდება მუდამ...

მზერა მალამოსავით მომედო, მთელ სხეულში სითბო ჩამეღვარა, გული ორმაგად აძგერდა. თავი ავწიე... „მცირერიცხოვანი პოპულაციის გადარჩენილმა წარმომადგენელმა“ დაღმართი ჩაამთავრა...

ჭროღათვალება

...ის ფანჯრის რაფაზე პატარა გოგონასავით შემოსკუპებულიყო. ცეცხლისფერი თმით ნახევრად დაფარულ მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო და გატაცებით კითხულობდა... ნეტავ რას... ზღაპარს?

ისინი ერთი პატარა ქალაქის მაცხოვრებლები იყვნენ. ქალაქის პოვნა მსოფლიო რუკაზე (მისი სიმცირის გამო) ალბათ გაგიჭირდებოდათ. ძალიან ცნობისმოყვარე ქალაქელებს ყველგან უყვარდათ ცხვირის ჩაყოფა. ასე რომ, ჩაკეტილ ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა და მთელი დღის განმავლობაში თითოეული ოჯახის სახლის კარიც და ფანჯრებიც ღია იყო. ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა. ისევე როგორც სხვა ქალაქის მცხოვრებნი, ისინიც იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, ავადმყოფობდნენ, ბერდებოდნენ და კვდებოდნენ. ატარებდნენ დროს ლხინსა და ჟრიამულში, უყვარდათ, სძულდათ და კლავდნენ კიდეც ერთმანეთს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. მაგრამ ერთი საოცარი რამ მათ ყველასგან განასხვავებდა. ეს იყო რაღაც მბრწყინავი სხივი, რომელიც ყველა აქ მცხოვრებს სახეზე გადაჰკრავდა, — ზოგს უფრო ნათლად, ზოგს — მკრთალად.

ერთხელაც მათ ქალაქს შორეული ზღაპრული ქვეყნიდან ყვითელ სამოსში გამოწყობილი წინასწარმეტყველი ესტუმრა. იმავე

დღეს მან ქალაქის დიდ მოედანზე შეკრებილ ხალხს აუწყა, რომ სხივი, რომელიც მათ სახეს ეფინებოდა, ღმერთისგან ნაბოძები განსაკუთრებული ნიშანი იყო. სწორედ ისინი იყვნენ ის რჩეულები, რომელთაც მეორედ მოსვლის შემდეგ ადამიანთა მოდგმის გაგრძელება ეწერათ. — თქვა მან ეს და გაუჩინარდა. ქალაქი სიხარულმა მოიცვა. ხალხის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ხელისუფალნი მაშინვე დაფაცურდნენ: გამოაცხადეს სახალხო დღესასწაული, გამოფინეს დროშები, მთავარ პროსპექტზე გაიშალა მსოფლიოში უგრძესი სუფრა, რომელიც ხორაგისაგან იზნიქებოდა. სუფრის გასწვრივ, ყოველ ათ ნაბიჯში დადგეს ღვინით სავსე უზარმაზარი კასრები. სიამაყით აღვსილი და ბედნიერებით გაბრუებული ხალხი მიეცა მართლაც რომ უსაზღვრო, ბაკჰანალიურ დროსტარებას. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ქვეყანაზე ყოველივე წარმავალია...

...მათი ღვთიური სხივდაკრულობის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო...

მალე ქალაქს სამხრეთიდან მტრის უზარმაზარი ლაშქარი შემოესია. დაიწყო ომი. მაგ-

რამ რაოდენ თავგანწირულნიც არ იყვნენ ამ ქალაქის მაცხოვრებელნი, უთანასწორო ბრძოლაში საქმე მათი დამარცხებისკენ მიდიოდა. მათ რიგებს ძალზე ბევრი მეომარი გამოაკლდა და მტერი უკვე ქალაქის მთლიანად წალეკვას აპირებდა, როდესაც... ჰოი, საოცრებავ, მოვიდა ამბავი, რომ თურმე რამდენიც ბრძოლის ველზე იღუპებოდა, ორი იმდენი ქალაქში იბადებოდა...

...უბედურება ამჯერად ჩრდილოეთიდან ელოდათ. უზარმაზარი ქვეყნის ხელმწიფე უთვალავი ჯარით დაესხა მათ თავს. ქალაქელებმა რამდენჯერმე უკუაგდეს მისი ლაშქარი. ხელმწიფემ გადაწყვიტა ბოლოჯერ ეცადა ბედი. მან ალყა შემოარტყა ქალაქს და გადამწყვეტი ბრძოლის წინ თათბირი მოიწვია. დაიწყეს ბჭობა, როგორ დაემარცხებინათ სხივგადაკრული ქალაქელები! მრავალი ხერხი სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ერთმა, ბერის შავ სამოსში გამოწყობილმა წვეროსანმა თქვა: თქვენ მათ მაინც ვერ ამოხოცავთ, სცადეთ შემდეგი: შედით ქალაქში, შეყარეთ ყველანი სახლებში და ფისით გაჟღენთილი ძონძებით ამოგმანეთ კარ-ფან-

ჯრები. აჭედეთ ყველა სახლი რკინის გისოსებით და უბრძანეთ ყველა ოჯახს, — ქალებმა იმშობიარონ მზისგან შეუღწეველ ბნელ ოთახებში...

...გადიოდა დრო. ქალაქში დანიშნულ ერთ მმართველს მეორე ცვლიდა, მეორეს მესამე... ქალაქიც და ქვეყანაც ნელ-ნელა დასუსტდა, დაჩიავდა...

და მაინც... როგორც მანამდე, ახლაც და შემდეგაც ქალაქის ქუჩები ყოველთვის სავსე იქნება მოხტუნავე, სხივგადაკრული ბავშვებით, რომელთაც ეყოლებათ მშობლები. იქნებიან ჯალათებიც, მშიშრებიც, გულადებიც. იქნება კეთილი და მის გვერდით ბოროტი. იქნება სიყვარული და მის გვერდით ზიზღი. თეთრი და მის გვერდით შავი, იქნება მშვიდობა და გვერდით ომიც. ქალაქს ეყოლება მდიდარიც და ღარიბიც, ხეიბარიც და ჯანმრთელიც და უფრო მოკლედ, — ბედნიერიც და უბედურიც...

ის პატიმარიც ერთ დროს ასეთი იყო — მშიშარაც და გულადიც, კეთილიც და ბოროტიც, მშვიდობის მოყვარულიც და ომზე დანაფებულიც და კიდევ უფრო მოკლედ — ბედ-

ნიერიც და უბედურიც... მაგრამ ახლა ის იყო სხვა, ყველასგან განსხვავებული...

...რკინის ცხაურიდან პატიმარი ყოველდღე ხედავდა თვითმარქვია წალკოტში მოგოგმანე გაბლენძილ ინდაურებს და მათთან ერთად ეზიზღებოდა საკუთარი თავიც. ტკიოდა, ძალიან ტკიოდა გული, სული და... ციხის უფროსის კეთილგანწყობით გათამამებული, მორიგე ზედამხედველისგან ყოველდღე დასტა ქაღალდის მთხოვნელი და უკვე სალოსად ქცეული, გამოსავალს პოულობდა „ჯღაბნაში". შემდეგ წერისგან დაღლილი და გაშეშებული თითების ჟესტიკულაციით, ყვირილით, ვედრებით, მოფერებით, წყრომით და საკნის დამზრალ მიწაზე მიკრობით, ეევედრებოდა ზეცას, რომ აეხილა მისთვის და მისი თანაქალაქელებისთვის თვალები, ეევედრებოდა მეზობელ პატიმრებს, რომ დაეგდოთ მისთვის — თავისუფლებით დასნეულებული პატიმრისთვის — ყური, რომლის ქაღალდზე გადმოღვრილ განცდას და სულიდან ამოგლეჯილ გრძნობებს — უკვე მეტამორფოზაგანცდილს ანუ ქაღალდის ფრჩხილისოდენა ნაკუწებად ქცეულს — დღის ბოლოს „პარაშა"

დაუმკვიდრებდა სამუდამო ადგილს...

პატიმარი: *„სიგიჟე“ გადამდებია... ვიცი, ფარას დაუბრუნდებიან გ ზააბნეული ცხვრები...*

ცხადი სიზმარშიც გადავიდა. ის ისევ ფანჯრის რაფაზე იჯდა. ოღონდ, ამჯერად დანამდვილებით ვიცოდი, — გადაშლილ დღიურში ზღაპარს წერდა...

IX

ცეცხლისფერთმიანი

დღეს ნინოობაა... 27 იანვარი... ვიცი, წავალ ეკლესიაში და დავანთებ სანთელს... ძველ სახლში მეზობლად მყავდა ერთი, ოთხმოცს გადაცილებული ნინო-ქალბატონი. ვმეგობრობდით... მე მისი ბინის თავზე ვცხოვრობდი და ჩემს ოჯახზე ამბობდა — ჩემი მფარველი ანგელოზები ხართო. მარტო ცხოვრობდა. არ ჰყავდა შვილი... თითქმის ყოველ საღამოს დაბარებულივით მივუკაკუნებდი ხოლმე კარზე და ისიც ყოველთვის ღიმილით მეგებებოდა. მერე დავსხდებოდით მისაღებ ოთახში, ის რომელიღაც წიგნს გადმოიღებდა თაროდან და იწყებოდა „ლამაზი საღამო“... ხშირად მთხოვდა, მემღერა მისთვის. ერთ დღეს კი თავადაც მოისურვა სიმღერა და ძალიან გაკვირვებულიც დავრჩი, — თუ ასეთი ხმა გქონდათ, აქამდე რატომ არაფერი

თქვით-მეთქი. გაელიმა, შორს გაიხედა და მიპასუხა: „ოცდაექვსი წელი შესრულდება მალე, რაც არ მიმღერიაო“...

პაუზა ძველმა ფირსაკრავმა შეავსო...

ქალბატონმა ნინომ სქელყდიანი საქაღალდე გახსნა, იქიდან რამდენიმე ძველი, გაყვითლებული ფურცელი ამოიღო, მომიბრუნდა და მკითხა: გიყვარს ვინმე?.. არასდროს გვისაუბრია ამ თემაზე... დავიბენი. ცუდი მოსწავლესავით კედლებს მივაჩერდი და იქ ვეძებდი პასუხს. მერე უცებ რაღაც მსგავსი წავილულლულე: კი, მიყვარს, როგორ არა... მიყვარს თავად სიყვარული-მეთქი... გაყვითლებულმა ფურცლებმა ისევ დამაბრუნა მასპინძლის სახლში. — წაიკითხე... ეს წერილები 35-40 წლის წინ მომწერა მეუღლემო, — მითხრა ათრთოლებული ხმით (მეუღლე უკვე ოცდაექვსი წლის გარდაცვლილი ჰყავდა). წავიკითხე...

აი, მაშინ მართლაც რომ უყვარდათ სიყვარული...

მახსოვს, ერთ 27 იანვარს რამე ორიგინალური საჩუქრის გაკეთება მინდოდა მისთვის, ვერაფერი მოვიფიქრე და და ისევ „მისალოც ბარათს“ დავჯერდი, — როგორც შემეძლო,

ისე მოვეფერე უფროს მეგობარს. მან ბარათი გულთან მიიტანა, შემდეგ ის საქაღალდე გახსნა, სადაც მეუღლის წერილებს ინახავდა და ისიც იქ მოათავსა.

ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდიოდა წინ. ისეთ ადგილას დავიწყე მუშაობა, რომ გვიან ღამემდე მიწევდა იქ ყოფნა. მე და ქალბატონი ნინოს „საღამოებიც“ უფრო და უფრო იშვიათად იმართებოდა. დილაობით, — ისიც თუ ორი წუთით მაინც მქონდა დრო, — მის კარს მივუკაკუნებდი, დავხედავდი, რამე ხომ არ გჭირდებათ-მეთქი, შევეკითხებოდი და სამსახურში გავრბოდი... ერთ დილასაც სახლიდან გამოსულს, კართან ნაკუწებად ქცეული ჩემი ბარათი ძირს მიმოფანტული დამხვდა. შევწუხდი ძალიან. სასწრაფოდ დავრეკე სამსახურში, რაღაც მოვიმიზეზე და მასთან ჩავედი. საყვედურიანი თვალებით შემომხედა, განზე გადგა და სახლში შემიშვა. პირველი, რაც ოთახში შესვლისთანავე ვიგრძენი, საშინელი უჰაერობა და სიბნელე იყო. სქელი ფარდები და დაგმანული ფანჯრები სინათლეს და ჰაერს არ უშვებდნენ შიგნით. ქალბატონი ნინო ტახტზე ჩამოჯდა და თქვა: ისინი მინათე-

ბენ... ჩემი წაყვანა უნდათ... შემდეგ უღონოდ მიესვენა. ძალიან შემეშინდა. მის სახლში ყველა ნივთის ადგილი ვიცოდი. სწრაფად გამოვაღე კარადის ერთ-ერთი უჯრა და წნევის აპარატს ვტაცე ხელი. მაღალი ჰქონდა. ჩაიდნით წყალი დავადგი. წნევის დასაწევი და დამამშვიდებელი ორი აბიც სასწრაფოდ გადავაყლაპე. შემდეგ ფეხები ცხელ წყალში ჩავადგმევინე, გავხსენი ყველა ფანჯარა და სახლში ჰაერი და სინათლე შემოვუშვი. თითქოს დაწყნარდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოვახერხე შემორიგება. წნევა ხელმეორედ გავუზომე, — უკვე გაცილებით უკეთ იყო. საღამომდე დავემშვიდობე და დავპირდი, რომ ისევ განვაახლებდით ჩვენს „საღამოებს". კართან მისულს მომიტრიალდა და მითხრა: უკვე გვიანია, ძალიან გვიანი, დაბერდა „ჩემი მეფე"...

...ეზოში მეზობლებს მოეყარათ თავი. არაფერი მიკითხავს, ისე შევედი სადარბაზოში. პირველ სართულზე, გამჭვირვალე პენუარმოცმული ქალბატონი ნინო ვიხილე. თმა ჩამოშლოდა. უკვე ვერავის ცნობდა, ყველას თავიდან იშორებდა და ხმამაღლა ყვიროდა: ისინი მოვიდნენ, ნახეთ, შეხედეთ, უკვე მომი-

ახლოვდნენ, მინათებენ, მინათებენ... შემეშ-ვით, მომეშვით, თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან...

იმ საღამოს მართლა „მოვიდნენ“ და თავის-თან წაიყვანეს ქალბატონი ნინო...

შაბათია. სამებაში ლოცვას ვესწრები. ამ დროს აქ უამრავი ადამიანი იყრის თავს. მეც მათ შორის ვარ და თანაც მათნაირი ცრუ, როგორც უმრავლესობა. ეჰ, ნეტავ რამდენი სულელის ვედრება უნდა შეისმინოს უფალ-მა. მიკვირს, როგორ არ იღლება. ჰო, ასეა! მშობლები დაბადებასაც არ გვაცლიან, ისე გვარქმევენ რომელიმე წმინდანის სახელს. ერთ-ერთის სახელს მეც ვატარებ. ხანდახან ვამაყობ კიდეც ამით, ხანდახან კი მის კალ-თას შეფარებული, როგორც ახლა, მის ხატე-ბასთან ვდგები და მფარველობას და დახმა-რებას ვითხოვ მისგან. ალბათ ისევე, როგორც უამრავი სხვა თხოვს სურვილების ასრულე-ბას უამრავ სხვა წმინდანს. ვიწვი სირცხვილ-ისაგან, ალმოდებულ ღაწვებზე სინანულის ცრემლებს რაღაც ამოუცნობი, უჩვეულო, გლოვის და სიხარულის ერთიანი ნაზავიც

ემატება. შემდეგ სანთელს ვანთებ. არ ვიცი, რა მაიძულებს ამის გაკეთებას, მაგრამ მუხლებზე ვდგები. სასიამოვნოდ მტკივა ძვლები. გალობის ხმა მაბრუებს. ჩემი ღიღინიც უერთდება გალობას. ბოლოს ვმუნჯდები. უამრავი წვრილმანი რამ უნდა მეთხოვა ხატისთვის და ახლა ვერაფერს ვიხსენებ. რატომ?! იქნებ გულწრფელობა აკლია ჩემს სურვილებს? არ მინდა ამაზე ფიქრი... ტუჩთან მლაშე გემოს ვგრძნობ, შემდეგ ნიკაპზეც მლაშე სიცივეს. ტირილით ბევრჯერ მიტირია, ცრემლის გემო და სურნელიც სულაც არ არის ჩემთვის უცხო, მაგრამ აქ ის სხვანაირია. მლაშე წვეთები თითქოს მყისიერად წყდებიან თვალებს, ქვავდებიან და კენჭებად გადაქცეულნი ტოვებენ ჩემი „სულის სარკეებს", აღარ უნდათ იქ ყოფნა და მარმარილოს იატაკს ტკაცანით ეხეთქებიან. მერე გაიფანტებიან ტაძრის კუთხეებში და ლოცვის დასრულების შემდეგ მორჩილები მათ დაღვენთილ თუ ჩამწვარ სანთლებთან ერთად ერთ დიდ ტომარაში მოათავსებენ... ფეხები დაბუჟებული მაქვს და მუხლები ისევ სასიამოვნოდ მტკივა. ისევ ხატს მივჩერებივარ და

ვერაფრით ვიხსენებ სათხოვარს. სანთლის ნალვენთი მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს ეცემა. ვფხიზლდები და ტყვიანაკრავივით ფეხზე ვდგები. — ვაა, შენც აქ ხარ? — მესმის ნაცნობის ხმა. ჰო, აქ ვარ, — ვპასუხობ მას ხმამაღლა და ფიქრთან დიალოგს ისევ ვაგრძელებ: ვითომ რატომ არ უნდა ვიყო აქ?.. ვბრაზდები... მერე სიბრაზე მივლის და ეკლესიის ეზოში გავდივარ. აქ უკეთ ვგრძნობ თავს. მამშვიდებს სივრცე...

საათზე მეტ ხანს დავყავი ტაძრის ეზოში...

„ზეთისცხება უკვე სრულდება", — მესმის ტაძრის კარში გამოსული ვიღაცის ხმა ვიღაცის მისამართით და მეც ამ ვიღაცასთან ერთად ისევ შიგნით შევდივარ. მალე მრევლი მთელი ტაძრის სიგრძეზე ორ ნაწილად იყოფა. შუაში წითელ ხალიჩას აგებენ და მრავალჟამიერი ისმის. სტიქაროსნები ჯვრებს და ხატებს მოაბრძანებენ. შემდეგ უკვე უმაღლესი სამღვდელოება მოდის და ლოცავს მრევლს. ხელგამოწვდილი ადამიანები პატრიარქის გამოწვდილ ხელთან მიახლოებას და შეხებას ცდილობენ. ისიც თბილი, სათნო გამომეტყველებით და მთრთოლვარე ხმით დაუღა-

ლავად ლოცავს ირგვლივ ყველას. უცებ რა-
ტომღაც ჩერდება. ერთი ნაბიჯით უკან იხ-
ევს. ოთხ თუ ხუთ რიგად მდგარ მრევლში ვი-
ღაც თავჩაღუნულს თავზე ხელს ადებს და
წამით ყოვნდება. ის თავს მაღლა წევს და განა-
თებულ, ცრემლიან თვალებს ვხედავ. თით-
ქოს მიკვირს და არც მიკვირს მისი აქ ყოფ-
ნა... პატრიარქი შემობრუნდა და ისევ წინ გა-
ნაგრძო გზა. ხალხი მას გარეთაც გაჰყვა. მეც
მათ შორის ვარ...

დავკარგე ჭროლათვალება. ისევ ტაძარში
შევედი. რამდენიმე ათეული ადამიანი თავის
რიგს ელოდებოდა ზიარების მისაღებად. და-
ვაკვირდი მათ. ჩემს გვერდით ვიღაც თავსა-
ფრიან, ხანდაზმულ ქალბატონს ხელიდან
ცხვირსახოცი გაუვარდა. მივაწოდე. მადლო-
ბა გადამიხადა და ერთდროულად მკაცრი და
სათნო გამომეტყველებით ჯერ მე, შემდეგ
ზიარების მომლოდინე მრევლს მიაჩერდა და
უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა: „მღვდელმა
დღეს ათასამდე ცოდვილი აზიარა, უფალმა
კი მათგან მხოლოდ ოცდაცამეტი“...

ქროლათვალება

უკვე ორი დღეღამეა, კოკისპირულად წვიმს. ქარიც საოცრად ბობოქრობს. გეგონება წარღვნა მოვიდაო. მიაქვს ყველაფერი. შუქიც წავიდა. ვერც ტელევიზორს შეხედავ, ვერც წიგნს გადააყოლებ გულს. მთელს ტანში მტეხავს. ადგილს ვერ ვპოულობ საბანქვეშ. სხეული თითქოს ჩემგან დამოუკიდებლად ბორგავს — ხან ზურგზე ვწვები, ხან გვერდზე, ხან მუცელზე. ვერაფრით ვახერხებ დაძინებას. რაზე აღარ ვიფიქრე, რას არ მივედ-მოვედე, სად არ წავედ-წამოვედი, მაგრამ არაფერი მშველის — სახლის ფანჯრებსა და სახურავზე მოკაკუნე წვიმის წვეთები თავში ჩაქუჩივით მირტყამს... გადაღლილი და ოფლით შუბლდაცვარული მაინც ვახერხებ ნელ-ნელა ბურუსში გადასვლას...

თოთხმეტი წლის მოზარდი გოგონა გიმნაზიისკენ ველოსიპედით მიიჩქარის. აგვიანდება. კიდევ შვიდი ვერსი უნდა გაიაროს. უკანაც ამდენივე სახლამდე. და ასე ყოველდღე,

მას შემდეგ, რაც შორეული შტატებიდან მთელი ოჯახით ჩამოვიდნენ. არ ეზარება. უბრალოდ ჯერ ვერ შეეჩვია. დიდი ქალაქიდან, სადაც ომნიბუსები და ტაქსები დადიოდა, უეცრად მოხვდნენ სხვა კონტინენტზე. სადღაც გადაკარგულში, სულ მწვანეში ჩაფლულ გორაკებზე, რომელსაც მამა სამშობლოს უწოდებდა, პატარა ტრაქტორი თუ გაიხრიგინებდა. მამამ, ყოფილმა სამხედრომ და შემდეგ ოქროსმაძიებელმა, მოულოდნელად ფერმერობა გადაწყვიტა. ყველაფერი მიატოვა, ჩამოვიდა კონტინენტზე და უზარმაზარი სახლი და ფერმა შეიძინა. შემდეგ თავისი დიდი ოჯახი ჩამოიყვანა აქ და დასახლდა. „როცა ეკუთვნი საშუალო ფენას, კაცობრიობა არც შენი ინტერესებისთვის იბრძვის და არც შენდობის გრძნობა აქვს შენდამი. ამიტომაა, რომ ამ დროს სიხარული სტერილურია, ხოლო ტკივილი და მწუხარება თანაგრძნობას არ იწვევს. მე კი ასე არ შემიძლია, რაღაც უნდა შევქმნა, მიწასთან ახლოს ყოფნა მწყურია", — ამბობდა მამა.

ცარიელი გზა უეცრად იხერგება — ბოშათა ჩარდახგადაფარებულ ფორანს ბორბალი

გასძრობია. მამაკაცები ცდილობენ თავიანთი მუდამმომთაბარეული საცხოვრებლის შეკეთებას. გოგონა ჩერდება და ინტერესით ადევნებს თვალყურს მათ საქმიანობას. გარშემო მათი ბავშვები ყივილ-ხივილით დარბიან. შემდეგ ამჩნევენ გოგონას და გარს შემოერტყმევიან. იბნევა. ახსენდება, რომ კანფეტები აქვს და ურიგებს მათ. პატარებს მადლიერების გრძნობით ენთებათ თვალები. ამ დროს ფორანიდან ასაკოვანი ქალი ჩამოდის. უთვალავი ჭრელი ქვედაკაბა აცვია. მიუახლოვდება გოგონას და თვალებში ჩახედავს.

— რა გქვია?

— მარიტე, — პასუხობს და, ცოტათი შემკრთალი, ერთი ნაბიჯით უკან იხევს.

— გინდა გიმკითხავო?

გოგონა კიდევ უფრო ფრთხება.

— არა, ფული არ მაქვს.

სხვა კონტინენტზეც უნახავს ბოშები. დედა ყოველთვის აფრთხილებდა, რომ არასოდეს მიახლოებოდა მათ, რადგან ისინი პატარა ბავშვებს იტაცებდნენ და მერე ყიდდნენ. ახლა ის პატარა აღარ არის, მაგრამ მაინც კარგად ახსოვს დედის შეგონება.

— გიმნაზიაში მაგვიანდება, უნდა წავიდე.

— მოითმინე, ფული არ მინდა. კეთილი ბავშვებისაგან ფული როგორ უნდა ავიღო. შენს თვალებში რაღაც უცნაურს ვხედავ — განსაკუთრებულ ბედს უნდა ეწიო.

გოგონა ინტერესდება. მაინც არ იმჩნევს.

— არა, მაპატიეთ, ძალიან მეჩქარება. უნდა წავიდე.

— სულ ხუთი წუთი მაცადე და შენს მომავალს მოგითხრობ. დამიჯერე, ეს საშიში არაა. თანაც ხომ უნდა გადაგიხადო სიკეთისთვის. ჩვენ, ბოშებს ვალში დარჩენა არ გვჩვევია.

გოგონა შეშდება. თითქოს, კადრი შეჩერდა.

ახალი კადრი — გზიდან ცოტა მოშორებით ხის ჩრდილში ბოშა ქალი და გოგონა დგანან. მოხუცი ქალი ბუტბუტებს და რაღაც ძველებურ წიგნს ფურცლავს.

— ძალზე ცოტა ხნის შემდეგ, სულ რამდენიმე წელიწადში, საცხოვრებელ ადგილს შეიცვლი. ბედი კიდევ უფრო შორს გადაგისვრის. შენ ხომ სულ სხვა მიწიდან ხარ მოსული?

გოგონა უხმოდ უქნევს თავს.

— კარგად არ ჩანს რატომ, მაგრამ შორს,

სადღაც ჩრდილოეთისკენ დაუსრულებელ სიცივესა და შიმშილში გაატარებ გარკვეულ დროს.

გოგონა ისევ შეკრთა.

— არა, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად დამთავრდება. ამის შემდეგ ისევ გრძელი გზა გელის, ამჯერად — სამხრეთისკენ. ბევრ სითბოსა და ბედნიერებას ვხედავ. ეს ადგილი იქნება შენი ბოლო ნავსაყუდელი. იქ თავიდან მოინათლები, გეყოლება ოჯახი, შვილები, მეგობრები. ბოლოს ღრმა მოხუცებულობაში გადახვალ იმ სამყაროს.

— მოვინათლები, და ჩემი პასტორი?

— იქ აღარ იქნება შენი პასტორი. მეტს ნუ მკითხავ, მაინც ვერაფერს გეტყვი. საკუთარი ცხოვრების გზა ყველამ თავისით უნდა განვლოს...

...გოგონა ისევ ველოსიპედით მიიჩქარის გიმნაზიისკენ. მზერა კონცენტრირებული აქვს. სადღაც შორს იხედება. ანგარიშმიუცემლად იმეორებს ერთ სიტყვას — ნინო, ნინო, ნინო, ნინო...

თვალს ვახელ. პირი გამშრალი მაქვს. ბალ-

იშის უსიამო სისველეს ვგრძნობ. მაჟრჟოლებს ტანში. ვტრიალდები. ხელს ძლივს ვყოფ საბნიდან და სიბნელეში საწოლის თავთან მდგარ წყლით სავსე ბოთლის ყელს ვეძებ. ვიპოვე. წამოვიწიე. როგორც იქნა მოვიყუდე, მაგრამ წყალიც აღარ მსიამოვნებს. თავის ადგილას ვაბრუნებ. დაუსრულებელი წვიმის ხმის ფონზე ისევ სადღაც ვვარდები...

...მორებს ამზადებენ. უზარმაზარი მოჭრილი ხისგან ჩამოთლილ ტოტებს აგროვებს და ვილაცას შორიდან უთვალთვალებს. ტყეში არიან. არემარე თოვლის საბურველშია. სიცივისგან სუნთქვა ეკვრის. გარშემო წვერმოშვებული, პირმოქუფრული ჩექმებიანი მამაკაცები და ტანზე შალმოხვეული ფორმადაკარგული ქალები ფუსფუსებენ. ცალკე გამდგარან კეხიანცხვირიანი და ახმახი მამაკაცები, პაპიროსს აბოლებენ და უცხო ენაზე საუბრობენ. მათ შორისაა ის ჭროღათვალებაც, ვისაც უკვე ორი თვეა, სადმე ახლომახლო თუ გამოჩნდა, თვალს არ აშორებს. რამდენჯერმე დაინახა, მისკენ ნაბიჯიც გადმოდგა, მაგრამ შემდეგ რატომღაც გაჩერდა. ზე-

დამხედველებმა განზე მდგარი უსაქმო მამაკაცების ჯგუფი შეამჩნიეს და მათკენ დაიძრნენ. ამ დროს მოჭრილი ხის ვარდნისა და შემზარავი კივილის მჭექარე ხმა გაისმა. ყველა იქით გაიქცა. იქვე მყოფები, რომელთა შორის, კაცმა არ იცის საიდან, გაჩენილიყო ჭროლათვალება, უკვე ებლაუჭებოდნენ წაქცეულ ხეს, რომლის ქვეშაც მოყოლილი ახალგაზრდა ქალი ტკივილისგან იკრუნჩხებოდა. მონუსხულივით იდგა და თვალს ვერ აცილებდა. როგორც იქნა, გამოათავისუფლეს. ჭროლათვალებამ მზერით მოძებნა. გადმოდგა ნაბიჯი და ამჯერად აღარ გაჩერებულა...

...ბრრრ, რა საშინელებაა, ადამიანი ჭიაყელასავით რომ იკლაკნება. პირი ისევ გამშრალი მაქვს. ამჯერად ბოლომდე დავეწაფე ბოთლს. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებს. ჯერ არ გათენებულა. ან რიჟრაჟია ან ისეთი ჟამი ამინდი, რომ ვერ გაიგებ, დილაა თუ ბინდი. ბრრრ, რა საშინელებაა... თავი ისევ მივაგდე ბალიშზე. თვალები თანდათან მიმელულა...

ნინო ჰქვია. ჭროღათვალებასთვის ხელკავი აქვს გაყრილი. მტკვარს კვეთენ სტალინის ხიდით. როგორც ჩანს, კარგა ხანი გავიდა წინა ზმანების დროიდან. შვილიც ჰყავთ. სახელს ვერ იხსენებს. ნელ-ნელა მისეირნობენ. ადრიანი გაზაფხულის მზის სხივები ნაზად ელამუნებათ სახეებზე. ჩრდილოეთის გაუთავებელი სუსხის შემდეგ ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს სამოთხეში მოხვდა. გარშემო უამრავი ქალი და მამაკაცი ირევა, რომლებიც ხმამაღლა საუბრობენ, იცინიან, გაუთავებლად ჟესტიკულირებენ ხელებით. როგორც ჩანს, სიტყვები არ ყოფნით ემოციების გამოსახატავად. თავბრუ ეხვევა, გარშემო ყველაფერი ტრიალებს, თითქოს ვალსს ცეკვავდეს. მოულოდნელად ყოველივე გაბუნდოვანდა, თითქოს ნისლი ჩამოწვა. ხალხის ხმა უკვე შორიდან ესმის. ყველა გარბი-გამორბის — ზოგი პლეხანოვისკენ, ზოგიც ელბაქიძის ალმართისკენ. პანიკის შეგრძნება ჯერ არა აქვს, მაგრამ რაღაც ცუდის წინათგრძნობა უჩნდება. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამენ. გამაყრუებელი დარტყმების ხმა ისმის, რომელიც ზუზუნსა და სისინში გადაიზრდება. წინ მიმა-

ვალმა კაცმა შეჰყვირა, წაიბორძიკა, ფილა-ქანზე გაიშხლართა და გაშეშდა. აქეთ-იქით კიდევ რამდენიმე ადამიანი ვარდება. მოქმედება თითქოს შენელდა... ისინი უკვე გარბიან. ქალს ფეხი უცურდება წითლად შეღებილ გუბეში, მაგრამ კაცის ძლიერად შემოჭდობილი ხელი არ აძლევს დაცემის საშუალებას. უეცრად ხვდება — ღმერთო, ეს ხომ სისხლია. ბურუსი გაიფანტა. ხედავს, რომ ხალხს ესვრიან, რომ ზუზუნი ტყვიებისაა, ყველა საფრთხეშია. რა გვეშველება?! მკლავზე ჭროღათვალებას ხელს ვეღარ გრძნობს. იხედება. მთლიანად სისხლშია, ხიდის მოაჯირს ეჭიდება. თვალებით ემუდარება — წადი, გაიქეცი. ნელ-ნელა ძალა ელევა, ქვემოთ ცურდება.....

...თვალს ძლივს ვახელ. ოფლში ვცურავ. ისევ უსიამოვნოდ დაღლილი ვარ. რა არ დაგესიზმრება კაცს. წვიმა ისევ მოთქრიალებს. დასრულდება ოდესმე? ნეტა ვინ იყო ის უცნობი ხალხი?

ნინო... ნინო... მთელი დღე აკვიატებული მქონდა ეს სახელი.

გარეთ გავედი. აღმართზე მეზობლის

ქალს სურსათით სავსე ორი ჩანთა ამოაქვს. მივეშველე. — მრავალ ნინაობას დაგასწროს ღმერთმაო, — მითხრა... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. არ ვიკლავ თავს ეკლესიაში სიარულით, მაგრამ... ჩემი ზმანების უცნობ დედოფალს მინდა დავუნთო სანთელი...

სამების ტაძარი სავსეა ხალხით. სანთელი დავანთე და გარეთ გამოვედი. ის იდგა მარტო, მოლივლივე ცეცხლის ალივით, თითქოს მოწყენილი, მაგრამ მაინც იმედიანი.

„ზეთისცხება უკვე სრულდება", — ამბობს ტაძრის კართან ვილაც და ისევ შიგნით შედის. ცეცხლისფერთმიანი მიჰყვება უცნობის ხმას... მე ცეცხლისფერთმიანს...

X

ცეცხლისფერთმიანი

სასიამოვნო, ზარმაცი ნაბიჯებით, ნელა, ძალიან ნელა მივუყვები ქუჩას. ზოგი ჩემნაირად მიაბიჯებს მშვიდი გამომეტყველებით, ზოგიც სწრაფად და თითქოს პირქუში მზერით, სხვა წამდაუწუმ საათს დაჰყურებს და ნერვული ნაბიჯები იმაზე მეტ დროს აკარგვინებს, ვიდრე იმავე მანძილის გავლას სჭირდება ჩვეულებრივ... ალბათ, არსებობს რაღაც კავშირი ნაბიჯის შენელებასა და სასიამოვნო ფიქრს შორის და ნაბიჯის აჩქარებასა და რაღაც უსიამოვნოს დავიწყებას შორის. მოკლედ, ასეა თუ ისე...

ქაშუეთს ჩავუარე. მზიანი დღეა. დეიდებო, ბიძიებო, დამეხმარეთ რა, — საწყალობლად წაიმღერა ჩემს გვერდით ციგნის ბავშვმა. ხურდა მოვიქექე ჯიბეებში. საკმაოდ აღმომაჩნდა. სხვებსაც გავუნაწილე და გზა გან-

ვაგრძე... ალექსანდრეს ბაღში ჩავედი. ბავშვების ჟრიამული იქაურობას აყრუებდა. უცებ ჩემს გვერდით ბოშა ქალი გაჩნდა, კაბაზე ჩამებღაუჭა და დამტვრეული რუსულ-ქართულით მითხრა:

— დევუშკა, დევუშკა, მოდი, გენაცვალე, პაგადაიუ, შენ იცი, რა გელოდება?

— თავი დამანებე, — მივუგე და ზიზღით მოვიშორე მისი ხელი.

— გენაცვალე, მანეთი მომე, ნახე რეები გეტყვის ჭკვიანი ქალი... — არ მეშვებოდა უამრავი ზიზილ-პიპილოთი „დამშვენებული" ბოშა.

გრძელ სკამზე ჩამოვჯექი და ისიც გვერდით მომიჯდა.

— შენა, გოგო, პასლუშაი მენია, გონია, ვერა ვხედამ რომ ისა...

— რა ისა? — ვერ გავუძელი ცდუნებას.

— ისა შენი არ არის, ისა მალე მიდის. იქით წავა და აღარ მოვა... ისა კაი ბიჩია, შენაც კაი გოგო, მარა ის წავა და აღარ მოვა... აი, ნახამ! კი, მოვა... დგესაც ნახამ, მარა მერე სულ წავა... — თვალები მომაშტერა ქალმა და განაგრძო:

— აგერ, ნახე, ვითომ რა კარქი მამა არი. შვილები უკვარს, ცოლიც ყამს და კაი სამსახურიც. ცოლი უკვარს, მარა კიდე სხვაც უყვარს. აი, იქა, სამსახურში, მარა ცოლის ეშინია. ცოლსაც უყვარს ესეც, მარა იმასაც კიდევ სხვა უყვარს და ამისა ეშინია. აი, ეგეთია ცხოვრება, გოგო. თავი მომაჩერი, ეგრე თუ არ არის...

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვუსმენდი მას. ერთხელ კიდევ შემომხედა და ისევ განაგრძო:

— ვოტ, შეხედე, აი, იმ გოგოსა ხო ხედამ?

— ვის? რომელს?

— აი, იქა, ციგნი რო აქ ხელში?

— ჰო, ვხედავ. მერე?

— მერე ისა, ანა ნიშასნა... ადრე სიკვარული ჰქონდა და ახლა აღარ აქვს. ის ბიჩი ამისთვის მოკდა. ეს გოგო კიდე სულ თირის და თირის იმას. ახლა ამას თვითონ დიდი სიკვარული უკვარს, მართო კოფნა არ უნდა და იმ ბიჩს ციგნში ნახავს. მერე ის ბიჩი მართლა მოვა და ეს გოგო ქიდევ ითირებს თავიდან... აი, ნახამ თუ არ მოვა, აი, ნახამ...

იმავე წუთს ჩემს ახალ „ნაცნობ-წინასწარ-

მეტყველთან" ოთხი გაძვალტყავებული პატარა ბოშა გაჩნდა. ბავშვებმა დედას მათხოვრობით ნაშოვნი ფული ჩაუკუჭეს ხელში და სწრაფადვე გაეცალნენ იქაურობას. დედაც ადგა. ორიოდე წამით შეყოვნდა, შემომხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ცავედი, ცავედი, პური უნდა ვაჩამო ამათ, — თქვა და ისიც გაუჩინარდა...

მე ჩემთვის ვიჯექი ბაღის მყუდრო კუთხეში და ბოშა ქალის საუბრით მონუსხული დაკვირვებას განვაგრძობდი გარშემომყოფებზე...

მოსწავლე პატარა გოგონები სიგარეტს ახალი ხილივით ეწაფებიან, თანატოლ ბიჭებს ზედაც არ უყურებენ და გამვლელებში სიმპათიურ მამაკაცებს ვნებიან მზერას ჩუქნიან. თუმცა, ყოველ წუთს მასწავლებლის ან მშობლის გამოჩენით დაზაფრულებს თვალებში შიში უკრთით.

ხანდაზმული წყვილი მზეზე ბებერ ძვლებს ითბობს. კაცი არც სვამს და არც ეწევა და ცოლს არწმუნებს, ერთიცა და მეორეც შემძაგდაო. სინამდვილეში, სიკვდილის შიშით ამბობს უარს ორივეზე.

გაღიმებულ ბაბუს მოჰყავს პატარა ბიჭი ვიოლინოთი ხელში. ბიჭს ალბათ სულაც არ ხიბლავს ვიოლინოს გაკვეთილები და მოწყენილია, რადგან მთელი სიცოცხლე მოუწევს იმ იმედების გამართლება, მშობლები და ბაბუ მასზე რომ ამყარებენ.

საწყალი, სასოწარკვეთილი, ცხოვრებისგან დაღლილი ლოთი კაცი, ხან რას მიეჯახა და ხან რას წამოკრა ფეხი. გამვლელებს ართობს თავისი ზნედაცემულობით. შევხედე მას და ჩემს მეხსიერებაში ერთი ცნობილი მწერლის რომანის ერთი უბადრუკი გმირი გაცოცხლდა. ვანო როსტიაშვილი დაარქვა იმ საცოდავს. დათვრებოდა ეგ უბედური — „ინტელიგენტი ლოთი" და ცირკის მასხარასავით ართობდა ხალხს. ვისთვის მართლა სასაცილო და ვისთვის მტკივნეული ღიმილის მომგვრელი ოთხზე დადგებოდა და სახლს პირუტყვის ქცევით და გამომეტყველებით უახლოვდებოდა. სახლში მისულს კი მთასავით ქალს — სიდედრს, ბრძოლის ჟინს ულვიძებდა და ისიც გაცხოველებით უბრაგუნებდა გამოუსწორებელ სიძეს იატაკის ჯოხს. არც წყევლა-კრულვას აკლებდა ავადმყოფ კაცს

და გაგანია სიცხეში თუ ქარბუქიან ზამთარში იმას ისევ ქუჩაში, ხალხის თავშეყრის ადგილებში უხდებოდა დაბრუნება... ამ მაგალითს ჩვენი თვალისთვის დასანახი და ყურისთვის გასაგონი მსჯელობაც მოაყოლა თავის მხრივ მწერალმა, მაგრამ, ეგ სხვა დროს იყოს... ახლა რა ხდება?.. ისევ ბოშა ქალი საუბრობს თუ წინასწარმეტყველება გადამდებია?..

საცოდავ ლოთთან ვიღაც მიდის, ფეხზე წამოაყენებს, სკამზე დასვამს და თვითონაც გვერდით მიუჯდება, გაესაუბრება... ვინ უნდა იყოს თუ არა ჭროღათვალება?.. რამდენიმე წუთი გაგრძელდება მათი საუბარი. შემდეგ ჭროღათვალება დატოვებს ბაღს. ჩემი მზერა გააცილებს მას ქვემოთკენ. მართლა ისაა?.. თუ მეჩვენება?.. ნეტავ, თუ შემამჩნია?.. არ ვიცი... მეც ავდგები და წასვლას დავაპირებ. ვიღაც ბიჭი კიბეზე ჩქარი ნაბიჯებით ჩამოირბენს, გვერდზე ჩამივლის, შემობრუნდება და საათს იკითხავს. შეშფოთება გამოეხატება სახეზე. თვალს გავაყოლებ. ბიჭი წიგნში თავჩარგულ გოგონას დაინახავს და... მერე? მერე სიყვარულს თავისი ხმა აქვს და სათქმელს თვითონ იტყვის... ბავშვები ისევ

იცელქებენ და მათი მხიარული ხმები ჩიტების ჭიკჭიკთან ერთად გასცდება ბაღს.

შემდეგ ქუჩაში ისევ ივლიან — ჩქარი, ნელი და ნერვული ნაბიჯებით და ყველა მათგანს ექნება ცხოვრების ძიების საკუთარი გზა. ერთ ჩვეულებრივ დღეს კი ყველა მათგანში გაიღვიძებს მიძინებული ბავშვი და ყველანი — იდუმალებით, ბურუსით, მისტიფიკაციითა და ანონიმურობით დატვირთულ სამყაროში, ჰორიზონტს მიღმა ხანგრძლივი და უნაყოფო ძიების შემდეგ, ბავშვური გულუბრყვილობით ანთებულები, — თავისთვისაც მოულოდნელად, მიადგებიან ფართედ გაღებულ კარს... მე?.. მე სად ვარ?..

ისევ ქაშუეთთან... დეიდებო, ბიძიებო, დამეხმარეთ რა, — საწყალობლად წაიმღერებს ჩემს გვერდით ციგნის ბავშვი. ისევ მოვიქექავ ჯიბეებს. ხურდა ისევ აღმომაჩნდება. სხვებსაც გავუნაწილებ და გავაგრძელებ გზას. მეც მექნება ცხოვრების ძიების საკუთარი გზა. შემდეგ გაიღვიძებს ჩემშიც ბავშვი და ისიც უეცრად, თავისთვისაც მოულოდნელად, მიაგნებს იმას, ვისაც არ ელის...

ჭროღათვალება

დღეს სახლიდან არ გამოვსულვარ. წიგნმა გამიტაცა და ვერც კი ვიგრძენი საღამოს მოახლოება. ზარის ხმაა. ჩავამთავრე აბზაცი და კარი გავაღე.

— ვაა, ირაკლი?.. შემო, შემო...

— მე შემოვიდე კი არა, შენ გამოდი... ჩემთან ავიდეთ. სასტავი ვგროვდებით.

— აუ, არა რა...

— წამო, წამო, დროზე, — წაავლო ხელი ჯერ ჩემს ქურთუკს, შემდეგ მე და გარეთ თითქმის ძალით გამიყვანა.

...ღამით ირაკლისთან დავრჩი. როგორც ყოველთვის, ბევრი დავლიეთ. ბიჭებმა გვიან ვიღაც ქალებიც ამოყარეს სახლში. ვულგარულები, საშინლად ამაზრზენები იყვნენ. ფერუმარილით გაშპაკლული სახეების დანახვა გულს მირევდა. მათ მზერაში იყო რაღაც ისეთი, რაც თითქოს უჩინარს მხდიდა მათთვის. აივანზე გავედი. დიდხანს, ძალიან დიდხანს დავრჩი იქ... ბოლოს შესვლა გადავწყვიტე. თავიდან თვალი ვერავის მოვკარი. ალბათ

დაწყვილდნენ — გავიფიქრე და ზიზღმა კიდევ ერთხელ დამიარა. ვიცი, ბიჭებს ახლა მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებთ — გათავისუფლდნენ ალკოჰოლით გამოწვეული ცხოველური ჟინისგან, ბორკილები ახსნან გაშმაგებულ სხეულს, უკუღმართი ცხოვრებისგან დაგროვილი ბოღმა თესლად გადმოანთხიონ ზნედაცემულ, გზასაცდენილ ადამიანებზე. თვალები დავხუჭე და სავარძელში ღრმად ჩავჯექი. თითქოს ჩამთვლიმა. არ ვიცი, რა დრო გავიდა. ერთ-ერთი ურჩხულის მოახლოება ვიგრძენი. შემდეგ ძალიან ახლოს, თითქმის ჩემს ყურთან ყრუ ოხვრა გაისმა... — ო, როგორი ცხოველი ხარ, ადამიანო... — ვფიქრობდი ისევ თვალდახუჭული და მეც ნელ-ნელა მითრევდა ცოდვის მორევი. და, აი... ბოლომდე აშიშვლებს ჩემს სხეულს ბინძური შეხება. წინააღმდეგობას ველარ ვუწევ მოვარდნილ წარღვნას. მყრალი ტალღა ლეწავს თავდაჭერილობას და ვნების სურნელი მაბრუებს. ვემორჩილები აჩქარებულ გულისცემას, ვმოძრაობ მასთან შეთანხმებულად და სულ მალე პიკს აღწევს ჯოჯოხეთური ვნებათაღელვა... ყველაფერი დამთავრდა... ბოლო ნაკვერჩ-

ხალმა შმაგ კოცონზე თვალი დახუჭა... სველი სხეული რეალობაში მაბრუნებს... ო, როგორ მეზიზღება საკუთარი თავი. გულზე ვიღაც უხილავის რკინის ბრჭყალებს ვგრძნობ. სისხლი სდის ჩემს სულს და მეკრუნჩხება დაძარღვული ხელები. ტკივილი უხეშია, აუტანელი. თავს მხეცად ვგრძნობ, რომელსაც სულ პატარა მიზეზი სჭირდება გამძვინვარებისთვის. ურჩხული კი ისევ მიახლოვდება და პირიდან ხრინწიან, ნაცემ ხმას უშვებს.

— იცი, რეჟისორი რომ ვიყო, ალბათ შენზე ფილმს გადავიღებდი... რა ლამაზი სხეული გაქვს...

და ეს ხმა, ჩემში გველივით შემომძვრალი გაშმაგების მარწუხებში მომწყვდეულს, მაიძულებს ეს სიტყვები გადმოვანთხიო:

— რაც გინდა ის ქენი, ბებერო ბოზო... მიეცი შენი სხეული დასაჯიჯგნად გარშემო ყველას, ღამის საფრთხობელავ... შენ და შენნაირები ხართ წამბილწავი ყოველი ნაზის და კეთილის, შენ და შენნაირებს ასდით შმორის აუტანელი სუნი და მძულხართ ყველანი... — ვყვიროდი ბოლო ხმაზე.

ბიჭები გამოცვივდნენ მეზობელი ოთახე-

ბიდან. ჩემს დამშვიდებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ...

ქალს შევხედე. თვალები შიშით ჰქონდა სავსე. მისმენდა და ყურებს არ უჯერებდა.

— რატომ მეუბნები ამ ყველაფერს? რა დაგიშავე?

— სწორედ ისე გაიგე, როგორც გეუბნები, პირდაპირი მნიშვნელობით — გაიგე ბოზი, როგორც ბოზი, საფრთხობელა, როგორც საფრთხობელა, შმორი, ზიზღი და აუტანელი სუნი, როგორც შმორი, ზიზღი და აუტანელი სუნი!!! — ვყვიროდი ისევ გააფთრებით.

აბაზანაში შევვარდი. შხაპი მივიღე. ჩავიცვი. ის ქალი ისევ ისე, ტახტის კუთხეში მოკუნტული იჯდა და ცრემლებისგან ჩამორეცხილ, გათხაპნილ სახეს ცხვირსახოცით იწმენდდა. ძალიან შემეცოდა. ლარნაკიდან ნახევრადდამჭკნარი მინდვრის ყვავილი ამოვიღე, გავუწოდე და პატიება ვთხოვე.

გამიღიმა...

კარი ფრთხილად მოვიხურე და ქუჩაში გავედი...

ოჰ, ეს ქალები... თითქოს ტბის დაგუბებულ წყალზე ჩუმები, ბალახზე შეუმჩნევლები,

მაგრამ დიდი სიმდიდრის მფლობელნი. მათი ცრემლები გვაიძულებენ მათ წინაშე მუხლებზე დაცემას. ისინი ამაყობენ ამით. მერე ისევ თვალთმაქცობენ, თითქოს ეშინიათ ჩვენი და ბრალს გვდებენ აგრესიაში. ჩვენ კი მათი ცრემლებით კვლავ ვიხიბლებით და ისევ ვიჩოქებთ. შემდეგ ქალი ისევ მოგვცემს მოფერების უფლებას, გაგვიყოფს სარეცელს და ასე იქნება დაუსრულებლად... ოჰ, ეს ქალები...

არ მინდა სახლში. სად წავიდე? ალექსანდრეს ბაღს მივუახლოვდი. ბავშვების ჟრიამული აყრუებდა იქაურობას. დედამ გულში ჩაიხუტა შვილი. ახლა სულ სხვა მხრიდან შევხედე ქალს — თბილს, მოსიყვარულეს, იმედის მომცემს... მერე ვიღაც წაქცეული მოხუცი ლოთი წამოვაყენე და სკამზე დავსვი. შემდეგ ბელურებს მზესუმზირით გავუმასპინძლდი... სულ სხვა სურნელი შემოვიდა გულში. ის ალბათ სადღაც აქ არის, — გავიფიქრე და ბაღის შორეულ კუთხეში მოვკარი თვალი ამ სურნელის დამაფრქვეველ, მეოცნებე ბელურას...

XI

ცეცხლისფერთმიანი

რამდენიმე დღის წინ თათა მესტუმრა. ჩემი ახალი მოთხრობები წავაკითხე. უცებ ჩაფიქრდა და... — ერთ რამეს შემოგთავაზებ, მგონი არ არის ურიგო იდეაო, — მითხრა. რას გულისხმობ-მეთქი, — ვკითხე. შენ დაწერ, მე კლიენტებს მოგიყვან და თანხაც გავიყოთო... სასაცილოდ მომეჩვენა ეს ყველაფერი, თუმცა თათას გამოისობით, ადამიანი, რომელსაც მკითხველისთვის უნდოდა გაენდო თავისი ცხოვრების პატარა ისტორია, სულ მალე გამოჩნდა. მეც დავფიქრდი: — შემოთავაზებული თანხა სოლიდურია, სხვის მოწოდებულ ამბებზე რაღაცის აგებაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც ძნელი და... დავთანხმდი. დღეს, ოთხი საათისთვის შევითანხმე ბატონი ჯიმშერი. სახლთან ახლოს ერთი მყუდრო ბარი მეგულება. ბარს ხალხი მხოლოდ საღამოო-

ბით ჰყავს და ვიფიქრე, ამ დროს, ხელს არც არავინ შეგვიშლის-მეთქი. უნდა ვაღიარო, ცოტას ვღელავ, — უცხო ადამიანებთან შეხვედრა არ არის ჩემი ცხოვრების წესი...

საკმაო დროა ოთხამდე. ვერ ვისვენებ. ვერაფერს ვაკეთებ სახლში. გარეთ გავედი... სილამაზის სალონს ჩავუარე და თვალები ბავშვურად ამიციმციმდა. რა ვქნა, შევიდე?.. პატარაობაში, როცა რაღაცაზე ნერვიულობას ვიწყებდი, თვალები ყოველთვის მაკრატლისკენ გამირბოდა. ჯერ თმიდან ვიწყებდი, შემდეგ ათასგვარ საჭირო და არასაჭირო ფურცლებს, რვეულებს ვჭრიდი, ვაქუცმაცებდი და აივნიდან ვყრიდი... მოკლედ, ორწამიანი ყოყმანის შემდეგ სალონში შევედი. ზედმეტად გადაპრანჭული ქალბატონები ჭორაობით და ჟურნალების თვალიერებით ირთობდნენ თავს. სიგარეტის კვამლში იყო ჩაძირული ყველაფერი. ვიღაც, როგორც ჩანს „სტილისტებში" ყველაზე მთავარი, სქელი ქალბატონი მომიახლოვდა ამაყი სახით.

— ჩემთან ხართ ჩაწერილი?

— ჩაწერილი?.. არა... მე უბრალოდ თმის შემოკლება მინდოდა.

ქალმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თქვა:

— გარიკ, შენთან არიან.

ორ წამში გარიკა უკვე მესაუბრებოდა. მკვირცხლი, ცოცხალი პრაქტიკანტი, სასიამოვნო მოსაუბრეც გამოდგა. ბოლოს მკითხა.

— დარწმუნებული ხართ, შეჭრა რომ გინდათ?

— კი, რა თქმა უნდა, — ვუპასუხე გაკვირვებულმა.

— რამდენი მოვაკლო, ამდენი? — შუა და საჩვენებელი თითი დაადო ჩემს თმას.

— არა, უფრო მეტი... კიდევ უფრო მაღლა... კიდევ...

უცებ ჩემი მზერა სარკის თავზე მიმაგრებული ოდრი ჰეპბერნის ფოტოსკენ გაიქცა. გარიკამაც შეამჩნია ეს... ორივეს გაგვეღიმა...

— ლამაზი ქალი იყო, არა?

— კი, ძალიან, ძალიან ლამაზი, — დავუდასტურე მეც.

მალე გამოვედი სალონიდან და „შემკვეთის" სანახავად ბარისკენ გავემართე. იქვე ახლომახლო სრულიად განსხვავებული ორი

ადამიანი დასეირნობდა. გოგონა — ყურსასმენებით, მუსიკის რიტმს აყოლილი, ფეხებს ვერ იმორჩილებდა და მამაკაცი — გრძელი გაღეღილი პალტოთი. მამაკაცს პალტოს შიგნით კუბოკრული ჰალსტუხით დამშვენებული ჭრელი პერანგი მოუჩანდა, თავზე ქუდი ეხურა, ცხვირზე სათვალე დაკვესებული და მხრებზე კაშნე მოგდებული, ნერვული ნაბიჯებით ბოლთას სცემდა... მის უგემოვნო, შეუხამებელ ჩაცმულობას გვირგვინივით ამშვენებდა სახელი — ჯიმშერი... ერთი წამით დავფიქრდი კიდეც, გზა ხომ არ გამეგრძელებინა სხვა მხარეს, მაგრამ უკან დახევა გვიანი იყო, — მამაკაცმა გამილიმა და ახლოს მოვიდა.

— თქვენ....

— დიახ, დიახ... თქვენ ალბათ ბატონი ჯიმშერი ბრძანდებით.

— თქვენთვის ჯიმი, — გაიკრიჭა და ოქროს კბილი გამოუჩნდა ტუჩის კუთხიდან.

— შევიდეთ შიგნით?

— სიამოვნებით, — თქვა მან, რევერანსისმაგვარი რაღაც მოიმოქმედა და წინ გამიშვა.

მეორე სართულზე დავსხედით. ჩვენს გარ-

და არავინ იყო.

— რას ინებებთ? — მკითხა ჯიმიმ.

— სიამოვნებით დავლევდი ატმის წვენს.

— ასეთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონისთვის წვენი რა საკადრისია? — თქვა და ბარმენთან ჩავიდა.

ახლა უკვე შორიდან შევათვალიერე „ჩემთვის ჯიმი" და დასკვნების გამოტანას შევუდექი: ვინ არის ის? ადამიანი, რომელსაც, როგორც ჩანს, ბევრი, ძალიან ბევრი ფული აქვს. სამოსსაც და აქსესუარებსაც ცნობილი ბრენდისას ატარებს, მაგრამ გემოვნება?... „მდიდარი პროვინციელი" შევარქვი ბოლოს. არა, პროვინციელებს არაფერს ვერჩი, პირიქით, მსიამოვნებს მათი უბრალოება და ბუნებრივი სიკეთე, მაგრამ „ჩემთვის ჯიმი" აშკარად პროვინციალიზმის „მსხვერპლი" გამოდგა... „დაკვირვებები" შემოსასვლელი კარის ჭრიალმა დაარღვია. ზურგით ვიჯექი კარისკენ, მაგრამ ერთი წამით შემოტრიალებულმა, მოვასწარი თვალი მომეკრა ბარის კართან მოცეკვავე, ყურსასმენებიანი გოგონასთვის. როგორც ჩანს, მარტო არ იყო, მაგრამ ის სხვა ველარ დავინახე. „ჩემთვის ჯიმი" მაგიდას

უახლოვდებოდა.

ოფიციანტმა ჩვენს მაგიდაზე საფირმო კერძების კორიანტელი დააყენა. ბოთლი შამპანურიც მოგვართვა. ატმის წვენის გარდა პირი არაფრისთვის დამიკარებია. ერთი სული მქონდა, დროზე გავცლოდი აქაურობას. ნაცნობმა ბარმენმაც ბატონი ჯიმშერი ეჭვით აათვალირ-ჩაათვალიერა და დამცინავი ღიმილით შემომხედა.

— საქმეზე გადავიდეთ, — ვუთხარი, ჩანთიდან დიქტოფონი ამოვიღე და ჩავრთე.

ჯიმიმ ღრმად ამოისუნთქა და...

— მე გადავარჩენ სამყაროს...

— ბატონო? — დავქაჩე თვალები.

— მე და ჩემი ძმა სამყაროს გადასარჩენად მოვევლინეთ ქვეყნიერებას...

სიცილი ძლივს შევიკავე.

— მაინც როგორ აპირებთ, ბატონო ჯიმი, ამის გაკეთებას?..

— მე, ძმასთან ერთად, შევცვლი ასტეროიდის მოძრაობის ტრაექტორიას...

ჰოო, მეგონა რაღაც სიყვარულის ისტორიას მოვისმენდი, მაგრამ... „ჩემთვის ჯიმის“, ძმასთან ერთად, როგორც ჩანს, სამყაროს

„გადარჩენა“ ჰქონდა მიზნად დასახული... რა უნდა მექნა? უინტერესოდ ვუსმენდი ბანალურ, ჰოლივუდურ სიუჟეტს...

— ზეგ მივფრინავ ვაშინგტონში. ორ კვირაში ყველაფერი დამთავრებული იქნება. კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი, იმედი მაქვს, ამ ფაქტებზე დაყრდნობით და ლიტერატურულად შელამაზებულ წიგნს მივიღებ თქვენგან.

პათეტიკური ტონით წარმოთქმულმა ბოლო წინადადებამ რეალობაში დამაბრუნა. შევხედე „ჩემთვის ჯიმის“, რომელმაც სერიოზული სახე მიიღო და...

— იქნებ რაღაც მონახაზი ექსპრომტად შექმნათ?..

— ვეცდები — გავიღიმე დაბნეულად, სიგარეტის კვამლით დამძიმებული ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, შემდეგ ამოვისუნთქე და რაღაც მსგავსი ვთქვი: „ძმებმა ვაშინგტონში დიდი ხნის წინ გაიდგეს ფესვები და დარჩნენ კიდეც იქ. საკუთარი ბიზნესით იყვნენ დაკავებულები და საქმეებიც კარგად მისდიოდათ. იმდენად კარგად, რომ გულზე ხელების დაკრეფა და უზრუნველი ცხოვრება მობეზრდათ და ყველაფერზე ერთად ფიქრმა თუ საკუთა-

რი თავის დანიშნულების ძიებამ, ისინი მრავალსართულიანი სახლის სახურავზე აიყვანა. ძმები მოყვარული ასტრონომები გახდნენ და ყოველ ღამით ტელესკოპით ათვალიერებდნენ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. ერთ ასეთ ღამესაც ძმებმა დედამიწისკენ მომართული კოსმოსური ხედვისთვის ძალიან პატარა მოკაშკაშე „ქვა“ შენიშნეს (რომლის დიამეტრი მხოლოდ 10 კილომეტრს აღწევდა), თუმცა „ნამცეცი“, როგორც აღმოჩნდა, ატომურ ბომბზე საშიში იყო. მოყვარულები ტელესკოპს თავს ანებებენ, ერთ-ერთი მათგანი ხელში ტელეფონს იღებს და უახლოეს ობსერვატორიას უკავშირდება. ობსერვატორიის თანამშრომლებს გაკვირვება არ ეტყობათ. სპეციალისტები ასტეროიდის მოძრაობის ტრაექტორიას ამოწმებენ, რაღაცას თვლიან და დაუყოვნებლივ უკავშირდებიან ამერიკის პრეზიდენტს... მისი განადგურება დაგვიანებულია... ერთი თვის შემდეგ კოსმოსური „ლილიპუტი“ დედამიწას დაეჯახება და ამას ხელს ვერავინ შეუშლის... თუმცა...“

— შესანიშნავია! — აღფრთოვანდა ბატონი ჯიმი. — ესე იგი, სამ კვირაში...

— დიახ, დიახ, აუცილებლად — აღარ დავასრულებინე „შემკვეთს“ სიტყვა, დიქტოფონი გამოვრთე და წამოვდექი...

ჩვენი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ის რაღაცის ასაღებად დაიხარა. მისი ხილვით გამოწვეულმა სიხარულმა და შექმნილმა უხერხულობამ ერთდროულად ცის სიმაღლემდე ფრენა და წყლის ფსკერში ჩამალვა მომანდომა. მაგრამ... რაღაცას ვამჩნევ, გამწყრალია მზერა და მძიმე. მიზეზი?.. რატომ?.. თითქოს დავპატარავდი და პარალიზებული გავხდი. ისეთი პატარა, რომ ბატონი ჯიმის პალტოს ჯიბეში ვიგრძენი თავი. ნუთუ ეს სასაცილო კაცია მიზეზი?.. რატომ შევხვდი დღეს მას და მაინცდამაინც აქ, ამ გარემოცვაში? მე ვუყურებდი მის ბრძოლას, ეჭვს, ორჭოფობას... თვალები დავხუჭე. ბარის კარი გაჭრიალდა. ჭროღათვალება გაქრა, მაგრამ ბარში ჯადოსნური აურა დატოვა. „შემკვეთს“ დავემშვიდობე. ჭროღათვალებას მაგიდას გვერდით ჩავუარე და... ეს ხომ ჩემი თმაა, ჩემი კულული. შეუძლებელია. საიდან? — გავოცდი. შემდეგ ავიღე „ჩემი სიმდიდრე“ და იქაურობას გავშორდი.

ჭროლათვალება

კვირა დღეა. ბარში ვარ „დაბარებული“. IX-X კლასელები სკოლის გაზეთს უშვებენ თურმე და მასწავლებლებიდან ინტერვიუ პირველს მე მთხოვეს. მოკლედ, გაჭიმულ ოთხზე, ორზე გაჭიმული უნდა შევხვდე ჩემს მოსწავლეს, ერთ პრანჭია მაიკოს...

ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტას ვღელავ. საკლასო ოთახში არ მოინდომა გოგონამ ჩემი ჩაწერა. ასეთი რა კითხვები უნდა დამისვას? ოთხამდე ცოტა დრო მაქვს. რა ვქნა?.. გავისეირნებ ქუჩაში...

სილამაზის სალონს ჩავუარე და გავშეშდი... მხრებზე პირსახოცგადაფარებული ცეცხლისფერთმიანი იღიმებოდა სარკეში. პარიკმახერმა მაკრატელი აამუშავა... არა, არა, ოღონდ ეგ არა, — ვიყვირე ჩემდაუნებურად და კარს მოვეფარე დამნაშავე ბავშვივით... როგორ შეიძლება ასე მოექცე საკუთარ სიმდიდრეს... დამახრჩო სიბრაზემ... იქვე მდებარე კაფე-რესტორანში შევედი და ბოთლი ღვინო შევუკვეთე. დავცალე ბოლომდე. ბევ-

რი დრო აღარ მქონდა. მაგრამ ფეხებმა ისევ სალონისკენ წამიყვანა. დამლაგებელი ქალი აქანდაზზე აგროვებდა მის ძვირფას თმას. შევვარდი შიგნით, ავიღე ერთი კულული და უკან გამოვბრუნდი. „ინტერვიუმდე" ხელში მეჭირა ცეცხლისფერი თმის ნაწილი და ნაზად ვეფერებოდი...

— გამარჯობა, მასწ. ეს რა არის? — მკითხა მაიკომ.

ცეცხლისფერი კულული სასწრაფოდ ჩავაცურე ქურთუკის ჯიბეში.

— არაფერი... როგორ ხარ? შევიდეთ შიგნით?

— ჰო... შევიდეთ, — შემომანათა ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალები.

— მასწ, რა დავლიოთ?

— დავლიოთ?... შენ რა, სვამ?..

— კი... ყავას, ჩაის, რძეს და ხანდახან ლუდსაც ვეპარები.

— კარგი... იყოს ლუდი...

ორი ლუდი მოიტანა ოფიციანტმა.

— რამეს ინებებთ კიდევ?

— რა ვიცი... თხილს...

— ახლავე, — თქვა და გაუჩინარდა მომ-

ღიმარი ბიჭი.

— შეგვიძლია დავიწყოთ, პატარა ჟურნალისტო, მე მზად ვარ... მოვწრუპე ლუდი და სიგარეტს მოვუკიდე.

— მეც მოვწევ?

— რაა?

— მოვწევ...

— არა...

— კარგით რა, მასწ, სკოლაში ხომ არ ვართ?

— ესე იგი, გამოდის, რომ გაკვეთილების შემდეგ, კაცმა არ იცის რას აკეთებ?

— რა მოხდა... გართობა არ შეიძლება?

— ეს გართობაა, შენი აზრით?

— ეეე... მგონი დაბერდით მასწ... მე კი მეგონა...

— რა გეგონა?..

— მეგონა თქვენთვის ყველაფრის თქმა შეიძლებოდა.

— მაინც... კიდევ რას მიმალავ, პატარა ქალბატონო?

— შეყვარებული ვარ.

— ჰო, ეგ გეტყობა... სწავლას მოუკელი და აგერ, ლუდს და სიგარეტსაც ეტანები თურ-

მე... ვინ არის? ვიცნობ?

— თანაც, როგორ... — გაუბრწყინდა თვალები.

— მითხარი...

— მართლა ვერ ხვდებით?..

— აჰა... ესე იგი, ვიცნობ... ხომ მეტყვი? ძალიან მაინტერესებს.

— უკვე აღარ ვიცი, ღირს თუ არა, — დახარა თავი.

ვიღაც სასაცილოდ ჩაცმული კაცი ბარს მიუახლოვდა და უამრავი რამ შეუკვეთა. წამით შევათვალიერე და შემდეგ ისევ „კორესპოდენტს" მივუბრუნდი:

— მითხარი... კლასიდანაა ვინმე? თემო ხომ არა? ჩემი აზრით, ძალიან მოსწონხარ...

— არა, რა თემო, მასწ... — გოგონა წამოწითლდა, თვალები დახუჭა და თქვა:

— თქვენ... თქვენ ხართ ის, ვინც...

სახტად დავრჩი. ყველაფერს ველოდი და ამას კი არა... სიცილი ძლივს შევიკავე...

— ეჰ, პატარავ, პატარავ... შენ ჭკვიანი, ლამაზი და კეთილი გოგონა ხარ. ის, რაც ახლა შენ სიყვარული გგონია, სულ მალე სასაცილოდ მოგეჩვენება... ადრე თუ გვიან იპოვი იმ...

მაიკოს თვალებზე ცრემლი მოადგა...

— არა, მასწ, არა... — უკვე ზლუქუნებდა პატარა, — ჩემი ხნის ბიჭებს სიყვარული არ შეუძლიათ, სულ სხვა კუთხით ესმით ყველაფერი. მათ არ შეუძლიათ თუნდაც სულ პატარა სიხარულის მონიჭება, არ შეუძლიათ გვაჩუქონ ყვავილების თაიგული, მხოლოდ უხეშობენ. მე თქვენს სიკვდილზეც მიფიქრია ხშირად. გახსოვთ... ერთხელ რომ მითხარით: ვინმეს სიკვდილზე მაშინ იწყებ ფიქრს, როცა ის უკვე გიყვარსო... მე თქვენ მიყვარხართ, მასწ... თქვენ ხართ ჩემი ნამდვილი...

ალბათ, ნახევარ საათზე მეტი ხანი გავიდა მაიკოსთან საუბარში... „ინტერვიუ“ დამთავრდა... შემდეგ, შედარებით დამშვიდებულმა გამილიმა, გამომემშვიდობა და ბარიდან გავიდა...

როცა მესამე კათხა ლუდი ჩავცალე და გარეთ გასვლა გადავწყვიტე, ქურთუკის ჯიბიდან ცეცლისფერი კულული ამომივარდა. დავიხარე მის ასაღებად, შევეხე აბრეშუმისმაგვარს, ჯერ კიდევ ცოცხალს, თითებით და... მზერამ ადგილზე გამყინა... მას უცნაუ-

რი ცეცხლით უბრწყინავდა თვალები. უხერხულად გაშეშებული ვიდექი რამდენიმე წამს. მერე, არ ვიცი, რა დამემართა — სავსე ვიყავი უიმედო სურვილით, ამბოხი მომეწყო ამ სილამაზის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს, (ასე მომეჩვენა), უსამართლოდ მამცირებდა. ცეცხლისფერთმიანი ჩემს უხეშ მზერას კანით გრძნობდა. წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია. თითქოს სიამოვნებას ანიჭებდა ჩემთვის ტკივილის მოყენება. დავმარცხდი და მივხვდი, რომ მისით აღფრთოვანებულს და მასზე ნაწყენს, დღეს რაღაც განსაკუთრებული აუცილებლად მელოდა...

ცეცხლისფერი კულული ხელუხებლად დავტოვე ბარში და გარეთ გავედი...

საღამოს თემოს დავურეკე. მამამისი ჩემი უფროსი მეგობარია, ნამდვილი თბილისელი. ვთხოვე, შენი გიტარით მესტუმრე-მეთქი სახლში. მამის მსგავსად ისიც უკრავს და მღერის ძალიან კარგად. ვიცოდი მაიკოს მიმართ მისი გრძნობებიც... მე დიმა გამომყვა, თემოს თავისი ოთხი მეგობარი. ღამით მაიკოს კორპუსთან მივედით, ფიალებში ცეცხლი დავანთეთ...

ხუთსართულიანი სახლის ყველა ფანჯარა განათდა. ფანჯარაში გამოჩენილმა მეზობლებმა ჩვენი წყალობით ერთმანეთს ისევ ძველებურად აჩუქეს სითბო და სიყვარული... ისევ გაცოცხლდა ძველი თბილისი...

„ქალბატონი ვასასი": ვის უმღერით ყმაწვილებო?..

— სიყვარულს, ქალბატონო, სიყვარულს და ისევ სიყვარულს... — მეც რაღაცნაირად „ძველი" ხმა აღმომხდა სიმღერის, ღვინისა და ქალის სიყვარულში...

XII

ცეცხლისფერთმიანი

ძილის დროა! სასაცილოა არა, ძილის დრო! ვერ ვმეგობრობთ ჩვენ რატომღაც. თუმცა... ვიხდი. ერთი წამით თავს შერცხვენილ ცხოველად ვგრძნობ — მიმალულ, ადამიანისგან განსხვავებულ და უცხოდ საკუთარი თავისთვის, როგორც ნებისმიერი შიშველი. საწოლი საფლავივით ცივია და შავი. ვრთავ ბრას. სიბნელე მშთანთქავს, ვერ ეტევა ტვინში და ღლის გულს. მე ისეთივე ბნელი ვარ, როგორც სიბნელე (ვეუბნები ჩემს თავს) და ფრაზა ყელში მეჩხირება. ამოვისუნთქე და გავაგრძელე — მე ხორცისა და სისხლისაგან შევდგები, მაგრამ შავი კანით, შავი ძვლებით, შავი ღრძილებით და შავი სისხლით, რომელიც წყვდიადთან შერწყმულ უხილავ სხეულში მიედინება. ისეთი ბნელი ვარ, წარმოდგენაც კი მზარავს. ნება-ნება ვისუნთქავ ბნელ, თით-

ქოს იატაკქვეშა ჰაერს. სახლი აუჩქარებლად მიცურავს ღამეში. მე ვერწყმი არაფერს, როგორც აქამდე სიბნელეს. დროის დაუღლელი მექანიკა ალბათ აგრძელებს მუშაობას. მაგრამ მე რა? იქნებ დრომაც მიმატოვა? წუთს — ხანგრძლივს თუ მოკლეს — კეთრი შეეყარა, წინააღმდეგობას ვერ უწევს სიბნელეს და ბოლოს ემორჩილება. ავად ყოფნა უსასრულობამდე გაიწელა... ნელ-ნელა ვკარგავ სახელს, წარსულს; ნალოლიავებ, წარმოსახულ მომავალს. მე — ვიღაც სხვა ვარ. თავიდან მხედველობა ქრება, შემდეგ სმენა, მტოვებს შეგრძნებაც. უკვე თითქოს აღარ ვარ. ჩემთან ერთად ღამეში ჩაკარგული რომელიღაც ყვავილიც თავს დახრის, მოიბუზება და გაქრება. ყველა და ყველაფერი დაემორჩილება სიბნელეს. მათ შორის მეც... თუმცა სიზმარში მაინც ვახერხებ, ჯერ საკუთარ თავსა და შემდეგ ყველა დანარჩენზე გაბრაზებას. დავცინი „ცრუ შესაძლებლობებს". სიბნელესთან შერწყმულ ჩემს გონებას მარტო ყოფნა ბეზრდება და თავში ძალაშეძენილ მორზეს უშვებს: *მოგწონს ხომ დოკუმენტური ფილმი, რომელიც წამის მეათედებში გიჩვენებს* და

გხიბლავს ყვავილის გვირგვინის ფურცლების გახსნა-დახურვით. შენ ეს სასწაული გგონია. შეიძლება არის კიდეც, ოღონდ ადამიანების მიერ შექმნილი სასწაული. შენნაირები კი, სამწუხაროდ, ყოველი დღის გათენებას, დაღამებას, მზის სხივს, წვიმას, თოვლს, ცვარიან ბალახს სასწაულს ვერ უკავშირებენ და მხოლოდ ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან...

...გათენდა. ძილში თუ ფიქრში წინააღმდეგობის გაწევისგან ქუთუთოები დამძიმებული მაქვს. მაგრამ ვიცი, ახლა რაც მიშველის. აღარ მინდა მარტო ყოფნა. მინდა ადამიანები ვნახო. მეგობრებს მივეფერო, რომლებიც როგორც ყოველთვის, ახალი დღის მოსვლით დღესაც გაიხარებენ, ამ დილასაც მიესიყვარულებიან შვილებს, საუზმეს გაუმზადებენ მეუღლეებს, სურსათის მაღაზიაში სანოვაგეში გაცვლიან ფულს და თუნდაც იმითაც იქნებიან ბედნიერები, რომ საქმეც ექნებათ საკეთებელი და კიდევ... მომავლის უკეთ მოწყობისთვისაც მეგზურად გაიხდიან ფიქრს...

ცხოვრების წესის შეცვლაა საჭირო — გამიელვა თავში და დაუყოვნებლივ მივმართე

გონებას დასახმარებლად.

და, აი...

როგორც იქნა, მოვიცალეთ ყველამ ერთმანეთისთვის (მეგობრებს ვგულისხმობ), დღეს რუსთაველის თეატრში ხვალინდელი დღის ბილეთებს დავჯავშნით, შემდეგ ალბათ ჩემთან ამოვალთ, საათები გავა ქაქანში. ყოველდღიურ თუ კიდევ სხვაგვარ პრობლემებს შევეხებით, დავიწყებთ „ფილოსოფიურ მრუშობას", გაილევა მთელი საღამო და შემდეგ ყველანი, ჩემს გარდა, დაუბრუნდებიან შვილებს, მეუღლეებს, ყოველდღიურ რუტინას და ასე გაგრძელდება სიცოცხლის ბოლომდე... მაგრამ დღევანდელი დღე ხომ ლამაზი იქნება, ჩვენი იქნება და ალბათ, ხვალინდელი კიდევ უკეთესი. ასე რომ, ხასიათს არა უშავს, განწყობაც ძველებურია, ხალისიანი. ნიკა ექიმთან ჩამოთვლილი 16 სიტყვაც სხვა ელფერს შეიძენს: შევებრძოლები ყველა ტკივილს. არ დავხრი თავს. მარტოდ დარჩენილი, არასოდეს ვიქნები მარტო და ვიტყვი:

გული — კარგია, რომ ფეთქავს

სივრცე — ფრენას მასწავლის

მთვარე — რომანტიკულ ვახშამს გამი-

ნათებს

თვალები — სიყვარულს ამიხსნის

მზე — გამათბობს

წვიმა — გამაგრილებს

ქარიშხალი — წამით რეალობას მომწყვეტს

ზღვა — აღსარებას ჩაიბარებს

ციხე — ფიქრს მომანიჭებს

თავისუფლება — ნებას განმიმტკიცებს

სამოთხე — ზღაპარში ჩამძირავს

ვარდი — სურნელს დააფრქვევს

ნამი — დილაობით გამამხნევებს

თხუნელა — მიწაში ჩამიყვანს

არწივი — ცაში ამაფრენს

მთები — დამიცავენ და არსად წავლენ!..

სიზმარი გადმოვიდა ცხადში თუ ცხადი სიზმარში, ვეღარ ვხვდები...

ალბათ, უფრო ცხადია, — ვინუგეშებ თავს ოდნავ შეშინებული, — რადგან...

— ამ ბიჭს იცნობ? რატომ გიყურებს ასე? — შემეკითხება თუ უკვე მეკითხება თეატრის სალაროსთან ჩემი მეგობარი.

— ჰო, ვიცნობ, — ვუპასუხებ თუ უკვე ვპა-

სუხობ მე და ღიმილით შევხედავ შორიახლოს, ბიჭების წრეში მყოფ ჭროღათვალებას.

ის არ მოვა...

მაგრამ ვიცი...

ხვალ აუცილებლად ვნახავ...

ისევ გამიღიმებს...

ჭროღათვალება

კიდევ ერთი შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან მასთან გამოლაპარაკების. ის თეატრის სალაროსთან მეგობრების წრეში იდგა და გაცხარებით კამათობდა რაღაცაზე. მე — იქვე ჩემს მეგობრებთან ერთად. მივიდე... არ მივიდე... სანამ გადავწყვეტდი, როგორ მოვქცეულიყავი, გატრიალდა და ქუჩას გაუყვა. გამოკიდება ვერ გავბედე... ან რა უნდა მეთქვა?... სალაროსთან მივედი და მოლარეს შევეკითხე:

— იმ გოგონამ, ცეცხლისფერთმიანმა, ხვალინდელი დღის ბილეთები იყიდა?

— დიახ, — მომიგო გაკვირვებულმა.

— რიგი?.. რომელი რიგი აირჩია?..

ქალმა რაღაც დავთარს ჩახედა.

— მგონი, მეცამეტე... დიახ, ნამდვილად მეცამეტე... — თქვა უკვე დარწმუნებულმა.

ხვალ, ხვალ აუცილებლად გამოველაპარაკები, — გავიფიქრე და ისევ მეგობრებს დავუბრუნდი... აფორიაქებული ვიყავი და მალევე მივატოვე დღევანდელი სმა-ჭამის დამგეგმავი ბიჭები. სახლისკენ გავემართე. შორიდანვე შევნიშნე ჩემი უბნელი ლევანა. ერთი თვეა არ მინახავს, არ იყო თბილისში. ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული. 2-3 წლის იქნებოდა, როცა მამამისმა ოჯახი მიატოვა და სხვა ქალთან წავიდა. შემდეგ გავიგეთ, ციხეშიც მოხვედრილა ქურდობის გამო. ლევანას დედას უბანში ქარაფშუტა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. როგორი უნდა გაზრდილიყო ბიჭი? მეზობლების ყურადღებამ ვერ გამოიღო შედეგი — როგორც ჩანს, გენებმა იმარჯვეს და ისიც მშობლების მემკვიდრული თვისებების მატარებელი გახდა. და კიდევ, მათგან განსხვავებით ჭკუასუსტობითაც გამოირჩეოდა საწყალი ბიჭი. გაბურძგნული, მთასავით კაცი, მუდამ პატარა ბავშვივით იქცეოდა. შვი-

დი წელი უყვარდა ერთი ქალი და ისედაც სულელი, ათას სისულელეს სჩადიოდა — მისთვის რომ გეკითხათ — სიყვარულისთვის.

— პრივეტ, ბრატ, რაფერ ხარ, თუ იცი? — ახლოს მისული, მისი მშობლიური კუთხის კილოთი მივესალმე.

— ვარ რა... როგორ ვიქნები დიანას ხელში. იმედია, ჩემზე ცუდადაა, — მიპასუხა დაღვრემილი სახით.

— იჩხუბეთ?

— დავშორდით...

— მერამდენედ?..

— ვსო, მორჩა ყველაფერი...

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ, ხვალ შერიგდებით.

— ეგ ხვალ აღარასოდეს იქნება... საჩუქარი გავუკეთე.

— რა საჩუქარი?

— აი... — მითხრა გაბუშტული ტუჩებით და შეხვეული ხელი მაჩვენა.

— ვერ გავიგე...

— რა ვერ გაიგე?.. ნეკა თითი მოვიჭერი და ამანათით გავუგზავნე სახლში. როგორც მე გამამწარა, ისე მინდა გამწარდეს ისიც, —

მიიბრაგუნა გულზე მარჯვენა ხელი.

— გაგიუდი? რეებს აკეთებ ამხელა კაცი? — ვიყვირე გაოგნებულმა. — არაფერი, არაფერი გეშველება შენ, — ჩავილაპარაკე უფრო ჩემთვის. — წამო, ჩემთან ავიდეთ, — შევთავაზე ბოლოს.

— არა, დედაჩემს უნდა ავაკითხო, ფული მჭირდება.

— ჰო, კაი, წადი, წადი, — ვუთხარი და სახლისკენ გავწიე.

ჩემს ოთახში შევედი. ფანჯარა გამოვაღე. არაფერი ეშველა განწყობას. თავი მეგონა ციხეში, სადაც ძველი აჩრდილების გარდა არავინ იყო. სამზარეულოდან ყველი, პური და არაყი გამოვიტანე. „სამკურნალო სითხე“ დიდ ჭიქაში ჩავისხი და გადავკარი. ეჰ, ლევანას მამა რომ გვერდით ჰყოლოდა... იქნებ?.. უსასოობა აუტანლად გამოიკვეთა. ჩამავალი მზის სხივებმა სისხლისფრად ამოტვიფრა სარკეში ჩემი ორეულის მონუმენტური სხეული, რომელიც თითქოს მხოლოდ იმისთვის სუნთქავდა, რომ უბრალოდ საჭირო იყო, რომ ესუნთქა. სარკეში ისევ ჩავიხედე. მისი სილრმიდან ახლა უკვე მამაჩემის სურათი მიმზერ-

და მკაცრად. მოგონებებში ჩავიძირე... მე ვაღმერთებდი მას და მეზიზღებოდა. მეზიზღებოდა მისი ქედმაღალი მზერა, რომელიც გულის ყველა კუნჭულში აღწევდა, ყველა სენს საიდუმლო საფარველს აცლიდა, ყველგან მიძვრებოდა. დამცირების შიშით ვერასდროს ვბედავდი მასთან მისვლას, რომ ჩავხუტებოდი და ორივეს ცრემლებით გაგვეთავისუფლებინა დამძიმებული გული. მერე?.. ვჭიდებდი სულელ ლევანას ხელს, შევიდოდით რომელიმე მაღაზიაში და რამე წვრილმანს ვიპარავდით. ამ ქცევით თითქოს თავს პატარა, საკუთარ საიდუმლოს ვუქმნიდი, რომელიც დაფარული იყო მამაჩემის გამომცდელი მზერისგან. მაგრამ ხომ მიყვარდა?!. რატომ ვერ მოვახერხე ერთხელაც კი ამის თქმა მისთვის?!. შემდეგ?.. უკვე 25 წლის ასაკში გიმნაზიაში ორმოც ბავშვს ვასწავლიდი ფიქრს, მაგრამ თითქოს დათრგუნული და მარტოდ მყოფი, ვერ ვხვდებოდი, ღირსეული რა უნდა მესწავლებინა მათთვის. რა უნდა გამეკეთებინა ისეთი, რომ ცხოვრების გზაზე გამოვდგომოდი ჯერ კიდევ პატარა, ჩამოუყალიბებელ ადამიანებს... ბოთლი გამოვცალე.

არაყმა არ მიშველა. საჭმელს ვერ გავეკარე. უკანასკნელმა ფიქრებმა, რომელსაც ჩემმა გონებამ „მელანქოლიური სიამაყე“ შეარქვა, ბოლომდე მომიშხამა საღამო. საწოლში ჩავწექი. ძილი არ მოდიოდა. ტვინი ისევ აგზნებული მქონდა... შემდეგ?.. შემდეგ კუნაპეტი ღამე საწოლს კუბოს ფორმას აძლევს. ჩემი სხეული კუბოში იძერწება. მერე ვფიქრობ იმ მინის ნაჭერზე — განსასვენებელზე, რომელიც ადრე თუ გვიან უტილიზებას დაემორჩილება და იმედი მაქვს, ნოყიერ ნიადაგად გადაიქცევა. ალბათ, მინდვრის ყვავილები გაიხარებენ ჩემს ყოფილ სხეულზე... ან თუნდაც, ვფიქრობ კრემაციაზე და უკვე ვხედავ, როგორ გაატანენ ანკარა მდინარეს ჩემგან წარმოქმნილ ფერფლს... ეს მხოლოდ ფიქრია, თუმცა სულ მალე ქუთუთოები მძიმდება, სახსრები ეშვება და მე მართლა აღარ ვარ ამ ქვეყნის...

დილით დაღლილს გამეღვიძა... არ მსიამოვნებს სარკეში გაუპარსავი და გაბურძგნული ორეულის ხილვა. თითქოს ერთ დღეში მოვასწარი დაბერება... სწრაფად ვდგები, შხაპს ვიღებ და საპარიკმახეროში გავრბივარ. ოსტატი მალამაზებს, მძაფრსურნელიან ოდე-

კოლონს მაპკურებს და პროფესიონალურად მიტყაპუნებს ხელებს ლოყებზე... სახეზე სიგრილის სასიამოვნო შეგრძნება მსიამოვნებს და ახალგაზრდობა ბრუნდება. მხრებიდან პირსახოცს მხსნიან. პროცედურა დასრულდა. რაღაც იდუმალმა ბედნიერმა ჟრჟოლამ აიტანა მთელი ჩემი სხეული. სარკეში უკვე გაახალგაზრდავებული ორეული მიღიმის. ქუჩას მოულოდნელად ღრუბლებისგან გაქცეული მზე ათბობს სასიამოვნოდ, სისხლიც თბება და ძარღვებში უფრო სწრაფად იწყებს დინებას. ჯერ კიდევ ვაგემოვნებ ახლახან თავს გადამხდარ კმაყოფილებას. რაღაცნაირად მოთენთილი და ხალისიანი ვარ. მინდა ვინმე შემხვდეს, დამინახოს, გამომელაპარაკოს. მინდა, რომ მიცნონ... ვითვლი საათებს... წუთებს... წამებს...

ვიცი, რომ მის დანახვაზე მაჯისცემა გამიათმაგდება...

ისიც ვიცი, რომ დღეს მხოლოდ გრძნობები იბატონებენ ჩემზე...

...და ისიც, რომ დღეს ყოველგარი ორჭოფობის გარეშე მივცემ თავს ცეცხლის სიახლოვით დატკბობის უფლებას...

დღეს... აუცილებლად დღეს და არა ხვალ და არა ზეგ...

ვიცი ეს და ქუჩაში რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინით აღვსილი, ღიმილს ვჩუქნი გამვლელებს...

XIII

ცეცხლისფერთმიანი

სცენაზე სალოსი მოხუცები დგანან. გული აქვთ დაღლილი. მგზნებარე ხმა აღარ არის მგზნებარე. სხეულიც ნელ-ნელა ხდება გამჭვირვალე... მაგრამ ისინი მაინც დგანან, თამაშობენ, მღერიან, ცეკვავენ... რაც მთავარია, თავის სათქმელს ამბობენ და გვიშლიან საღერღელს, ფიქრის საღერღელს... შემდეგ დასცინიან საკუთარ აწმყოს და მისტირიან ახალგაზრდობას, ვერშემდგარ სიყვარულს, უამრავ შეცდომას — რომლებსაც ალბათ სწორედ იმ რიგითობით გაიმეორებდნენ, მათთვის მეორედ სიცოცხლის უფლება რომ მიეცათ... შევცქერი მათ და თავში კოდალასავით მიკაკუნებს ჯერ არდამდგარი სიბერე... არ მინდა... არ მინდა... არ მინდა სიბერე...

სპექტაკლი დასრულდა. ხალხი ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით დგებოდა ფეხზე,

ღიმილიანი თუ სერიოზული გამომეტყველებით აპლოდისმენტებით აჯილდოებდა სპექტაკლის მონაწილეებს და ამ ოვაციას თითქოს არ ჰქონდა დასასრული. მოულოდნელად საოცარი რამ მოხდა. შუქი კვლავ ჩაქრა და რამპის ჩახჩახა სინათლემ უკანა რიგში მჯდომი ჭროღათვალება გაანათა. მის ყველა მოძრაობაში უხერხულობა და დაბნეულობა გამოსჭვიოდა. თუმცა, ერთიც და მეორეც მას მომხიბვლელობას მატებდა. უცებ, მეორე ოვალურმა ნათებამ მე შემარჩია და თვალები მომჭრა. უხერხულობამ და დაბნეულობამ მეც ძირს დამახრევინა თავი. ოვაციები მიწყნარდა. თეატრი ხალხისგან ნელ-ნელა დაიცალა. მეც შევუერთდი მათ. ჭროღათვალება შორიახლოს იდგა. მომეჩვენა, რომ ორივეს ერთი სურვილი გვამოძრავებდა...

ის გრძნობდა თავს მეფედ... მე დედოფლად...

მას სურდა, რომ გზა ჩემამდე მოსასვლელი უსასრულოდ გაგრძელებულიყო...

მეც მსურდა, რომ გზა მასთან მისასვლელი ყოფილიყო დაუსრულებელი...

სიცრცემ ორივეს ერთდროულად გაგვიღო

კარი და... წამებში დადგა გზის დასაწყისის დასასრული...

შევხედე და ღიმილით ვკითხე:

— ეს რასთან დაკავშირებით?

— თორმეტი.

— რა თორმეტი?

— შეხვედრა... თორმეტი.

— გეშლება, ცამეტი.

— მეცამეტე რომელია?

— მეცამეტე არა, პირველი...

— ჰო, კარგი, პირველი...

— დიდი ხნის წინ იყო.

— მაინც სად და როდის?

— 15-16 წლის წინ, მაღლივში.

— სად?

— მაღლივში. შენ რატომღაც ფილოლოგები იკითხე...

— არ არსებობს. აი, თურმე საიდან მეცნობოდი... გამახსენდა... ამეკიდე და ერთად გასეირნება მთხოვე... ტელეფონი რატომ არ გამომართვი?

— შენ რატომ არ მკითხე?

— არ ვიცი!

— ჰოდა, მეც არ ვიცი. შეხვედრებს რატომ

ითვლიდი?

— ისე, ავტომატურად.

— დავიჯერო?

— შენი გადასაწყვეტია.

— რას აკეთებ?

— უცნობ-ნაცნობ გოგონას ველაპარაკები.

— მაგას არ გეკითხები. საერთოდ რას აკეთებ?

— ვწერ.

— რას?

— ყველაფერს.

— რაზე?

— ყველაფერზე.

— მეც ვწერ.

— ?!

— გინდა გავცვალოთ?

— სახლში ამიყვან?

— რა?

— სახლში ამიყვან-მეთქი?

— უცხოს შიგნით არ ვუშვებ.

— ჰმ! როგორც გენებოს. მაშინ ხვალ დილით, შენს ქუჩაზე კუთხის კაფეში მოდი. იქ დაგხვდები.

— დილა შენთვის როდის იწყება?
— სულ ერთი არაა? მაინც შევხვდებით.
— კარგი, მოვალ.

დილა გათენდა. კაფეს უკვე ვუახლოვდები. შორიახლოს შევჩერდი. ჭროღათვალება არ ჩანს. 10-15 წუთი საუკუნედ მეჩვენება. რატომ ვნერვიულობ? წარმოვიდგინე, ალბათ, ასე განვითარდებოდა ჩვენი დიალოგი:
— უკვე მოხვედი? არ მოგწონს ლოდინი? — მეტყვის ის.
— არა, — ვუპასუხებ მე.
— არც მე. თუ დაგამშვიდებს, გეტყვი, რომ აქ შენზე ნახევარი საათით ადრე მოვედი.
— მართლა? და დამინახე?
— ჰო.
— მეტს არაფერს მეტყვი?
— მსიამოვნებს, როცა მელოდებიან.
— ყოველთვის ასეთი ხარ?
— თითქმის...
— აბა, მაჩვენე შენი შედევრი...

ლოდინი დიდხანს გაგრძელდა... კაფეში შევედი, წვენი ავიღე და კუთხის მაგიდას მი-

ვუჯექი. წუთი წუთს, შემდეგ საათი საათს მისდევდა. მართალი რომ ვთქვა, დავიღალე, სიბრაზეც შემომეპარა და ცოტათი დანაღვლიანებული გამოვედი გარეთ. პარალელურ ქუჩებზე კიდევ დიდხანს ვიბორიალე მისი ნახვის იმედით. შებინდებულზე ავუყევი სახლის აღმართს. ქუჩა ზედმეტად გამოცოცხლებული მეჩვენა. პატარა ბიჭები სახეალეწილები დარბოდნენ წინ და უკან. აივნებზეც და ფანჯრებშიც გადმოყუდებული ცნობისმოყვარე ქალები რაღაცაზე საუბრობდნენ გაცხარებით. ნეტავ რა მოხდა? მინდოდა ვინმესთვის მეკითხა, მაგრამ აქ ახალი გადმოსული ვარ და ჯერ არავის ვიცნობ ჭროღათვალებას გარდა.

— ეჰ, საცოდავი, რა ბედი ჰქონია, — მომესმა უკვე ჩემს სადარბაზოსთან მისულს უცნობი ბერიკაცის ხმა.

— ვისზე საუბრობთ, რა მოხდა? — ვიკითხე აფორიაქებულმა.

— აგერ, ზედა ქუჩაზე ცხოვრობდა ერთი კარგი ბიჭი. თავი მოუკლავს იმ საცოდავს...

მეგონა, მიწა გასკდა და თან ჩამიტანა.

ძარღვებში სისხლი გამეყინა. თითქოს სულს საყრდენი გამოეცალა და საკუთარ თავში ჩაიკეტა... სახლში ავედი. იატაკზე დავაგდე ჩანთა და ხელნაწერები. ავტომატურად ვმოძრაობდი. მუსიკალურ ცენტრთან მივედი. დავაჭირე მეცამეტე ღილაკს თითი და სავარძელში ულონოდ ჩავეშვი. „Deep blue"-მ გაიჟღერა... მუსიკა მთელ სახლს მოედო. სქელმა კედლებმა თითქოს ექო გამოსცეს და მელოდია მრავალგანზომილებიანი გახდა. ღრმა სილურჯე მოედო გარშემო ნივთებს და ჩემშიც — თავსგასული, აზვირთული, ლურჯი მარტოობა ღრმად ჩაიღვარა. მუსიკა მხოლოდ ჩემთვის ჟღერდა, ჩემი იყო, მე მეკუთვნოდა და ღია ფანჯრებს მიმწყდარი ისევ მე მიბრუნდებოდა.

ცამეტი შეხვედრა...

ცამეტჯერ ნასროლი ტყვია...

ცამეტჯერ დასერილი გული...

მტკივა, ძალიან მტკივა...

ცამეტჯერ ქარიშხლის დახმარებით ცაში აფრენილმა, ცამეტჯერ ვიგრძენი მტკივნეული ვარდნა...

ისევ მტკივა, ძალიან მტკივა...

შემდეგ...
ცამეტჯერ გაიხსნა ფარდა...

კარზე ზარია...

ვიღაც 8-9 წლის ბიჭი ფურცლებით ხელში თვალცრემლიანი დგას. — დღეს უკვე მეშვიდედ მოვდივარ, — ამბობს და თავს ხრის. ნიკაპზე ცრემლების ორი ხაზი ერთმანეთს უერთდება. — ეს თქვენია, — მაწვდის ფურცლებს. პირველს სისხლის კვალი ატყვია. მე მხოლოდ ერთ სიტყვას ვხედავ — „ცეცხლისფერთმიანს"...

— ვინ ხარ?

— მე გიო მქვია... რაღაც მინდა გითხრათ... მე მამა არ მყავს... ის ჩემი მამაც იყო და უფროსი ძმაც... გუშინ შემპირდა, იარაღს გაჩვენებო. დღეს დილით დავადექი სახლში. ტყვიებიც მაჩვენე-მეთქი, ვთხოვე... დავტენე იარაღი... დამიზნება მინდოდა ფანჯრიდან ჩიტისთვის... ერთ წამში მოხდა ყველაფერი... იარაღი ხელიდან გამომგლიჯა, მაგრამ უკვე გვიანი იყო... მე გამოვკარი სასხლეტს ხელი და მას გულში მოხვდა... — რა ქენი ბიჭო ეს, ჩიტმა რა დაგიშავაო, — მითხრა... სასწრაფოში

დავრეკე... თვითონ ელაპარაკა — იარაღი გამივარდა შემთხვევითო. შემდეგ ეს ფურცლები მომაჩეჩა, კალმისტრით ეს სიტყვა მიაწერა... მერე მითხრა, არავის უთხრა იმ გოგონას გარდა, აქ რაც მოხდაო... ის გოგონა, შენი ანუშკა რომ ცხოვრობდა, ახლა იქ ცხოვრობსო... რა ჰქვია-მეთქი, ვკითხე... არ ვიციო... ისეთი გოგოა, ცეცხლს ნაგიკიდებსო, — ასე მითხრა... წადი ახლა შენ, რაც გითხარი ის გააკეთე, უკვე სასწრაფოც მოვა და ყველაფერი კარგად იქნებაო... ვერ გადაარჩინეს...

ვტიროდით ორივე... მე უცნობ ადამიანს. პატარა ბიჭი უფროს ძმას. გიომ მომხვია ხელი და ასე ჩუმად, ხმაამოუღებლად ვიდექით დიდხანს, ძალიან დიდხანს...

შვიდი დღე დავდიოდი მის სხეულთან გამოსამშვიდობებლად. მეშვიდე დღეს კი უბანმა მიწას მიაბარა სიყვარულით და თავისუფლებით გაღვივებული კიდევ ერთი პატარა მარცვალი. ეს ის ადამიანი იყო, ვის სიკვდილზეც სრულიად გაუცნობიერებლად ხშირად მიფიქრია... და ის შემთხვევა, როცა უკვე სხეული ვერასოდეს გაბატონდებოდა სულზე.

ერთი ხელის მოსმით დაიმსხვრა მისი სურვილები და თავისუფლების კარს მიმდგარმა, სამშვიდობოს გასულმა, წყაროს დაწაფებულმა და შემთხვევით გათავისუფლებულმა, მეც მასწავლა საკუთარი სურვილების მსხვრევა, განადგურება, შემდეგ თავგანწირვა და თითქოს ახლიდან დაბადებაც კი. მისი დახმარებით მიუწვდომელი გადასხვაფერდა და ყველაზე ახლოს მყოფად მომევლინა. რატომ ვიტანჯებით ასე? ნუთუ არ შეიძლება ტანჯვის გარეშე ყველა ჩვენგანისთვის სამოთხის კარის გაღება?.. თავსმოხვეული სიკეთე? მაშინ ხომ ვერასდროს შევძლებდით მის გააზრებას ბოლომდე. ამიტომაც ალბათ, იმ მიუწვდომელმა თუ პირიქით — რომელ კარსაც გავუღებთ, ჩვენში იმ კარით შემოსულმა, თვით მასთან ყოფნაშიც კი არ შეგვზღუდა ადამიანები და მოგვცა არჩევანის უფლება — თავისუფალი ნება.

ორმოცი დღის განმავლობაში ვხედავდი ერთსა და იმავე სიზმარს:

ფარდის უკან შეჭვრეტის სურვილი მკლავს...

სპექტაკლი დაიწყო...

ფარდა გაიხსნა და სცენაზე თორმეტი ჩამქრალი და ერთი ანთებული სანთელი გამოჩნდა. ის მეცამეტე თავისთვის ეულად მდგომი, კუთხეში საწყლად იღვენთება. მისი მკრთალი ნათების ფონზე სხვები ძლივს ჩანს. შემდეგ ვილაც უხილავი მეცამეტეს სულს შთაბერავს და ისიც ამოძრავდება... სათითაოდ მოეფერა დანარჩენ თორმეტს, სინათლე გაუნაწილა მათ და მინავლებული შუქიც ნელ-ნელა გაძლიერდა. სცენა გაკაშკაშდა...

ბოლოს... ბოლოს ნათება ალბათ სცენას გასცდება, ქუჩაში გაინავარდებს, მოედება ჩვენს უბანს, შემდეგ მთელ ქალაქს, მთელ სამყაროს და ჩვენ, ადამიანებს — თავისუფლების, სიკეთის და სიყვარულის ნებას უფრო მეტად გაგვიძლიერებს...

ჩარჩოს გარეთ გასულ აღფრთოვანებას ხმამაღალი შეძახილები და მხურვალე აპლოდისმენტები ერთვის...

ფარდა დაიხურა...

სპექტაკლი დამთავრებულია...

ზიგფრიდი

ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, თან...

ინ, კან, ლას, მან, ნარ, ონ, პარ, ჟან, რაე...

სან... სან... სან... ससससस.... ससससससस.... სან.... ससससस... „ს“ სჯობს დანარჩენ ოცდათორმეტს. ეს მე გამოვცემ ამ ხმებს. ჰო, გველი ვარ და ვსისინებ. უხელფეხო, ქვემძრომი, ერთდროულად სიყვარულის და სიძულვილის შხამით ნებაყოფლობით დაგესლილი შეშლილი გველი. საკუთარი ნებით მკვდრადგამოცხადებული და საკუთარივე ნებით ისევ თავიდან შობილი. მამის საფლავის ქვაზე მძინავს. ცივად ერთგულია ეს ქვა ჩემი. შორიახლოს მიწა ჯერ კიდევ ფხვიერია, ხის ჯვრით დამშვენებული. ამ მიწას ახალი პატრონი ჰყავს. აქ გასაყარია სიკვდილ-სიცოცხლის...

მანამდე?

არჩევნებია ქვეყანაში. მე ცოცხალი ვარ, მაგრამ მკვდარი სულები ირჩევენ ხელისუ-

ფლებას. ბიულეტენს ვიღებ და ხელს ვაწერ მითითებულ ადგილას. მერე უცებ გაკვირვებას ვერ ვმალავ. ამომრჩეველთა სიაში მამაჩემის სახელს და გვარს ვხედავ, მის გვერდით — უცხო ხელწერას.

— ეს მამაჩემია, — ვეუბნები ცხვირზე სათვალემორგებულ ქალს.

— დიახ, სულ რაღაც ნახევარი საათის წინ იყო აქ, — თვალებში მიყურებს უტიფარი სახით.

— მართლა?

სსსსსსსსსსსსსს.... სან...სან... სსსსს... ისევ ვსისინებ შიშვლად მყოფი კოიოტებისა და ყორნების თავდასხმის მომლოდინე... ვიცი, მოვლენ და დამგლეჯენ, დამკორტნიან, დალევენ შეშლილის სისხლს... მაგრამ მანამდე — უშიშარი, სევდიანი, თუმცა ამაყი და სიგიჟის სიბრძნით თუ სიბრძნის სიგიჟით გათამამებული — თავად ვაწყობ არჩევნებს: მიეცით ხმა სიკეთეს... სიმაღლეს... სიმდაბლეს... სინაზეს... სიყვარულს... სათნოებას... სიკვდილს... სიცოცხლეს... სიბრძნეს... სიგიჟეს... თუნდაც სიძულვილს... ოღონდ... ნუ გადგებით განზე... გამოიყენეთ არჩევანი... იქონიეთ ნება...

ახლა ვისი ჯერია?... ვისი? ხანუმასი, გენაცვალე. სად არის არაქელოვნა?..

„აქა ვარ, აქ... bonjour, ბატონებო და ქალბატონებო... ჰა, ჰა, ჰა... სიკო, ნიკო, აქ მოდით, აქ“...

„ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს...“

მერე...

„შენც მოგატყუეს და მეც, თავადო ლევან!“

„მოთმინება იქონიეთ ორივემ, მოთმინება...“

„თუ ქორწილია, ქორწილი იყოსსსსს... सससससस

ქალს. გაყინული სხეულიდან გათავისუფლებული სული ქარში მოლივლივე ცეცხლისფერ თმას უახლოვდება. ქალს ყურში ჩურჩული ესმის: მეტად ნულარ იტანჯავ თავს. ნულარ ჩააქრობ საკუთარი ცრემლებით გაღვივებულ ნაკვერჩხალს. გიხაროდეს, რომ სულ მალე წარსული ამიტაცებს და ისევე ჩამიკრავს გულში, როგორც დედა ჩაიხუტებს ქუჩაში დაცემულ, ატირებულ, დაუცველ პატარა ბავშვს...

თუმცა...

გამოჩნდება ვიღაც წერას ატანილი და დაწერს:

ქალს კარი ღია დარჩა. ღამით ოთახში სიოს დახმარებით უდროოდ აყვავებული ხეების სურნელი შემოვა და ცეცხლისფერ სევდას ნელ-ნელა გაფანტავს. შემდეგ სურნელით მთვრალი, ტვინაღგზნებული სხეული საიდუმლოს ფარატინა ფურცელს გაანდობს, ბოლომდე დაიხარჯება და ბოლოს ნაკუწებად ქცეულს ქარს გაატანს.

დილა ისევ გათენდება. ფურცლის ნაკუწები პეპლებად გადაიქცევიან და გაზაფხული ისევ მოვა. ქალი სარკის წინ დაჯდება.

გაიღიმებს. შემდეგ ამ ღიმილს გაიხდის ბედნიერების მცველად და მოიტყუებს თავს, მოატყუებს მეგობრებს, მოატყუებს გარშემო ყველას...

ორი სიტყვა იკვეთება სივრცეში....
სიკვდილი...
სიცოცხლე...
ერთი მთავრდება, იწყება მეორე...
მეორე მთავრდება, იწყება პირველი...
მათ სიყვარული აერთიანებს...
საკამათო არაფერია...
მე მთვრალი ვარ... შეშლილი მთვრალი...
სსსსსსს.... სსსსსსსს....

თავიდან დაბადებულს ისევ მომინდა ბიჭის ნახვა. როცა მის სახლს მივუახლოვდი, სროლის ხმა გაისმა... ფანჯრის წინ, გაშიშვლებული ხის ტოტზე ჩიტი შეფრთხიალდა და... ცაში აფრინდა...